


მ. ივერიელი  
ნ. აბაშიძე



# პაროდონტის დაავადებათა ფარმაკოთერაპია

დამტკიცებულია საქართველოს განათლების  
სამინისტროს მიერ დამხმარე სახელმძღვანელოდ  
უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების  
სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

თ ბ ი ლ ი ს ი  
1998

616.31-089.2:  
615.7.

ნაშრომი ეხება სტომატოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას - პაროდონტის ანთებადი დაავადებების - გინგივიტისა და პაროდონტიტის მკურნალობას. სახელმძღვანელოში თავმოყრილია ყველა იმ ჯგუფის სამკურნალო საშუალებანი, რომლებიც რეკომენდირებულია საერთაშორისო სტანდარტებით. მოცემულია თითოეული პრეპარატის დახასიათება, გამოყენების ჩვენებანი, მკურნალობის კურსი და შერჩევითი დოზირება. სახელმძღვანელო განკუთვნილია ექიმ-სტომატოლოგებისა და სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

### **ავტორები:**

**მანანა ივერიელი** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი.  
**ნინო აბაშიძე** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის  
თერაპიული სტომატოლოგიის კათედრა

### **რეცენზენტები:**

**ზ. ვადაჭკორია** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.  
**ვ.მარგველაშვილი** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

## სარჩევი:

შესავალი	5
I. ანთებისსაწინააღმდეგო თერაპია	9
I.1. ანტისეპტიკები	9
I.1.1. ჰალოგენები და ჰალოგენშემცველი პრეპარატები	10
I.1.2. დამჟანგველები	13
I.1.3. მჟავები და ტუტეები	16
I.1.4. ფენოლები	20
I.1.5. ანილინის საღებავები	21
I.1.6. დეტერგენტები	24
I.1.7. სინთეზური ანტისეპტიკები	26
I.1.8. ბუნებრივი წარმოშობის სხვადასხვა ანტისეპტიკები	26
I.2. ანტიბიოტიკები	33
I.2.1. ტეტრაციკლინის ჯგუფის პრეპარატები	34
I.2.2. მაკროლიდები და აზალიდები	40
I.2.3. ლინკომიცინის ჯგუფის პრეპარატები	48
I.3. ფაგები	53
I.4. სულფანილამიდები	55
I.5. ნიტროფურანის რიგის პრეპარატები	74
I.6. სოკოსაწინააღმდეგო პრეპარატები	81
I.6.1. პოლიენი რიგის ანტიბიოტიკები	82
I.6.2. იმიდაზოლის რიგის პრეპარატები	92
I.6.3. ტრიაზოლინის რიგის პრეპარატები	94
I.6.4. N-მეთილნაფთალინის ნაწარმები	96
I.6.5. სხვა ჯგუფის სოკოსაწინააღმდეგო პრეპარატები	98
I.7. ანტიპარაზიტული პრეპარატები	103
I.8. პროტეოლიტური ფერმენტები	109
I.9. კორტიკოსტეროიდები	116
I.10. ქვის მოსაშორებელი საშუალებანი	123
II. ვიტამინები	126

II.8. პოლივიტამინები	133
III. იმუნომოდულატორები	143
IV. ბიოგენური სტიმულატორები	152
V. ჰემოსტატიური საშუალებები	156
V.1. პირდაპირი მოქმედების ანტიკოაგულანტები	156
V.2. სხედასხვა ჰემოსტატიური საშუალებანი	157
VI. ანტიპისტამინური პრეპარატები	162
VII. ტრანკვილიზატორები	170
VIII. ფიტოთერაპიული საშუალებანი	179
VIII.1. ანტიმიკრობული მოქმედების მცენარეები	180
VIII.2. ტკივილგამაყუჩებელი მოქმედების მცენარეები	184
VIII.3. ჰემოსტატიური მოქმედების მცენარეები	186
VIII.4. ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედების მცენარეები	188
VIII.5. ქსოვილთა რეგენერაციის მასტიმულრეული მცენარეები	192
VIII.6. შემბოჭველი და შემომგარსველი მოქმედების მცენარეები	194
VIII.7. მცენარეული ნაკრებები	195
VIII.8. მცენარეული პრეპარატების მზა ფორმები	196
IX. ფუტკრის წებოს პრეპარატები	200
X. რეგენერაციის პროცესის სტიმულატორები	204
XI. პაროდონტალური ნახვევები	208
XI.1. სამკურნალო ნახვევები	209
XII.2. საიზოლაციო ნახვევები	211
XII. პაროდონტიტის მკურნალობაში გამოყენებული პირადი ჰიგიენის საშუალებანი	214
სამკურნალო საშუალებათა საძიებელი ქართულ ენაზე	219
სამკურნალო საშუალებათა საძიებელი ლათინურ ენაზე	223



ნაშრომი ეძღვნება ჩვენს პედაგოგს,  
ლოცენტ ქეთევან მანჯგალაძეს

### შესავალი

პაროდონტი ეს არის კბილისირგვლივი ქსოვილთა კომპლექსი, რომელთა შორის მჭიდრო გენეტიკური, მორფოლოგიური და ფუნქციური კავშირია. ეს მორფოფუნქციური კომპლექსი მოიცავს: ღრძილს, ალვეოლის ძელოვან ქსოვილს, პერიოდონტს და კბილის ქსოვილებს.

პაროდონტის დაავადებებს მიეკუთვნება პაროდონტის ერთი, რამოდენიმე ან ყველა ქსოვილის ანთებადი, დისტროფული ან სიმსივნური ბუნების დაავადებანი.

ცივილიზაციის პროგრესთან ერთად პაროდონტის დაავადებათა გავრცელება მკვეთრად გაიზარდა; ამჟამად, 40 წლამდე ასაკში პაროდონტის პათოლოგიები გვხვდება უფრო იშვიათად, ხოლო 40 წლის ზემოთ უფრო ხშირად, ვიდრე კარიესი.

პირველი ცნობა ამ დაავადებების შესახებ გვხვდება დაახლოებით 250 წლის წინ 1746 წელს Fouchard-მა აღწერა ღრძილების დაავადება, რომელსაც „ცრუ სკორბუტი“ უწოდა. Toirak-ი 1886 წელს მას მოიხსენიებს სახელით „ალვეოლური პიორეა“. Weski 1936 წ. ამ დაავადებებს აღწერს

და უწოდებს „ამფოდონტოზს“. შემდგომ დამკვიდრდა სახელწოდება „პაროდონტოზი“. უახლესი კლასიფიკაციით (1983 წ.) კი პაროდონტის დაავადებების დაყოფა ხდება შემდეგნაირად:

1) გინგივიტი (**gingivitis**) ღრძილის ანთებაა, განპირობებული შინაგანი და გარეგანი ფაქტორების არახელაყრელი მოქმედებით, რომელიც მიმდინარეობს კბილ-ღრძილოვანი კავშირის დარღვევის გარეშე.

ფორმა: კატარული (*catarrhalis*), წყლულოვანი (*ulcerosa*), პიპერტროფიული (*hypertrophica*).

სიმძიმე: მსუბუქი (*levis*), საშუალო (*media*), მძიმე (*gravis*).

მიმდინარეობა: მწვავე (*acuta*), ქრონიკული (*chronica*), გამწვაებული (*exacerbat*).

გავრცელება: ლოკალური (*localis*), გენერალიზებული (*generalisata*).

2) პაროდონტიტი (**parodontitis**) - პაროდონტის ქსოვილთა ანთებადი დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს პაროდონტისა და ყბის ძვლის ალვეოლარული მორჩის პროგრესირებადი დესტრუქცია.

სიმძიმე: მსუბუქი (*levis*), საშუალო (*media*), მძიმე (*gravis*).

მიმდინარეობა: მწვავე (*acuta*), ქრონიკული (*chronica*), გამწვაებული (*exacerbat*), აბსცესი (*abscessus*), რემისია (*remissio*).

გავრცელება: ლოკალური (*localis*), გენერალიზებული (*generalisata*).

3) პაროდონტოზი (**parodontosis**) - პაროდონტის დისტროფიული დაზიანებაა.

სიმძიმე: მსუბუქი (levis), საშუალო (media), მძიმე (gravis).  
 მიმდინარეობა: ქრონიკული (chronica), რემისია (remissio).  
 გავრცელება: გენერალიზებული (generalisata).

4) პაროდონტოლიზი (**parodontolysis**) - პაროდონტის იდიოპათიური დაავადებანია, რომელთაც ახასიათებს პაროდონტის ქსოვილთა პროგრესირებადი ლიზისი: პაპიონ-ლეფევერის სინდრომი, ნეიტროპენია, აგამაგლობულინემია, დეკომპენსირებული შაქრიანი დიაბეტი და სხვა.

5) პაროდონტომა (**parodontoma**) - სიმსივნეები და სიმსივნისმაგვარი დაავადებანი: ეპულისი, ფიბრომატოზი და სხვა.

ინგლისურენოვან ლიტერატურაში პაროდონტის დაავადება მოიხსენიება ტერმინით - Periodontal disease.

პაროდონტის დაავადებების მკურნალობის პრინციპია: მკურნალობა კომპლექსური და მაქსიმალურად ინდივიდუალური; იგი გულისხმობს ადგილობრივი და ზოგადი მკურნალობის კომპლექსს.

მკურნალობის პრინციპები მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

- 1) ეტიოტროპული თერაპია მიმართული მიზნობრივი ფაქტორების მოხსნისაკენ.
- 2) პათოგენური თერაპია მკურნალობის მეთოდები და საშუალებები, რომლებიც მოქმედებენ პათოგენუზის ცალკეულ რგოლზე, პაროდონტში მიმდინარე ანთებად-დისტროფიულ პროცესებზე.
- 3) ორგანიზმის დამცველობითი ძალების გამააქტიურებელი თერაპია.

4) რეაბილიტაცია აღდგენითი თერაპია.

წინამდებარე სახელმძღვანელო აგებულია სწორედ ასეთი პრინციპით. აქ წარმოდგენილია პაროდონტის დაავადებების მკურნალობის ფარმაკოლოგიური საშუალებები ცალკეული თავების მიხედვით: ანთებისსაწინააღმდეგო თერაპია (ანტი-სეპტიკები, ანტიბიოტიკები, ფაგები, სულფანილამიდები, ნიტროფურანის რიგის, სოკოსაწინააღმდეგო, ანტიპარაზიტული პრეპარატები, პროტეოლიტური ფერმენტები, კორტიკოსტეროიდები, ქვის მოსაშორებელი საშუალებანი), ვიტამინები, იმუნომოდულატორები, ბიოგენური სტიმულატორები, ჰემოსტატიური, ანტიჰისტამინური პრეპარატები, ტრანკვილიზატორები, ფიტოთერაპიული საშუალებანი, ფუტკრის წებოს პრეპარატები, რეგენერაციის პროცესის სტიმულატორები, პაროდონტალური ნახვევები. მოცემულია თითოეული სამკურნალ-წამლო საშუალების ფარმაკოლოგიური მოქმედება, გამოყენების თავისებურება, ჩვენება, დოზები, თანამოვლენები, უკუჩვენება, გამოშვების ფორმა, შენახვის წესები და რეცეპტურა. ცალკე თავად არის გამოყოფილი პაროდონტის მკურნალობაში გამოყენებული პირადი ჰიგიენის საშუალებები.

ავტორები მადლიერებით მიიღებენ საქმიან შენიშვნას, ახალ ინფორმაციას აღნიშნული საკითხის გარშემო.

*ავტორებისაგან*

## I. ანთებისსაწინააღმდეგო თერაპია

ანთებისსაწინააღმდეგო თერაპია უმნიშვნელოვანესი რგოლია პაროდონტის დაავადებების მკურნალობაში. იგი გულისხმობს:

1. პაროდონტის ქსოვილებში სისხლის მიკროცირკულაციის დარღვევის შემცირებას ან სრულ მოხსნას;
2. შეშუპების ჩაცხრობას;
3. პაროდონტალური ჯიბის მიკროფლორის პათოგენური ზემოქმედების დათრგუნვას;
4. პაროდონტის ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლის, ჟანგვა-აღდგენითი პროცესების, რეგენერაციის უნარის ნორმალიზებას.

ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება შემდეგი ჯგუფის სამკურნალო პრეპარატები: ანტისეპტიკები, ანტიბიოტიკები, ფაგები, სულფანილამიდები, ნიტროფურანის რიგის ანტიფუნგალური, ანტიპარაზიტიული პრეპარატები, პროტეოლიტური ფერმენტები, კორტიკოსტეროიდები.

### I.1. ანტისეპტიკები

ანტისეპტიკები ანთებისსაწინააღმდეგო, მადეზინფიცირებელი და მადეზადორირებელი მოქმედების გამო ფართოდ გამოიყენება სტომატოლოგიურ პრაქტიკაში.

პაროდონტოლოგიაში გამოყენებული ანტისეპტიკები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: ბაქტერიების, სოკობისა და უმარტივესების მიმართ მოქმედების ფართო სპექტრი; მაღალი აქტივობა; მოქმედების ლატენტური პერიოდის

სამცირე; ქიმიური მდგრადობა; შეწოვა სასურველია ზღებოდეს მინიმალური დოზით; არ უნდა იწვევდნენ ალერგიულ რეაქციებს; არ უნდა იყვნენ ტოქსიურნი.

ანტისექტიკების ზოგადი კლასიფიკაცია ქიმიური შემადგენლობის მიხედვით შემდეგია: ჰალოგენები და ჰალოგენ-შემცველი პრეპარატები, დამჟანგველები, მჟავები და ტუტეები, ალდეჰიდები, სპირტები, მძიმე მეტალის მარილები, ფენოლები, ანილინის საღებავები, დეტერგენტები, ბუნებრივი წარმოშობის სხვადასხვა ანტიმიკრობული და ანტიპარაზიტული პრეპარატები.

მიუხედავად დღეისათვის არსებული ანტისექტიკების დიდი არსენალისა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში, კერძოდ კი პაროდონტის დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი გამოიყენება.

## I.1.1 ჰალოგენები და ჰალოგენ-შემცველი პრეპარატები

ამ ჯგუფის პრეპარატები შეიცავენ ქლორსა და იოდს.

### I.1.1.1. ქლორჰექსიდინი - CHLORHEXIDINUM

**სინონიმები:** Гибитан, Манусан, Себидин, Хибитан, Abacil, Biotensid, Chlorohex, Corsodyl, Fimeil, Hexadol, Hexol, Hibitane, Manusan, Nolvasan, Plivasept, Rotersept, Sebidin, Septalone, Soretol, Sterilone და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ახასიათებს სწრაფი და ძლიერი ბაქტერიოციდური მოქმედება გრამდადებით და გრამუარყოფით ბაქტერიებზე, ასევე ტრიქომონებზე. პრეპარატი ინარჩუნებს თავის თვისებებს სისხლიან და ჩირქიან გარემოში, ამასთან მცირედ კარგავს აქტივობას.

**ჩვენება:** გამოიყენება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის და პრის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებადი დაავადებების მკურნალობის კომპლექსში.

**გამოყენების თავისებურება:** პაროდონტოლოგიაში იხმარება ქლორპექსიდინის 0,05-0,06%-იანი ხსნარი პირის ღრუს აპლიკაციებისა და სავლებების სახით, ასევე პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად.

**თანამოვლენები:** ხანგრძლივად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს კბილის ფერის შეცვლა.

**უკუჩვენება:** ალერგიული რეაქციები, პრეპარატისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

**გამოშვების ფორმა:** 0,05% და 20%-იანი ხსნარები.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცული, გრილი ადგილი.

### I.1.1.2. იოდოფორმი - IODOFORMIUM

**სინონიმები:** Трийодметан, Формилтрийодид, Formylum triiodatum.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ახასიათებს ანტისეპტიკური მოქმედება.

**ჩვენება:** იგივე, რაც ქლორპექსიდინს.

**გამოყენების თავისებურება:** იხმარება სავლების, მალამოს, ფხვნილის, ხსნარის სახით. პაროდონტალური ჯიბეების

დასამუშავებლად შეიძლება გამოვიყენოთ ხსნარი ტურუნდებით შესატანად.

*თანამოვლენები:* დიდხანს გამოყენებას შეიძლება თან დაერთოს იოდინოზიმის მოვლენები.

*უკუჩვენება:* ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

*გამოშვების ფორმა:* ფხვნილი.

*შენახვის წესები:* მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში, გრილ, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

*რეცეპტურა:* Rp: Iodoformii 10,0

D.S. პირის ღრუში მისაფრქვევად.

Rp: Iodoformii 2,5

Vaselini 25,5

M.f. Ung.

D.S. მალამო პირის ღრუში წასასმელად.

### I.1.1.3. იოდინოლი - IODINOLUM

იოდინოლი იოდის ნაერთია პოლივინილის სპირტთან. 1%-იანი იოდინოლი შეიცავს 0,1% იოდს, 0,3% კალიუმის იოდატს და 0,9% პოლივინილის სპირტს.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* პრეპარატში მოლეკულური იოდის შემცველობა განაპირობებს მის ანტიმეტიკურ მოქმედებას. პოლივინილის სპირტი კი ახანგრძლივებს ადგილობრივ ქსოვილებთან იოდის კონტაქტს და ამცირებს მის გამაღიზიანებელ ზეგავლენას.



იოდინოლს აქვს გამობატული ანტიმიკრობული და სოკოს-საწინააღმდეგო მოქმედება.

**ჩვენება:** გამოიყენება პაროდონტალური ჯიბეების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, კარიესული ღრუს და ფესვის არხების დასამუშაველად.

**გამოყენების თავისებურება:** პაროდონტალური ჯიბეების დასამუშაველად გამოიყენება იოდინოლის 1%-იანი ხსნარი. ლორწოვანი გარსის დაზიანებისას იხმარება აპლიკაციების ან სავლებების სახით.

**თანამოვლენები:** იშვიათად იოდისმის მოვლენა.

**უკუჩვენება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

**გამოშვების ფორმა:** 1%-იანი ხსნარი ჭურჭელში.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცულ ადგილზე, 0°C ტემპერატურის ზემოთ.

**რეცეპტურა:** Rp: Iodinoli 100ml

D.S. პაროდონტალური ჯიბეებისა და  
ლორწოვანი გარსის დასამუშაველად

## I.1.2 დამჟანგველები

### I.1.2.1 წყალბადის ზეჟანგის ხსნარი -

#### SOLUTIO HYDROGENII PEROXYDI DILUTA

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ახასიათებს ბაქტერიოცი-დული მოქმედება თავისუფალი ჟანგბადის გამოყოფის ხარ-ჯზე. სწრაფად იშლება სინათლის სხივთან, დამჟანგველბ-თან, აღმდგენელებთან, ტუტეებთან კონტაქტისას, აგრეთვე გათბობის შედეგად.

**ჩვენება:** გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ანთებადი დაავადებების, კარი-ესის მკურნალობაში, ენდოდონტიაში.

**გამოყენების თავისებურება:** პაროდონტოლოგიაში იხმარება წყალბადის ზეჟანგის 3%-იანი ხსნარი პაროდონტალური ჯიბეების, ლორწოვანი გარსის დასამუშავებლად, ჟანგბადოვანი მეთოდის ჩასატარებლად, სისხლდენის შესაჩერებლად, კარიესული ღრუს და ფესვის არხის დასამუშავებლად. 6%-იანი წყალბადის ზეჟანგი გამოიყენება წვრილი სტომატოლოგიური იარაღების ქიმიური სტერილიზაციისათვის.

**გამოშვების ფორმა:** 3% და 6%-იანი ხსნარი მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში.

**შენახვის წესები:** გრილ, შუქისაგან დაცულ ადგილზე, მჭიდროდ თავდაცულ ჭურჭელში.

**რეცეპტურა:** Rp: Sol. Hydrogenii peroxydi 3% 150ml

D.S. პაროდონტალური ჯიბეების, ლორწოვანი გარსის, კბილის მაგარი ქსოვილების დასამუშავებლად.

Rp: Hydrogenii peroxydi dilutae 50ml

D.S. 1 სუფრის კოვზი 200 გრ. წყალში პირის ღრუში გამოსავლებად

### 1.1.2.2. ჰიდროპერიტი - HYDROPERITUM

წყალბადის ზეჟანგის კომპლექსური ნაერთია შარდოვანასთან. მასში წყალბადის ზეჟანგის შემცველობა 35%-ია.

*სინონიმები:* Perhydrit.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება და ჩვენება:* იგივე, რაც წყალბადის ზეჟანგს.

*გამოყენების თავისებურება:* პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტალური ჯიბეების დასამუშაებლად გამოიყენება ჰიდროპერიტის 3%-იანი ხსნარი. მისი მომზადებისათვის საჭიროა 6 აბი პრეპარატის (1 აბი შეესაბამება 15 მლ 3%-იან წყალბადის ზეჟანგს) გახსნა 100 მლ წყალში. ასევე შეიძლება გამოვიყენოთ პირის ღრუში გამოსაელებად ჰიდროპერიტის 0,25%-იანი ხსნარი. ამისათვის საჭიროა 1 აბი პრეპარატის გახსნა 100 მლ წყალში.

*გამოშვების ფორმა:* აბები.

*შენახვის წესები:* მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

### 1.1.2.3. კალიუმის პერმანგანატი -

### KALII PERMANGANAS

*სინონიმები:* Калий марганцовоокислый, Kalium hypermanganicum.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ძლიერი დამჟანგველია.

*ჩვენება:* პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ანთებადი დაავადებების დროს პრეპარატი გამოიყენება, როგორც ანტისეპტიკი.

*გამოყენების თავისებურება:* სტომატოლოგიურ პრაქტიკაში იხმარება კალიუმის პერმანგანატის 0,01-0,1%-იანი ხსნარი პირის ღრუს ანტისეპტიკური დამუშავებისათვის და ჟანგბადოვანი მეთოდის ჩასატარებლად.

*გამოშვების ფორმა:* ფხვნილი.

*შენახვის წესები:* მუქი ფერის, მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში.

რეცეპტურა: Rp: Kalii permanganatis 0,01% 500ml

D.S. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დასამუშავებლად, ჟანგბადოვანი მეთოდის ჩასატარებლად.

Rp: Kalii permanganatis 1% 20ml

D.S. 30-40 წვეთი 200 გრ წყალში პირის ღრუში გამოსავლებად

### I.1.3 მჟავები და ტუტეები

#### I.1.3.1 ბორის მჟავა - ACIDUM BORICUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ახასიათებს კარგად გამოხატული ანტისეპტიკური მოქმედება. ბაქტერიოსტატიკურად მოქმედებს Candida-ს სახეობის სოკოზე.

*ჩვენება:* გამოიყენება ორალური კანდიდოზის, პაროდონტის ქსოვილებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ.

*გამოყენების თავისებურება:* იხმარება ბორის მჟავას 2,0-4,0%-იანი ხსნარი საკვების სახით.

**უკუჩვენება:** ბავშვთა ასაკი, ახალშობილობისა და ორსულობის პერიოდი, პრეპარატისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა, თირკმლის ფუნქციის მოშლილობანი.

**გამოშვების ფორმა:** ფხვნილი, 0,5%, 1%, 2% და 3%-იანი სპირტხსნარი.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცულ ადგილში.

**რეცეპტურა:** Rp: Sol. Acidum borici 2% 100ml

D.S.: 1 ჩაის კოვზი 200 გრ. წყალში  
პირის ღრუში გამოსავლებად.

Rp: Sol. Acidi borici 4% 100ml

D.S. 1 ჩაის კოვზი 200გრ. წყალში  
პირის ღრუში გამოსავლებად.

### I.1.3.2 ნატრიუმის ტეტრაბორატი - NATRII TETRABORAS

**სინონიმები:** Бора, Натрий борнокислый, Natrium biboricum, Borax, Natrium tetraboricum.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ახასიათებს ანტისეპტიკური და ფუნგოსტატიკური მოქმედება.

**ჩვენება:** გამოიყენება ორალური კანდიდოზების, პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებადი დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის.

**გამოყენების თავისებურება:** პაროდონტალური ჯიბეებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დასამუშავებლად

ინიშნება ნატრიუმის ტეტრაბორატის 20%-იანი ხსნარი გლიცერინზე - Solutio Natrii tetraboratis 20% in Glycerino - ტურუნდებით შესატანად ან აპლიკაციების სახით. პრეპარატის წყალხსნარი შეიძლება დაინიშნოს სავლებად.

გამოშვების ფორმა: ფხვნილი, 20%-იანი ხსნარი გლიცერინზე.

შენახვის წესები: გრილი ადგილი.

რეცეპტურა: Rp: Natrii tetraboratis 5,0

Glycerini

Aq. destil aa 15 ml

M.F.S.: პირის ღრუს ლორწოვან

გარსზე აპლიკაციებისათვის

Rp: Natrii tetraboratis

Natrii hydrocarbonatis aa 20,0

Ol. Menthae gits III

M.F. pulv

D.S. 1 ჩაის კოვზი 200 გრ წყალში პირის ღრუში გამოსავლებად.

Rp: Natrii tetraboratis 20,0

D.S. 1/2 ჩაის კოვზი 200 გრ.

წყალში პირის ღრუში გამოსავლებად

Rp: Sol. Natrii tetraboratis 20% in  
Glycerini 30 ml

D.S. პირის ღრუს აპლიკაციისათვის

### 1.1.3.3 “ბიკარმენტის“ აბები - TABULETTAE "BICARMINTUM"

აბების შემადგენლობაში შედის: 0,4 გრ. ნატრიუმის ტეტრაბორატი, 0,4 გრ. ნატრიუმის ჰიდროკარბონატი, 0,2 გრ. ნატრიუმის ქლორიდი, 0,002 გრ. მენტოლი, 0,004 გრ. პიტნის ზეთი.

*ჩვენება:* იგივე, რაც ნატრიუმის ტეტრაბორატს.

*გამოყენების თავისებურება:* სტომატოლოგიურ პრაქტიკაში სახმარად პრეპარატის 1-2 აბი უნდა გაიხსნას 100 გრ. წყალში და დაინიშნოს სავლებად დღე-ღამეში 3-4-ჯერ.

*გამოშვების ფორმა:* აბები.

*შენახვის წესები:* გრილი ადგილი.

### 1.1.3.4 პიოციდი - PYOCIDUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ახასიათებს კარგად გამოხატული ბაქტერიოციდული და მრთლიმლავი მოქმედება.

*ჩვენება:* პაროდონტის ქსოვილთა ანთებადი დაავადებების, განსაკუთრებით წყლულოვან-ნეკროზული გინგივიტის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებადი დაავადებების სამკურნალოდ.

**გამოყენების თავისებურება:** გამოიყენება პაროდონტალური ჯიბეების, წყლულოვან-ნეკროზული უბნების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დასამუშავებლად. ლორწოვანი გარსის წინასწარი გამოშრობის შემდეგ პიოციდი თავსდება დაზიანებულ უბანზე ან პაროდონტალურ ჯიბეში ტურუნდების საშუალებით. ლორწოვანი გარსთან პრეპარატის შეხების შემდეგ წარმოიშვება ბუშტუკები, რაც განპირობებულია ეთერის აორთქლებით. ბუშტუკების წარმოშობის შემდეგ აუცილებელია პრეპარატის სწრაფი მოშორება, რადგანაც პიოციდს ახასიათებს მიმწველი მოქმედება.

**თანამოვლენები:** არასწორად ხმარების დროს შესაძლებელია ლორწოვანი გარსის დაწვა.

**უკუჩვენება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

**გამოშვების ფორმა:** 0,5 მლ-იანი ამპულები.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცული, გრილი ადგილი.

## I.1.4 შენოლვა

### 1.4.1 ვაგოტილი - VOGOTIL

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** დამღუპველად მოქმედებს ბაქტერიებსა და ტრიქომონებზე. ადგილობრივად იწვევს სისხლძარღვთა შევიწროვებას და არჩევითად ახდენს გრანულაციური ქსოვილების მიწვას. ეროზიების დროს აძლიერებს ეპითელიზაციის პროცესს.

**ჩვენება:** გამოიყენება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის დაავადების დროს გრანულაციური ქსოვილის მისაწველად.

**გამოყენების თავისებურება:** ვაგოტილში დასველებული ტურუნდა თავსდება გრანულაციურ ქსოვილზე 1-3 წთ-ის



განმავლობაში. დაზიანებული უბნიდან დარჩენილი პრეპარატი უნდა მოსცილდეს ბამბის მშრალი ბურთულით.

*მკურნალობის კურსი:* 5-6 პროცედურა კვირაში 2-3-ჯერ.

*უკუჩვენება:* პაროდონტის ქსოვილთა ანთებადი დაავადების მწვავე და ქრონიკული გამწვავებული ფაზები, სიმსივნეები და სიმსივნისმაგვარი დაავადებანი.

*გამოშვების ფორმა:* ხსნარი.

*შენახვის წესები:* შუქისაგან დაცული ადგილი.

## I.1.5 ანილინის საღებავები

### I.1.5.1 მეთილენის ლურჯი -

#### METHYLENUM COERULEUM

*სინონიმები:* Метиленовая синь, **Methylenblau**, Methylthionii chloridum.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* პრეპარატის გამოხატული ანთებისსწინააღმდეგო მოქმედება განპირობებულია მისი მუანგავ-აღდგენითი თვისებებით.

*ჩვენება:* პაროდონტის ქსოვილებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის წყლულოვან-ნეკროზული დაზიანებების, ანთებითი პროცესების დროს, ასევე კარიესის ადრეული სტადიების დიაგნოსტიკებისათვის.

*გამოყენების თავისებურება:* ადგილობრივად აპლიკაციები-სათვის გამოიყენება მეთილენის ლურჯის 1%-იანი წყალ-ხსნარი.

**კამოშვების ფორმა:** ფხვნილი, 1%-იანი წყალხსნარი, 1%-იანი სპირტხსნარი, ამპულებში 1%-იანი ხსნარი 25%-იან გლუკოზასთან ერთად.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცულ ადგილზე, მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში.

**რეცეპტურა:** Rp: Methyleni coerulei 1,0

Aq. destill 100 ml

M.D.S. პირის ღრუს ლორწოვანი  
გარსის დასამუშავებლად

### 1.1.5.2 ბრილიანტის მწვანე - VIRIDE NITENS

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** აქვს გამოსატული ანტისეპტიკური მოქმედება.

**ჩვენება:** გამოიყენება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსას, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის და ტუჩების ანტისეპტიკური დამუშავებისათვის.

**გამოყენების თავისებურება:** ადგილობრივად აპლიკაციისათვის იხმარება 1-2%-იანი წყალხსნარი.

**კამოშვების ფორმა:** ფხვნილი, 1-2%-იანი სპირტხსნარი.

**შენახვის წესები:** მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

**რეცეპტურა:** Rp: Viridis nitentis 2,0

Aq. destill 200 ml

M.D.S. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის  
დასამუშავებლად.

### I.1.5.3 ეტაკრიდინის ლაქტატი - AETHACRIDINI LACTAS

**სინონიმები:** Риванол, Acricidum, Acrinol, Acrinolin, Ethodin, Rivanolum.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ახდენს ანტიმიკრობულ მოქმედებას კოკებზე, კერძოდ კი სტაფილოკოკზე.

**ჩვენება:** იზმარება პაროდონტის ანთებადი დაავადებების და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მკურნალობისათვის.

**გამოყენების თავისებურება:** გამოიყენება სავლებად ეტაკრიდინის ლაქტატის (რივანოლის) 0,05-0,1-0,2%-იანი წყალხსნარი. პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად 1%-იანი წყალხსნარი.

**თანამოვლენები:** მცირედ ტოქსიურია, იშვიათად იწვევს ადგილობრივი ქსოვილების გაღიზიანებას.

**გამოშვების ფორმა:** ფხვნილი, აბები, 0,01%-იანი სპირტხსნარი, 3%-იანი მალამო.

**შენახვის წესები:** მჭიდროდ თავდაცულ ჭურჭელში, მშრალ, გრილ, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

**რეცეპტურა:** Rp: Aethacridini lactas 1,0

Aq. destill 100 ml

M.D.S. პირის ღრუს ლორწოვანი

გარსის დასამუშავებლად.

Rp: Aethacridini lactas 1,0

Aq. destill 1000 ml

M.D.S. პირის ღრუში გამოსავალბად.

## I.1.6 დეტიარბენტიები

### I.1.6.1 ეტონიუმი - AETHONIUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** სტაფილოკოკებზე, სტრეპტოკოკებზე და სხვა პათოგენურ მიკრობებზე ახდენს ბაქტერიოციდულ და ბაქტერიოსტატიურ მოქმედებას. გამაუვნებლად მოქმედებს სტაფილოკოკურ ტოქსინებზე. აქვს მცირედ გამოსხატული ტკივილგამაყუჩებელი და მაეპითელიზებელი მოქმედება.

**ჩვენება:** გამოიყენება პაროდონტის ანთებადი დაავადებებისას ეროზიების, წყლულების სამკურნალოდ.

**გამოყენების თავისებურება:** სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება ეტონიუმის 0,5%-იანი ხსნარი ტამპონის სახით 2-7 დღის განმავლობაში 15-20 წუთით ან 0,5%-იანი მალამო Unguentum Aethonii ადგილობრივად აპლიკაციისათვის. ეტონიუმის ფხვნილი იხსნება ფიზიოლოგიურ ხსნარში.

**მკურნალობის კურსი:** 2-7 დღე.

**გამოშვების ფორმა:** ფხვნილი, მალამო, პასტა.

**შენახვის წესები:** მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე, მჭიდროდ დახურულ ჭურჭელში.

### I.1.6.2 დეკამეტოქსინი - DECAMETHOXINUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** სტაფილოკოკებზე, სტრეპტოკოკებსა და სხვა მიკრობებზე ახდენს ბაქტერიოციდულ და ბაქტერიოსტატიკურ მოქმედებას. ასევე ფუნგოსტატიკურად

მოქმედებს საფუარა სოკოებზე. აქვს მცირედ გამოხატული ტკივილგამაყუჩებელი და კერატოპლასტიური მოქმედება.

**ჩვენება:** გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილთა ანთებადი დაავადებების, Candida ფლორით დამძიმებული პაროდონტიტის, ორალური კანდიდოზების მკურნალობის კომპლექსში.

**გამოყენების თავისებურება:** სტომატოლოგიურ პრაქტიკაში იხმარება შემდეგი წესით: 0,025%-იანი წყალხსნარი საკვებად ან ადგილობრივად 10-15 წუთიანი აპლიკაციების ან ირიგაციის სახით. ორალური კანდიდოზების და Candida ფლორით დამძიმებული პაროდონტიტის დროს დეკამეტოქსინის 0,01-0,02%-იანი წყალხსნარი ინიშნება პირის ღრუს აბაზანების სახით დღეში 3-4-ჯერ. ადგილობრივად იგივე კონცენტრაციით შეიძლება გამოყენებულ იქნას პრეპარატი აპლიკაციისათვის 10-15 წთ-ის განმავლობაში. დეკამეტოქსინის აბების გახსნა შეიძლება გამოხდეს წყალში, ფიზიოლოგიურ ხსნარსა და ნოვოკაინში.

**მკურნალობის კურსი:** 5-10 დღე.

**გამოშვების ფორმა:** 0,1 გრ-იანი აბები, 0,05%-იანი სპირტ-ხსნარი.

**შენახვის წესები:** მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

**რეცეპტურა:** Rp: Sol. Dicamethoxini 0,1% 200 მლ.

D.S. პირის ღრუს გამოსავლებად და პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად

## I.1.7 სინთეზური ანტისეპტიკები

### I.1.7.1 ციტრალი - CITRALUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ახასიათებს კარგად გამო-  
ბატული ანთებისსაწინააღმდეგო და სუსტი ტკივილგამა-  
ყურებელი მოქმედება.

**ჩვენება:** გამოიყენება პაროდონტის ქსოვილთა და პირის  
ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებადი და წყლულოვან-ერო-  
ზიული დაზიანებების დროს.

**გამოყენების თავისებურება:** პირის ღრუს აბაზანების  
სახით იხმარება 0,01%-იანი ციტრალის ხსნარი დღეში 3-4-  
ჯერ.

**გამოშვების ფორმა:** 0,01%-იანი წყალხსნარი.

**შენჯვის წესები:** მშრალი, შუქისაგან დაცული, გრილი ად-  
ვალი.

## I.1.8 ბუნებრივი წარმოშობის სხვადასხვა ანტისეპტიკი

### I.1.8.1 ნატრიუმის უსინატი - NATRII USNINAS

**სინონიმები:** Natrium usnicum

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ანტიმიკრობულად მოქმე-  
დებს გრამდადებით ბაქტერიებზე.

**ჩვენება:** გამოიყენება პაროდონტის ქსოვილებსა და პირის  
ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებითი დაავადებების სამკურ-  
ნალოდ. განსაკუთრებით ეფექტურია პრეპარატის ხმარება  
პაროდონტალურ ჯიბეში ჩირქოვანი ექსუდატის არსებობის

შემთხვევაში. ასევე წყლულოვან-ნეკროზული გინგივო-სტომატიტის დროს.

*გამოყენების თავისებურება:* პაროდონტალურ ჯიბეებში მოსათავსებლად იხმარება პრეპარატის 1%-იანი წყალხსნარი 30-60 წამის განმავლობაში. აპლიკაციისათვის გამოიყენება ნატრიუმის უსნინატის 0,5%-იანი ზეთოვანი ხსნარი, რომელსაც ემატება 2%-იანი ანესთეზინი. აპლიკაციის ხანგრძლივობა 15-20 წუთია. პრეპარატის გამოყენების წინ აუცილებელია პირის ღრუს დამუშავება სუსტი ანტისეპტიკებით.

*უზრთიერთმოქმედება სხვა პრეპარატებთან:* ნატრიუმის უსნინატი და სულფანილამიდური პრეპარატები აძლიერებენ ერთმანეთის მოქმედებას, ამიტომ მათი გამოყენება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსურ მკურნალობაში ეფექტურია.

*გამოშვების ფორმა:* ფხვნილი, 1%-იანი სპირტხსნარი, 0,5%-იანი ზეთოვანი ხსნარი ანესთეზინთან ერთად.

*შენახვის წესები:* მშრალი, გრილი, შუქისაგან დაცული ადგილი.

### I.1.8.2 ნოვოიმაანინი - NOVOIMANINUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* მცენარეული წარმოშობის პრეპარატია. ახდენს ანტიბაქტერიულ მოქმედებას გრამდადებით მიკროორგანიზმებზე, ასევე პენიცილინის მიმართ მდგრად სტაფილოკოკებზე.

*ჩვენება:* სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება პაროდონტის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ქსოვილთა ანთებადი დაზიანებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის.

**გამოყენების თავისებურება:** პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად გამოიყენება ნოვოიმანინის 0,01-0,1%-იანი ხსნარი. იგი მზადდება 1%-იანი სპირტხსნარის გამოხდილ წყალში განზავებით, რომელიც გამოსაყენებლად ვარგისია მომზადებიდან 24 საათის განმავლობაში. გრანულაციური ქსოვილების ზედაპირული მასკლეროზილებელი თერაპიისათვის იხმარება პრეპარატის 1%-იანი სპირტხსნარი 1 წუთის განმავლობაში აპლიკაციის სახით.

**გამოშვების ფორმა:** 1%-იანი სპირტხსნარი.

**შენახვის წესები:** არაუმეტეს +10°C ტემპერატურისა, მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

### 1.1.8.3 სანგვირიტრინი - SANGUITRINUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ახასიათებს ანტიმიკრობული მოქმედება გრამდადებით და გრამუარყოფითი ბაქტერიებისა და საფუარი სოკოს მიმართ.

**ჩვენება:** სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მიკრობული დაზიანებების, Candida ფლორით დამძიმებული პაროდონტიტის და სხვა სახის ორალური კანდიდოზების მკურნალობის კომპლექსში.

**გამოყენების თავისებურება:** საველებად იხმარება სანგვირიტრინის 1%-იანი ლინიმენტი ან წყალხსნარი დღეში 2-3-ჯერ. აპლიკაციისათვის 0,01-0,1%-იანი წყალხსნარი ტურუნდებით მოსათავსებლად. პრეპარატის წყალხსნარი მზადდება ex tempore აბებისაგან, მათი ცხელ წყალში გახსნით.



*მკურნალობის კურსი:* 2-5 დღე.

*უკუჩვენება:* ჰიპერკერატოზი, ბრონქული ასთმა, ეპილეფსია, სტენოკარდია, თირკმელებისა და ღვიძლის დაავადებანი.

*თანამოვლენები:* იშვიათად შესაძლებელია წვის ან ტკივილის შეგრძნება. ასეთ შემთხვევაში პრეპარატს უნდა დავუმატოთ 0,5%-იანი ნოვოკაინის ხსნარი.

*გამოშვების ფორმა:* 5 მგრ-იანი აბები, 1%-იანი ლინიმენტი.

*შენახვის წესები:* შუქისაგან დაცული ადგილი.

#### I.1.8.4 ევკალიმინი - EUCALIMINUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ბაქტერიოსტატიკურად მოქმედებს სტაფილოკოკებზე, სტრეპტოკოკებსა და სპორების წარმომქმნელ მიკრობებზე. აქვს სუსტად გამოხატული ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება.

*ჩვენება:* გამოიყენება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებადი დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის.

*გამოყენების თავისებურება:* საკლებად ან პაროდონტალური ჯიბეების ირიგაციისათვის იხმარება ევკალიმინის 1%-იანი სპირტხსნარი *Solutio Eucalimini spirituosa 1%* განზავებული გამოსხის წყალში 1:10 კონცენტრაციით, 3-4-ჯერ დღეში. პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად გამოიყენება პრეპარატის 0,25%-იანი სპირტხსნარი დღეში ერთხელ 10-15 წთ-ის განმავლობაში.

*მკურნალობის კურსი:* დამოკიდებულია დაავადების ფორმასა და სიმძიმეზე.

გამოშვების ფორმა: ფხვნილი, 0,25% და 1%-იანი სპირტ-  
ხსნარა.

შინაზვის წესები: ოთახის ტემპერატურაზე, შუქისაგან  
დაცულ ადგილზე.

### 1.1.8.5 ქლოროფილიპტი - CHLOROPHYLLIPTUM

ფარმაკოლოგიური მოქმედება: ახასიათებს ანტიბაქტერი-  
ული მოქმედება, მათ შორის ანტიბიოტიკებისადმი მდგრად  
სტაფილოკოკებზეც. უზრუნველყოფს ანთებად ქსოვილებში  
ფანჯვითი რეაქციების ნორმალიზაციას.

ჩვენება: გამოიყენება პაროდონტის ქსოვილებს და პირის  
ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებადი დაავადებების სამკურ-  
ნალოდ. განსაკუთრებით ეფექტურია პრეპარატის გამოყენება  
პაროდონტალური ჯიბეებიდან სისხლდენისა და ჩირქოვანი  
ექსუდატის არსებობის შემთხვევაში. პაროდონტოლოგიაში  
იხმარება გრანულაციური ქსოვილების მასკლეროზილებელი  
თერაპიისათვის.

გამოყენების თავისებურება: პაროდონტალური ჯიბეებისა  
და წყლულების დასამუშავებლად გამოიყენება ქლოროფი-  
ლიპტის 0,25%-იანი სპირტხსნარი განზავებული გამონდილ  
წყალში 1:5 კონცენტრაციით. აპლიკაციისათვის იხმარება  
პრეპარატის 2%-იანი ზეთოვანი ხსნარი 10-15 წთ-ის  
განმავლობაში. მასკლეროზირებელი თერაპიისათვის გამოიყე-  
ნება ქლოროფილიპტის 0,25%-იანი სპირტხსნარის აპლი-  
კაცია 1 წთ-ის განმავლობაში. პრეპარატი იხსნება ფიზიო-  
ლოგიურ ხსნარში.

**თანამოვლენები:** იშვიათად შესაძლებელია ალერგიული რეაქციები.

**გამოშვების ფორმა:** 1%-იანი სპირტხსნარი, 2%-იანი ხსნარი ზეთზე, ამპულებში 0,25%-იანი ხსნარი.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცული ადგილი, არაუმეტეს  $-20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

### I.1.8.6 არენარიინი - ARENARINUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ბაქტერიოსტატიკურად მოქმედებს გრამდადებით მიკროორგანიზმზე.

**ჩვენება:** სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებადი დაეადებების სამკურნალოდ.

**გამოყენების თავისებურება:** იხმარება 1%-იანი მალამოს სახით - Ung. Arenarii 1%. მას ათავსებელ პაროდონტალურ ჯიბეში ან ლორწოვანი გარსის დაზიანებულ უბანზე დღეში 3-4-ჯერ. შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას ფონოფორეზის ჩასატარებლად დღეში ერთხელ 10-12 პროცედურა.

**მკურნალობის კურსი:** 6-8 დღე.

**გამოშვების ფორმა:** 1%-იანი მალამო.

**შენახვის წესები:** გრილი ადგილი.

### I.1.8.7 ლიზოციმი - LYSOCIM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** პრეპარატის მოქმედებით ხდება ნიკროორგანიზმის პოლისაქარიდების დაშლა. ამიტომ ახასიათებს ბაქტერიოციდული მოქმედება გრამდადებით მიკ-

როორგანიზმებზე. მის მიმართ ნაკლებ მგრძობიარეა გრამ-უარყოფითი ბაქტერიები. იწვევს ადგილობრივი დამცველობითი რეაქციების სტიმულაციას. აქვს გამოხატული ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება.

**ჩვენება:** გამოიყენება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებითი დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის.

**გამოყენების თავისებურება:** საელებად და აპლიკაციისათვის იხმარება ლიზოციმის 0,05%-იანი ხსნარი, რომელიც მზადდება ex tempore.

**თანამოვლენები:** არა აქვს გვერდითი რეაქციები, მიუხედავად ამისა, ხანგრძლივად გამოიყენებისას აუცილებელია სისხლის შედედების კონტროლი.

**გამოშვების ფორმა:** ხსნარი ჭურჭელში.

**შენახვის წესები:** მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი, არაუმეტეს  $+20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

## I.2. ანტიბიოტიკები

40-იან წლებში ანტიბიოტიკების გამოჩენამ რევოლუცია მოახდინა ინფექციური დაავადებების მკურნალობაში. ბაქტერია წარმოადგენს პაროდონტის დაავადების არსებით ეტიოლოგიურ ფაქტორს. ამიტომ, რაციონალურ ანტიბიოტიკოთერაპიას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება პაროდონტის დაავადებათა მკურნალობაში.

ანტიბიოტიკების გამოყენების ზოგადი პრინციპები შემდეგია:

1. ანტიბიოტიკის გამოყენების აუცილებლობა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ მწვავე პროცესები უფრო ადვილად ემორჩილებიან ანტიბიოტიკოთერაპიას, ვიდრე ქრონიკული, რადგანაც ამ დროს ყალიბდება ქსოვილოვანი ბარიერი, რომელიც ხელს უშლის დაზიანების უბანში პრეპარატის შეღწევას.
2. განსაზღვრული პრეპარატის არჩევა:
  - ა) მიკრობიოლოგიური ანალიზის საფუძველზე არსებული ფლორისადმი მგრძობელობის არსებობა;
  - ბ) ფარმაკოკინეტიკის თავისებურებების გათვალისწინება;
  - გ) პაციენტის ინდივიდუალური მდგომარეობის ასაკი, ალერგიული განწყობა, ღვიძლისა და თირკმელების მდგომარეობა, ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდი, ფონური დაავადება, სხვა სამკურნალწამლო პრეპარატების მიღება გათვალისწინება.
3. ოპტიმალური დოზის შერჩევა.
4. მკურნალობის ხანმოკლე კურსის დადგენა. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ კლინიკური მდგომარეობა და

ხანმოკლე კურსის შემთხვევაში ძლიერი შტამების სელექციის შესაძლებლობა.

5. პრეპარატის შერჩევის ეფექტურობა უნდა განისაზღვროს მკურნალობის კურსის დაწყებიდან მე-3-4 დღეს. დადებითი კლინიკური ეფექტის მიუღებლობა შეიძლება განპირობებულ იქნას: პრეპარატის არასწორი შერჩევით და სუპერინფექციის ჩამოყალიბებით.

ამასთან, ანტიბიოტიკის შერჩევა ხდება ღრძილოვან ჯიბეში მათი კონცენტრაციის გათვალისწინებით. ცნობილია, რომ ასეთი მაქსიმალური კონცენტრაცია მიიღწევა მაკროლიდების, აზალიდების, ტეტრაციკლინის და ლინკომიცინის ჯგუფის ანტიბიოტიკების გამოყენებისას.

## 1.2.1. ტეტრაციკლინის ჯგუფის პრეპარატები

ტეტრაციკლინები ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებია, ისინი დამღუპველად მოქმედებენ გრამდადებით და გრამ-უარყოფით ბაქტერიებზე, სპიროხეტებზე, რიკეტციებსა და ლეპტოსპირებზე. კარგად შეიწოვებიან საჭმლის მომნელებელი ტრაქტიდან და აღწევენ ორგანოებსა და ქსოვილებში.

ტეტრაციკლინების მოქმედების მექანიზმი განპირობებულია მიკროორგანიზმის უჯრედში რიბოსომის ცილების სინთეზის ინჰიბირებით.

ჩვეულებრივ, თერაპიულ დოზებში ტეტრაციკლინები მოქმედებენ ბაქტერიოსტატიკურად. ისინი კალციუმთან, რკინასთან და ზოგიერთ მძიმე მეტალთან ქმნიან ცუდად ხსნად კომპლექსებს. ამიტომ, დაუშვებელია ტეტრაციკლინებთან

ერთად რძისა და მისი ნაწარმების (კალციუმის შემცველობის გამო) მიღება.

### I.2.1.1. ტეტრაციკლინი - TETRACYCLINUM

**სინონიმები:** Десхлорбиомицин, Achromycin, Cyclo-mycine, Deschloraureomycin, Hoslacyclin, Panmycin, Polycycline, Steclin, Tetrabon, Tetracyn და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** დამღუპველად მოქმედებს გრამდადებით და გრამუარყოფით ბაქტერიებზე, სპიროქეტებზე, რიკეტციებზე და ლეპტოსპირებზე.

**ჩვენება:** ანტიბიოტიკებისადმი მგრძობელობისას გამოიყენება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებად დაავადებათა მკურნალობის კომპლექსში.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება აბები per os მისაღებად ჭამის დროს ან შემდეგ. ასევე ტეტრაციკლინის 1%-იანი თვალის მალამო Ung. Tetracyclini ophthalmicum - ან დიტეტრაციკლინის 1%-იანი თვალის მალამო Ung. Ditetracyclini ophthalmicum - ადგილობრივად სახმარად აპლიკაციების სახით ამ პაროდონტალურ ჯიბეებში მოსათავსებლად.

**დოზები:** მოზრდილებში 0,2-0,25 გრ. 3-4-ჯერ დღეში. აბის მიცემის შემდეგ აუცილებელია წყლის მიყოლება. ტეტრაციკლინის 0,8 გრ-ზე ნაკლები სადღეღამისო დოზით დანიშნვას აზრი არა აქვს, რადგანაც არასრულფასოვანი

ეფექტის მიღების გარდა შეიძლება მოხდეს მიკროორგანიზმების მდგრადი შტამების სელექცია.

ბავშვებში შემდეგი სადღეღამისო დოზებით: 8 წლის შემთ 20-25 მგრ/კგ წონაზე გაანგარიშებით.

**მკურნალობის კურსი:** საშუალოდ 5-7 დღე. კლინიკური ნიშნების გაქრობის შემდეგ პრეპარატის მიღება უნდა გაგრძელდეს საშუალოდ 1-3 დღე.

**თანამოვლენები:** ჩვეულებრივ კარგად გადაიტანება, მაგრამ შეიძლება გამოიწვიოს მადის დაკარგვა, გულისრევა, პირღებინება, ფაღარათიანობა, გასტრიტი, კოლიტი, ალერგიული გამონაყარი კანზე, კვინკეს შეშუპება და სხვა.

ტეტრაციკლინის და ამ ჯგუფის სხვა პრეპარატების გამოყენება კბილების ჩანასახების ფორმირების პერიოდში იწვევს მინანქრის ფერის შეცვლას მუქი ყვითელი შეფერილობით, ე.წ. ტეტრაციკლინის კბილების ჩამოყალიბებას.

პრეპარატის დიდი დოზებით და ხანგრძლივად გამოყენება განაპირობებს კანდიდოზების და მათ შორის ორალური კანდიდოზების განვითარებას.

**უკუჩვენება:** პრეპარატისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა და ამ ჯგუფის სხვა ანტიბიოტიკებისადმი აწეული მგრძნობელობა, სოკოვანი დაავადებანი. სიფრთხილით უნდა დაინიშნოს ტეტრაციკლინი თირკმელების დაავადებისა და ლეიკოპენიის დროს. არ უნდა ვიხმართ ორსულებსა და 8 წლამდე ასაკის ბავშვებში.

**გამოშვების ფორმა:** 0,05, 0,1 და 0,25 გრ-იანი აბები, თვალის მალამო.

**შენახვის წესები:** ოთახის ტემპერატურაზე, მშრალ, მუქისაგან დაცულ ადგილზე.



### 1.2.1.2. ტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდი -

#### TETRACYCLINI HYDROCHLORIDUME

*სინონიმები:* Ambromycin, Amracin, Polfamycine, Tetracyclinum hydrochloricum.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, დოზები, თანამოვლენები, უკუჩვენება და შენახვის წესები:* იგივე, რაც ტეტრაციკლინს.

*გამოყენების თავისებურება:* ინიშნება აბები per os მისაღებად და ტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდის 1%-იანი თვალის მალამო **ამბროცინი AMROCIN** - პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად და ადგილობრივად აპლიკაციისათვის.

*გამოშვების ფორმა:* 0,1 და 0,25 გრ-იანი აბები, ფხვნილი ამპულებში.

### 1.2.1.3. ოქსიტეტრაციკლინის დიჰიდრატი -

#### OXYTETRACYCLINI DIHYDRAS

*სინონიმები:* Окситетрациклин, Тархоцин, Тетрациклин, Охумукоин, Oxytetracyclina, Tachocine, Tetran.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ახლოს დგას ტეტრაციკლინთან, მაგრამ მასთან შედარებით უფრო სწრაფად შეიწოვება და დიდი ხნით განაგრძობს მოქმედებას ქსოვილებზე.

*ჩვენება, დოზები, თანამოვლენები და უკუჩვენება:* იგივე, რაც ტეტრაციკლინს.

*გამოყენების თავისებურება:* ინიშნება აბები per os მისაღებად.

*გამოშვების ფორმა:* აბები და მალამო.

*შენახვის წესები:* გრილი, მშრალი ადგილი.

#### 1.2.1.4. მეთაცლიკლინის ჰიდროქლორიდი - METHACYCLINI HYDROCHLORIDUM

ტეტრაციკლინის პოლისინთეზური ნაწარმია.

*სინონიმები:* Рондомицин, Adromycin, Bialatan, Bivimicina, Brevicillina, Ciclobiotic, Duramicina, Dynamycin, Germiciclin, Globaciclina, Largomicina, Medomycin, Metacyclin, Minibiotic, Optimycin, Plurigram, Rindex, Rotilen და სხვა.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* აქტიურია გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების, ტრიქომონების და ზოგიერთი უმარტივესის მიმართ. სხვა ტეტრაციკლინებისაგან განსხვავებით კარგად შეიწოვება საჭმლის მომნელებელ ტრაქტში და უფრო ადვილად აღწევს ორგანოებსა და ქსოვილებში, გადის პლაცენტარულ ბარიერს, ორგანიზმიდან გამოიყოფა საკმაოდ ნელა.

*ჩვენება, თანამოვლენები და უკუჩვენება:* იგივე, რაც ტეტრაციკლინს.

*გამოყენების თავისებურება:* ინიშნება აბები per os მისაღებად ჭამის დროს ან შემდეგ.

*დოზები:* მოზრდილებში 0,3 გრ. 2-3-ჯერ დღეში.

ბავშვებში შემდეგი სადღეღამისო დოზები 8-12 წელი 75-100 მგრ/კგ წონაზე გაანგარიშებით 2-4 მიღებაზე. 12 წლის ზევით დოზები იგივეა, რაც მოზრდილებში.

*მკურნალობის კურსი: 7-10 დღე.*

*გამოშვების ფორმა: 0,15 და 0,3 გრ-იანი კაფსულები.*

*შენახვის წესები: შუქისაგან დაცული, მშრალი ადგილი.*

### I.2.1.5. დოქსიციკლინის ჰიდროქლორიდი - DOXYCYCLINI HYDROCLORIDUM

ოქსიტეტრაციკლინის ნახევრადსინთეზური ნაწარმია.

*სინონიმები: Вибрамицин, Доксидаг, Медомицин, Abadox, Biociclina, Biostar, Doxacin, Doxigram, Doxilen, Doximocyn, Doxipan, Doxylin, Extraciclina, Iso-dox, Lambrodox, Medomicin, Micromicin, Minidox, Novacyclin, Saramicina, Sincromycin, Vibrobiotic, Vib-rocina, Vibrodoxil, Vibromycin და სხვა.*

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, თანამოვლენები და უკუჩვენება: იგივე, რაც ტეტრაციკლინს.*

*გამოყენების თავისებურება: ინიშნება აბები per os მისა-ღებად ჭამის შემდეგ. პრეპარატს უნდა დაეყოლოთ დიდი რაოდენობით წყალი.*

*დოზები: მოზრდილებში პირველ დღეს 0,2 გრ. ერთჯერადად ან 0,1 გრ. დილას და საღამოს. ყოველ შემდგომ მიღებაზე 0,1 გრ. დღეში ერთხელ.*

*ბავშვებში შემდეგი სადღეღამისო დოზები 8-12 წელი პირველ მიღებაზე 4 მგრ/კგ წონაზე გაანგარიშებით, ყოველ შემდგომ მიღებაზე 2 მგრ/კგ. 12 წლის ზემოთ დოზები იგივეა, რაც მოზრდილებში.*

*მკურნალობის კურსი: 5-7 დღე.*

*გამოშვების ფორმა:* 0,05 და 0,1 გრ-იანი კაფსულები, 0,1 გრ-იანი აბები, ლიოფილიზირებული ფხვნილი ამპულაებში.

*შენახვის წესები:* ოთახის ტემპერატურაზე, მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

## I.2.2. მაკროლიდები და აზალიდები

ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებია, ადვილად შეიწოვებიან შეყვანის ადგილიდან და დიდხანს ინარჩუნებენ მაღალ კონცენტრაციას სისხლსა და ქსოვილებში. ამ თვისების გამო შესაძლებელი გახდა მაკროლიდებისა და აზალიდების გამოყენებისას შემცირებულიყო მკურნალობის კურსი. ისინი დამლუპველად მოქმედებენ გრამდადებით და გრამუარყოფით ბაქტერიებზე, ბევრ ანაერობსა და ზოგიერთ ატიპიურ ბაქტერიაზე.

### I.2.2.1. პერიტრომიცინი - ERYTHROMYCINUM

*სინონიმები:* Эрик, Эритран, Eric, Eritrocina, Erym-cin, Erycinum, Erythran, Erythrocin, **Erythromycin**, Etromycin, Ilotycin, Lubomycin, Pantromicina და სხვა.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* დამლუპველად მოქმედებს გრამდადებით და გრამუარყოფით ბაქტერიებზე, ტრიქომონასა და სიფილისის გამომწვევზე. არ მოქმედების მიკობაქტერიებზე, ვირუსებსა და სოკოებზე. ერთრომიცინისადმი მდგრადი შტამი ყალიბდება სწრაფად.

*ჩვენება:* ანტიბიოტიკებისადმი მგრძობელობისას გამოყენება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის და პირის ღრუს

ლორწოვანი გარსის ანთებად დაავადებათა მკურნალობის კომპლექსში.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება აბები ან კაფსულები per os მისაღებად ყოველ 4-6 საათში ერთხელ ჭამამდე 1-1,5 საათით ადრე. ადგილობრივად სახმარად გამოიყენება ერთ-რომიცინის 1%-იანი მალამო Ung. Erytromycini - აპლიკაციების სახით ამ პაროდონტალურ ჯიბეებში მოსათავსებლად.

**დოზები:** მოზრდილებში 0,5 გრ. ყოველ 4-6 საათში ერთხელ.

ბავშვებში შემდეგი სადღელამისო დოზებით: 14 წლამდე 20-40 მგრ/კგ წონაზე გაანგარიშებით 4 მიღებაზე.

**მკურნალობის კურსი:** საშუალოდ 5-7 დღე. კლინიკური ნიშნების გაქრობის შემდეგ პრეპარატის მიღება უნდა გაგრძელდეს საშუალოდ 1-3 დღე.

**თანამოვლენები:** იშვიათად აღინიშნება გულისრევა, პირღებინება, ფაღარათიანობა, ალერგიული გამონაყარი კანზე.

პრეპარატის დიდი დოზებით და ხანგრძლივად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლის ფუნქციის მოშლა სიყვითლე.

**უკუჩვენება:** პრეპარატისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა და ღვიძლის ფუნქციის მძიმე დარღვევანი.

**გამოშვების ფორმა:** 0,1 და 0,25 გრ-იანი აბები, მალამო.

**შენახვის წესები:** ოთახის ტემპერატურა.

### 1.2.2.2. პერიციკლინი - ERICYCLINUM

კომპლექსური პრეპარატია, 1 კაფსულა შეიცავს 0,125 გრ. ერითრომიცინს და 0,125 გრ. ოქსიტეტრაციკლინის დიჰიდრიდის გრანულებს.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ფართო სპექტრის ანტიბიოტიკია. დამლუპველად მოქმედებს გრამდადებით ბაქტერიებზე, ასევე ტეტრაციკლინის მიმართ მდგრად ზოგიერთ მიკროორგანიზმზეც.

*ჩვენება, თანამოვლენები და უკუჩვენება:* იგივე, რაც ერითრომიცინს და ტეტრაციკლინს.

*გამოყენების თავისებურება:* ინიშნება per os მისაღებად ჭამიდან 30-40 წთ-ის შემდეგ.

*დოზები:* მოზრდილებში 1 კაფსულა ყოველ 4-6 საათში ერთხელ. მაქსიმალური სადღეღამისო დოზაა 2 გრ. (8 კაფსულა).

*მკურნალობის კურსი:* საშუალოდ 8-10 დღე.

*გამოშვების ფორმა:* 0,125 გრნ-იანი კაფსულები.

*შენახვის წესები:* ოთახის ტემპერატურაზე, მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

### 1.2.2.3. სპირამიცინი - SPIRAMYCIN

*სინონიმები:* Ровамицин, Rovamycin.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* დამლუპველად მოქმედებს სტრეპტოკოკებზე, მენინგოკოკზე, ქლამიდიებზე, ლეპტოსპირებზე და ზოგიერთ სხვა მიკროორგანიზმზე.

*ჩვენება, თანამოვლენები და უკუჩვენება:* იგივე, რაც ერითრომიცინს.

*გამოყენების თავისებურება:* ინიშნება per os მისაღებად ჭამის შემდეგ.

*დოზები:* მოზრდილებში - 3 მლნ 2-3-ჯერ დღეში.

*ბავშვებში შემდეგი სადღეღამისო დოზები:* 20 კგ-ს ზემოთ 1,5 მლნ. 10 კგ. წონაზე გაანგარიშებით 2-3 მიღებაზე.

*მკურნალობის კურსი:* საშუალოდ 8-10 დღე.

*უკუჩვენება:* ღვიძლის მძიმე დაავადებანი, ლაქტაციის პერიოდი და პრეპარატისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

*გამოშვების ფორმა:* აბები.

*შენახვის წესები:* მშრალი ადგილი.

#### 1.2.2.4. ოლეანდომიცინი - OLEANDOMYCINI PHOSPHAS

*სინონიმები:* Amimycin, Cyclamycin, Matrimycin, Matromycin, Oleandocyn, Oleandomycin, Oleandomycinum phosphoricum, Romicil, Romycil და სხვა.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* დამღუპველად მოქმედებს ზოგიერთ გრამდადებით (სტაფილოკოკი, სტრეპტოკოკი, პნევმოკოკი, ლიფტერიის ჩხირი და სხვა) და გრამუარყოფით (მენინგოკოკი, გონოკოკი და სხვა) ბაქტერიებზე და რიკეტციებზე.

*ჩვენება:* იგივე, რაც ერითრომიცინს.

*გამოყენების თავისებურება:* ინიშნება per os მისაღებად ჭამის შემდეგ.

*დოზები:* მოზრდილებში 0,25 გრ. ყოველ 4-6 საათში ერთხელ. მაქსიმალური სადღეღამისო დოზაა 2 გრ.

ბავშვებში შემდეგი სადღეღამისო დოზები: 3 წლამდე 0,02 გრ/კგ წონაზე გაანგარიშებით; 3-6 წელი 0,25-0,5 გრ; 6-14 წელი 0,5-1,0 გრ; 14-16 წელი 1,0-1,5 გრ 4-6 მიღებაზე.

**მკურნალობის კურსი:** საშუალოდ 5-7 დღე. კლინიკური ნიშნების გაქრობის შემდეგ აუცილებელია პრეპარატის მიღების გაგრძელება 48 საათი.

**თანამოვლენები:** იშვიათად აღინიშნება დიარეა და პირღებინება. შესაძლებელია ალერგიული რეაქციები კანის ქავილი, შეშუპება. ასეთ დროს აუცილებელია პრეპარატის დოზების შემცირება. საჭიროების შემთხვევაში უნდა დაინიშნოს ანტიჰისტამინური პრეპარატები.

**უკუჩვენება:** თირკმლის პარენქიმის დაზიანება და პრეპარატისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

**გამოშვების ფორმა:** აბები.

**შენახვის წესები:** მშრალი ადგილი, ოთახის ტემპერატურაზე.

### 1.2.2.5. ოლეტიტრინი - OLETETRINUM

კომბინირებული პრეპარატია და შეიცავს 1 წილ ოლეანდომიცინს და 2 წილ ტეტრაციკლინს.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, თანამოვლენები და უკუჩვენება:** იგივე, რაც ტეტრაციკლინს და ოლეანდომიცინს.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება per os მისაღებად ჭამამდე 30 წთ-ით ადრე.

**დოზები:** მოზრდილებში 0,25 გრ. დღეში 4-6-ჯერ. მაქსიმალური სადღეღამისო დოზაა 2 გრ.



ბავშვებში შემდეგი სადღეღამისო დოზები: 10 კგ-მდე 0,025 გრ/კგ წონაზე გაანგარიშებით, 10-15 კგ 0,25 გრ; 15-20 კგ 0,375 გრ; 20-30 კგ. 0,5 გრ; 30-40 კგ 0,725 გრ; 40-50 კგ 1 გრ დღეში 4-6 მიღებაზე.

*გამოშვების ფორმა:* აბები.

*შენახვის წესები:* ოთახის ტემპერატურაზე, მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

### **I.2.2.6. როქსიტრომიცინი - ROXITHROMYCIN**

შემადგენლობით ახლოს დგას ერითრომიცინთან.

*სინონიმები:* Рулид, Rulid.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ფართო სპექტრის ანტიბიოტიკია, კარგად შეიწოვება საჭმლის მომწელებელ ტრაქტში.

*ჩვენება:* იგივე, რაც ერითრომიცინს.

*გამოყენების თავისებურება:* ინიშნება per os მისაღებად ჭამამდე.

*დოზები:* მოზრდილებში 150 მგრ. (1 აბი) დღეში 2-ჯერ დილას და საღამოს.

*მკურნალობის კურსი:* 7-14 დღე.

*თანამოვლენები:* იშვიათად აღინიშნება დიარეა და ალერგიული გამონაყარი კანზე.

*უკუჩვენება:* ღვიძლის უკმარისობა, ორსულობა და ლაქტაციის პერიოდი, პრეპარატისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

**ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან:** დაუშვებელია როქსიტრომიცინის კომბინაცია ერთრომიცინთან და ღიპიდ-როერიტამინთან.

**გამოშვების ფორმა:** აბები.

**შენახვის წესები:** მშრალი ადგილი, ოთახის ტემპერატურაზე.

### 1.2.2.7. აზითრომიცინი - AZITHROMYCIN

**სინონიმები:** Сумамед, Sumamed, Zithromax.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** დამლუვველად მოქმედებს გრამდადებით ბაქტერიებზე (სტაფილოკოკი, სტრეპტოკოკი და პლევმოკოკი), მათ შორის ბეტალაქტამაზის მასინთეზირებლებზეც; გრამუარყოფით მიკროორგანიზმებზე (ენტეროკოკი, ნაწლავის და ჰემოფილური ჩხირი, სალმონელა და შიგელა), ლეგიონელებზე და ბაქტერიოდებზე. დიდ დოზებში იწვევს ბაქტერიოციდულ მოქმედებას.

**ჩვენება:** იგივე, რაც ერთრომიცინს.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება per os მისაღებად საკვების მიღებამდე 1 საათით ადრე ან ჭამიდან 2 საათის შემდეგ.

**დოზები:** მოზრდილებში პირველ მიღებაზე 0,5 გრ. ერთხელ დღეში; მეორე დღიდან მეხუთე დღის ჩათვლით 0,25 გრ. ერთხელ დღეში.

ბავშვებში 1 წლის შემდეგ პირველ მიღებაზე 10 მგრ/კგ წონაზე გაანგარიშებით, შემდგომ 4 დღის განმავლობაში 5 მგრ/კგ. დღეში ერთხელ.

**მკურნალობის კურსი:** 5 დღე.

**თანამოვლენები:** იშვიათად აღინიშნება გულისრევა, პირ-  
ღებინება და ალერგიული რეაქციები.

**უკუჩვენება:** ღვიძლისა და თირკმელების ფუნქციის  
მოშლილობანი.

**გამოშვების ფორმა:** აბები.

**შენახვის წესები:** მშრალ ადგილზე, ოთახის ტემპე-  
რატურაზე.

### 1.2.2.8. კლაციტრომიცინი - KLACITROMYCIN

**სინონიმები:** Кладид.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ფართო სპექტრის ანტიბი-  
ოტიკა, დამლუპველად მოქმედებს გრამდადებით და გრამ-  
უარყოფით ბაქტერიებზე და ქლამიდიებზე. სწრაფად შეიწო-  
ვება საჭმლდის მომწელებელი ტრაქტიდან და მაქსიმალურ  
კონცენტრაციას ღიდხანს ინარჩუნებს ქსოვილებში.

**ჩვენება:** იგივე, რაც ერითრომიცინს.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება per os მისაღებად  
ყოველ 12 სთ-ში ერთხელ.

**დოზები:** მოზრდილებში - 250 მგ. (1 აბი) დღეში 2-ჯერ.  
დაავადების მძიმე ფორმების დროს შესაძლებელია დოზების  
გაორმაგება. თირკმელების ფუნქციის დარღვევის მქონე  
პირებში დოზები უნდა შემცირდეს 2-ჯერ 125 მგ. (1/2  
აბი) დღეში 2-ჯერ.

**მკურნალობის კურსი:** 6-14 დღე.

**თანამოვლენები:** კლაციტრომიცინი მეტაბოლიზირდება და  
ექსკრეციას განიცდის ღვიძლში, ამდენად მისი დანიშვნა ღიდ  
სიფრთხილით უნდა მოხდეს ღვიძლის ფუნქციური დარღვევის

მქონე პირებში, თირკმლის უკმარისობის დროს და 65 წლის ზევით ასაკში. პრეპარატის მიღების დროს იშვიათად შეიძლება აღინიშნოს პირღებინება, ტკივილი მუცლის ღრუს არეში, დიარეა, თავის ტკივილი და ალერგიული გამონაყარი კანზე. კლაციტრომიცინის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლის ფერმენტების რაოდენობის დროებითი მომატება, რომელიც ნორმალიზდება პრეპარატის მიღების შეწყვეტის შემდეგ. კლაციტრომიცინით მკურნალობის დროს შესაძლოა სუპერინფექციების, მათ შორის კანდიდოზების ჩამოყალიბება, ასეთ შემთხვევაში საჭიროა მკურნალობის კურსის შეწყვეტა და ანტიფუნგალური პრეპარატების დანიშვნა.

*უკუჩვენება:* მაკროლიდებისადმი აწეული მგრძობელობა, ორსულობა, ლაქტაციის პერიოდი და ღვიძლის მწვავე უკმარისობა.

*გამოშვების ფორმა:* 250 მგრ-იანი აბები.

*შენახვის წესები:* მშრალი ადგილი.

## I.2.3. ლინკომიციინის ჯგუფის პრეპარატები

### I.2.3.1. ლინკომიციინის ჰიდროქლორიდი - LYNCOMYCINI HIDROCHLORIDUM

*სინონიმები:* Линкоцин, Линосин, Медоглицин, Нелорен, Цилимицин, Albiotic, Cillimycin, Lincocin, Lincolnensin, Liocin, Linosin, Medoglycin, Mycivin, Neloren და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** დამღუპველად მოქმედებს გრამდადებით (სტაფილოკოკი, სტრეპტოკოკი, პნევმოკოკი და დიფტერიის ჩხირი), მიკოპლაზმებზე და ზოგიერთ ანაერობზე. გრამუარყოფით ბაქტერიებზე, სოკოებსა და ვირუსებზე არ მოქმედებს. აქტიურია სხვა ანტიბიოტიკებისადმი მდგრად სტაფილოკოკებზე. ლინკომიციინისადმი მიკროორგანიზმის მდგრადობა ყლიბდება ნელა. თერაპიულ დოზებში მოქმედებს ბაქტერიოსტატიკურად. პრეპარატის მოქმედების მექანიზმის განპირობებულია მიკროორგანიზმის ცილის სინთეზის ინჰიბირებით.

ლინკომიციინის ჰიდროქლორიდი სწრაფად შეიწოვება საჭმლის მომნელებელი ტრაქტიდან და აღწევს ორგანოებსა და ქსოვილებში, მათ შორის ძვალშიც.

**ჩვენება:** ანტიბიოტიკებისადმი მგრძობელობისას გამოიყენება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებად დაავადებათა მკურნალობის კომპლექსში. იმის გამო, რომ ლინკომიციინი კუმულირდება ძვალში, მისი გამოყენება ეფექტურია მწვავე და ქრონიკული ოსტეომიელიტების დროს.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება კაფსულები per os მისაღებად საკვების მიღებამდე 1-2 საათით ადრე, ან ჭამიდან 2-3 საათის შემდეგ.

**დოზები:** მოზრდილებში 0,5 გრ. 2-3-ჯერ დღეში. თირკმლისა და ღვიძლის დაავადების მქონე პირებში სადღელამისო დოზა არ უნდა აღემატებოდეს 1,8 გრ-ს, ამასთან პრეპარატი შეჰყავთ პარენტერალურად ყოველ 12 სთ-ში ერთხელ.

ბავშვებში შემდეგი სადღელამისო დოზები: 30-60 მგრ/კგ წონაზე გაანგარიშებით.

**მკურნალობის კურსი:** საშუალოდ 7-14 დღე. ოსტეომიელიტების დროს 3 კვირა და მეტი.

**თანამოვლენები:** ჩვეულებრივ კარგად გადაიტანება, მაგრამ შეიძლება გამოიწვიოს მადის დაკარგვა, გულისრევა, პირღებინება, ფაღარათიანობა, ტკივილები მუცლის ღრუს არეში, ალერგიული გამონაყარი კანზე, ლეიკოპენია და თრომბოციტოპენია.

პრეპარატის დიდი დოზებით და ხანგრძლივად გამოყენება ხელს უწყობს და განაპირობებს კანდიდოზების, მათ შორის ორალური კანდიდოზების განვითარებას, რის დროსაც საჭიროა ანტიფუნგალური პრეპარატების დანიშვნა (იხ. თავი I.6. გვ. 81)

**უკუჩვენება:** პრეპარატისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა და ამ ჯგუფის სხვა ანტიბიოტიკებისადმი აწეული მგრძნობელობა, სოკოვანი დაავადებანი. არ უნდა ვიხმაროთ ორსულობის, თირმელებისა და ღვიძლის მძიმე დაავადებების დროს.

**გამოშვების ფორმა:** 0,25 გრ-იანი კაფსულები, 30%-იანი ხსნარი ამპულაებში, 2%-იანი მალამო.

**შენახვის წესები:** ოთახის ტემპერატურაზე, მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

### 1.2.3.2. კლინდამიცინი - KLINDAMYCIN

**სინონიმები:** Далацин Ц, Клиндацил, Клиноксин, Климицин, Dalacin C, Cleocin, Climicin, Clinymicin, Klimdamycin, Klinikin, Sobelin და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ქიმიური შენებით, მოქმედების მექანიზმითა და აქტივობის სპექტრით ახლოს დგას ლინკომიცინთან, მაგრამ მასთან შედარებით 2-10-ჯერ აქტიურია, დამლუპველად მოქმედებს თითქმის ყველა ანაერობზე და საჭმლის მომნელებელი ტრაქტიდან შეიწოვება უფრო სწრაფად. კარგად კუმულირდება ძვალში. ქსოვილებსა და სისხლში მაქსიმალურ კონცენტრაციას აღწევს მიღებიდან 45 წთ-ის შემდეგ.

**ჩვენება:** იგივე, რაც ლინკომიცინს.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება კაფსულები per os მისაღებად და სიროფი (5 მლ. შეიცავს 0,75 მგრ. ანტიბიოტიკს) პაროდონტალურ ჯიბეებში მოსათავსებლად ან აპლიკაციისათვის.

**დოზები:** მოზრდილებში 0,15 გრ. 4-ჯერ დღეში. დაავადების მძიმე ფორმების დროს დოზები იზრდება 0,3-0,45 გრ-მდე. თირკმელებისა და ღვიძლის მძიმე დაზიანებების მქონე პირებში დოზები უნდა შემცირდეს ან უნდა გაიზარდოს პრეპარატის მიღებებს შორის დრო.

ბავშვებში შემდეგი სადღეღამისო დოზები: 10-20 მგრ/კგ წონაზე გაანგარიშებით დღეში 3-4-ჯერ.

**მკურნალობის კურსი:** საშუალოდ 10 დღე.

**თანამოვლენები:** თითქმის იგივე აქვს, რაც ლინკომიცინს. დიდ სიფრთხილით უნდა დაინიშნოს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვადასხვა დაავადების, მათ შორის კოლიტის მქონე პირებში, ხანდაზმულებში, ღვიძლისა და თირკმლის უკმარისობის დროს. ბავშვებში კლინდამიცინის დანიშნისას აუცილებელია თეთრი სისხლისა და ღვიძლის ფუნქციის კონტროლი.

**უკუჩვენება:** პრეპარატისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა და ამ ჯგუფის სხვა ანტიბიოტიკებისადმი აწეული მგრძნობელობა, სოკოვანი დაავადებანი. არ უნდა ვიხმაროთ ორსულობის, თირმელებისა და ღვიძლის მძიმე დაავადებების დროს.

**ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან:** კლინდამიცინის დანიშვნა ერთდოულად არ შეიძლება B ჯგუფის ვიტამინებთან. ანტაგონისტურად მოქმედებს ერითრომიცინზე. კლინდამიცინსა და ამპიცილინს, მაგნიუმის სულფატს, კალციუმის გლუკონატს, ბარბიტურატებს და ამინიფილინს შორის არსებობს ფიზიკური შეუთავსებლობა. ამინოგლუკოზიდები იწვევენ კლინდამიცინის ინჰიბირებას. პრეპარატის დანიშვნა უკუნაჩვენებია კომბინაციაში ისეთ სამკურნალწამლო ნივთიერებებთან, რომლებიც იწვევენ ფსევდომემბრანულ კოლიტს.

**გამოშვების ფორმა:** 150 და 300 მგრ-იანი კაფსულები, 15%-იანი ხსნარი ამპულაებში, არომატიზირებული გრანულები და სიროფი.

**შენახვის წესები:** ოთახის ტემპერატურაზე, მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე.



### I.3. ფ ა გ ე ბ ი

ფაგი ეს არის ვირუსი, რომელიც იწვევს ბაქტერიის ლიზისს.

ფაგოთერაპიის უპირატესობა განპირობებულია ფაქტორთა შემდეგი ჯგუფით:

1. მიკროფლორაზე არჩევითი მოქმედება;
2. აბსოლუტური უვნებლობა;
3. უნარი, მოახდინოს მიკროორგანიზმის დიდი პოპულაციის ლიზისი;
4. იწვევს სხვა პრეპარატისადმი მდგრადი შტამების დაშლას;
5. იშვიათია ფაგებისადმი რეზისტენტული შტამები;
6. შესაძლებელია ბაქტერიოფაგის სხვა სამკურნალწმლო პრეპარატებთან ერთად გამოყენება;
7. არ არსებობს ასაკობრივი შეზღუდვა.

*უარყოფითი მხარეა:* ფაგების გამოყენება ხანგრძლივად დაუშვებელია, ვინაიდან ორგანიზმი გამოიმუშავებს ანტიფაგურ ანტისხეულებს, რომელიც აქვეითებს ფაგის აქტივობას.

პაროდონტიტის სამკურნალოდ ფართოდ გამოიყენება შემდეგი ფაგები:

- სტრეპტოფაგი;
- სტაფილოფაგი;
- კოლიფაგი;
- პიოფაგი (5 სხვადასხვა ფაგის ნაკრებია);
- ინტენსტიფაგი (32 სხვადასხვა ფაგის ნაკრებია).

ფაგების არჩევა ხდება მათდამი პირის ღრუს მიკროფლორის მგრძნობელობის დადგენის შემდეგ.

**გამოყენების თავისებურება:** პაროდონტოლოგიაში ფაგები შეიძლება გამოყენებულ იქნას:

ხსნარის სახით პაროდონტალურ ჯიბეებში ტურუნდებით მოსათავსებლად.

ფხვნილის სახით პაროდონტალური ნახვევების შემაღვლობაში შესატანად.

მალამოს სახით პაროდონტალურ ჯიბეებში 7-10 წუთით აპლიკაციისათვის.

**მკურნალობის კურსი:** 5-7 სეანსი.

**გამოშვების ფორმა:** ხსნარი, ფხვნილი და მალამო.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+2 - +4^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

### 1.3.1. ინტერფერონის მალამო

#### (ინტერფერონი+ფაგის მალამო)

ფაგისა და ინტერფერონის კომპლექსური პრეპარატია. მზადდება ზემოთხამოთვლილი თითოეული ფაგისა და ინტერფერონის მალამოსაგან.

**ჩვენება:** გამოიყენება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის ანთებად დაავადებათა მკურნალობის კომპლექსი.

**გამოყენების თავისებურება:** იხმარება პაროდონტალურ ჯიბეებში მოსათავსებლად ან აპლიკაციების სახით 10-15 წთ-ის განმავლობაში.

**მკურნალობის კურსი:** 5-7 სეანსი.

**გამოშვების ფორმა:** მალამო.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+2 - +4^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

## I.4. სულფანილამიდები

სულფანილამიდური პრეპარატები აქტიურნი არიან გრამ-დადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების, ზოგიერთი უმარტივესისა და ქლამიდიების მიმართ. მათი მოქმედება განპირობებულია მიკროორგანიზმში ფოლიუმისა და დიჰიდროფოლიუმის მჟავის სინთეზის ინჰიბირებით. ამ ნივთიერებების შემადგენლობაში შედის პარაამინობენზოის მჟავა.

ამ რიგის პრეპარატების გამოყენებისას მიკროორგანიზმები პარაამინობენზოის მჟავის ნაცვლად შთანთქავენ სულფანილამიდებს, ვინაიდან მათი მსგავსი ქიმიური აგებულება აქვთ. სწორედ ეს განაპირობებს მიკროორგანიზმებში ნივთიერებათა ცვლის მოშლას და შემდგომში მის დაღუპვას.

სულფანილამიდების დანიშვნისას თერაპიული ეფექტის მისაღწევად საჭიროა პარაამინობენზოის მჟავას ეკვივალენტური დოზის შერჩევა. ეს ის დოზაა, რომელსაც მიკროორგანიზმი იხმარს ირგვლივმდებარე ქსოვილებიდან. სულფანილამიდური პრეპარატების არასაკმარისი ან მცირე დოზით მიღება იწვევს ამ რიგის პრეპარატებისადმი მდგრადი შტამების წარმოქმნას.

ადამიანის ორგანიზმიდან გამოყოფის დროის მიხედვით სულფანილამიდები იყოფა 4 ჯგუფად:

1. ხანმოკლე მოქმედების: სტრეპტოციდი, ნორსულფაზოლი, ეტაზოლი, სულფადიმეზინი და სხვა.
2. საშუალო მოქმედების: სულფაზინი და სხვა.
3. ხანგრძლივი მოქმედების: სულფაპირიდაზოლი, სულფამონომეტოქსინი, სულფამეტოქსინი და სხვა.
4. გახანგრძლივებული მოქმედების: სულფალენი და სხვა.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სხვადასხვა ჯგუფის სულფანილამიდური პრეპარატებით კომბინირებული თერაპია. ასევე კარგ შედეგს იძლევა ამ ჯგუფის პრეპარატებისა და ანტიბიოტიკების ერთდროული გამოყენება.

სულფანილამიდური პრეპარატები გადიან პლაცენტარულ ბარიერში. ამიტომ ორსულებში მათი აუცილებლობით განპირობებული გამოყენების დროს საჭიროა ამ მომენტის გათვალისწინება.

## სტრეპტოციდი - STREPTOCIDUM

**სინონიმები:** Стрептоцид белый, Ambesid, Deseptyl, Dipron, Prontalbin, Prontalin, Prontoin, Prontosil album, Streptamin, Streptocidum album, Streptozol, Sulfamidyl, **Sulfanilamide, Sulfanilamidum, Sulphanilamide** და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** დამღუპველად მოქმედებს კოკებზე: სტრეპტოკოკი, სტაფილოკოკი, მენინგოკოკი, გონოკოკი, პნევმოკოკი, ასევე ნაწლავის ჩხირსა ზოგ სხვა ბაქტერიასზე.

**ჩვენება:** გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილთა წყლულოვან-ნეკროზული დაზიანებების დროს.

**გამოყენების თავისებურება:** სტომატოლოგიურ პრაქტიკაში იხმარება აპლიკაციების სახით ფხვნილი ან 10%-იანი მალამო (სტრეპტოციდის 5%-იანი ლინიმენტის გამოყენება ლორწოვან გარსებზე არ შეიძლება).

ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან: სულფანილამიდების გამოყენება არ შეიძლება მათი ქიმიური შეუთავსებლობის გამო მჟავებთან, ჰექსამეთილენტეტრაამიდთან, ადრენალინის ხსნართან, პარაამინობენზოის მჟავის ეთერებთან (ლიდოკაინი, ტრიმეკაინი, ნოვოკაინი, დიკაინი, ანესთეზინი), რადგანაც ამ ჯგუფის პრეპარატები თრგუნავენ სტრეპტოციდის ანტიმიკრობულ მოქმედებას.

უკუჩვენება: სხვა სულფანილამიდებისადმი აწეული მგრძობელობა.

გამოშვების ფორმა: ფხვნილი, 0,3 და 0,5 გრ-იანი აბები, 10%-იანი მალამო და 5%-იანი ლინიმენტი.

შენახვის წესები: მჭიდროდ თავდახურული ჭურჭელი.

რეცეპტურა: Rp.: Tab. Streptocidi 0,3 N10

D.S. 1 აბი პირის ღრუს ლორწოვანი  
გარსის წყლულოვან-ნეკროზული  
უბნების დასამუშავებლად

#### I.4.2. ნორსულფაზოლი - NORSULFAZOLUM

სინონიმებია: Amidotiazol, Aseptosil, Azoseptale, Cibazol, Eleudron, Poliseptil, Pyrisulfon, Sulfathiazole, Sulfathiazolum, Thiazamide და სხვა.

ფარმაკოლოგიური მოქმედება: დამღუპველად მოქმედებს ჰემოლიზურ სტრეპტოკოკზე, პნევმოკოკზე, გონოკოკზე, სტაფილოკოკსა და ნაწლავის ჩხირზე.

ჩვენება: გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილთა, ასევე ყბა-სახის მიდამოს ჩირ-

ქოვან-ანთებადი დაავადებების მკურნალობასა და პროფილაქტიკაში.

*გამოყენების თავისებურება:* იხმარება აპლიკაციების სახით პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად. ასევე per os მისაღებად ყოველ 6-8 საათში ერთხელ ყბა-სახის მიდამოს მწვავე ინფექციურ-ანთებადი დაავადებისას.

*დოზები:* მწვავე ინფექციურ-ანთებადი დაავადებების დროს მოზრდილებს ენიშნებათ პირველ მიღებაზე 2 გრამი, მძიმე შემთხვევაში 3-4 გრ; ყოველ შემდგომ მიღებაზე 1 გრ.

ბავშვებში შემდეგი ერთჯერადი დოზით 4 თვიდან 2 წლამდე - 0,1-0,25 გრ; 2-5 წელი - 0,3-0,4 გრ; 6-12 წელი 0,4-0,5 გრ; პირველ მიღებაზე დოზები ორმაგდება.

ნორსულფაზოლის per os მიღებისას რეკომენდირებულია შევინარჩუნოთ გაძლიერებული დიურეზი. დღე-ღამის განმავლობაში ავადმყოფმა უნდა მიიღოს 2-3 ლიტრი სითხე. პრეპარატს ყოველი მიღების შემდეგ უნდა მიაყოლოს 1 ჭიქა ბორჯომი ან 1 ჭიქა წყალი, რომელშიც დამატებული იქნება 1/2 ჩაის კოვზი საჭმელი სოდა.

*მკურნალობის კურსი:* 3-6 დღე.

*თანამოვლენები:* შესაძლებელია გულისრევა, პირღებინება, იშვიათად ლეიკოპენია, ნევრიტი.

*უკუჩვენება:* სისხლის სისტემის, თირკმლების დაავადებანი, დიფუზური ტოქსიური ჩიყვი, მწვავე ჰეპატიტი, ნაწლავის დაზიანებანი, სხვა სულფანილამიდებისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

ურთიერთმოქმედება სხვა პრეპარატებთან: ბარბიტურატებისა და ნორსულფაზოლის ერთდროული გამოყენებისას ძლიერდება პრეპარატის აქტივობა; სალიცილატებთან - ძლიერდება აქტიურობა და ტოქსიურობა; მეტოტრეკსატთან და დიფენინთან ტოქსიურობა; ფენაცეტინთან აღინიშნება ჰემოლიზური თვისებების გაძლიერება; ლევომიციტინთან - ძლიერდება აგრანულოციტოზის განვითარების ალბათობა; ნიტროფურანთან ანემია და მეტჰემოგლობინემია; ოქსაცილინთან - ქვეითდება ანტიბიოტიკის აქტივობა; შეუთავსებელია რკინისა და მძიმე მეტალების მარილებთან (იხილეთ სტრუქტოციდი).

გამოშვების ფორმა: ფხვნილი, 0,25 და 0,5 გრ-იანი აბები.

შენახვის წესები: მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

### I.4.3. ნორსულფაზოლის ნატრიუმის მარილი - NORSULFAZOLUM-NATRIUM

სინონიმებია: Норсульфазол растворимый, Norsulfazolum solubile, **Sulfathiazolum natricum**, Sulfathiazolum sodium.

ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება უკუჩვენება და თანამოვლენები: იგივე აქვს, რაც ნორსულფაზოლს.

გამოყენების თავისებურება: ნორსულფაზოლის ნატრიუმის მარილი კარგად იხსნება წყალში, ამიტომ შესაძლებელია ამ პრეპარატის 5-10%-იანი წყალხსნარის გამოყენება ადგილობრივად აპლიკაციების სახით.

*გამოშვების ფორმა:* ფხვნილი.

*შენახვის წესები:* შუქისა და ნესტისაგან დაცულ ჭურჭელში.

*რეცეპტურა:* Rp.: Sol. Norsulfazoli-natrii 5% 20 ml

D.S. ტურუნდების სახით პაროდონ-  
ტალურ ჯიბეებში შესატანად.

#### I.4.4. ინჰალიპტი- INHALYPTUM

კომბინირებული პრეპარატი, რომელიც გამოდის აეროზოლის სახით და შეიცავს: 0,75 გრ. სტრეპტოციდს, 0,75 გრ. ნორსულფაზოლს, 0,015 გრ. ევკალიპტის ზეთს, 0,015 გრ. პიტნის ზეთს, 1,8 გრ. 95%-იანი ეთილის სპირტს, 1,5 გრ. შაქარს, 2,1 გრ. გლიცერინს, 0,9 გრ. ტვინ-80-ს და 30 გრამამდე წყალს.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება და თანამოვლენები:* იგივე, რაც სტრეპტოციდს და ნორსულფაზოლს.

*გამოყენების თავისებურება:* აეროზოლის ხმარების წინ საჭიროა პირის ღრუში თბილის წყლის გამოვლება და სტერილური ბამბის ტურუნდებით ნეკროზულ-ეროზიულ უბნებზე ნადებების მოშორება. გამოყენების წინ აუცილებელია ფლაკონის კარგად შენჯღრევა და პრეპარატის შეფრქვევა 1-2 წამის განმავლობაში. შემდეგ ინჰალიპტს პირის ღრუში ვტოვებთ 5-7 წუთის განმავლობაში. ინჰალაცია ტარდება დღეში 3-4-ჯერ.

*უკუჩვენება:* სულფანილამიდებისა და ეთერზეთებისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა.



გამოშვების ფორმა: აეროზოლურ ჭურჭელში.

შენახვის წესები: +3-დან +35°C ტემპერატურამდე. ჭურჭელი უნდა იქნეს დაცული მექანიკური დაზიანებისაგან.

#### 1.4.5. სულფაზინი - SULFAZINUM

სინონიმები: Adiazin, Debenal, Pirimal, Pyrimal, **Sulfadiazin**, **Sulfadiazinum**, Sulfapyrimidin, Ultradiazin და სხვა.

ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, უკუჩვენება და თანამოვლენები: იგივე აქვს, რაც ნორსულფაზოლს.

გამოყენების თავისებურება: პრეპარატი ინიშნება per os მისაღებად, მოზრდილებში 6-8 სთ-ში ერთხელ, ბავშვებში 4-6 სთ-ში ერთხელ.

დოზები: მოზრდილებს ენიშნებათ პირველ მიღებაზე - 2 გრ. მძიმე ფორმის ანთებადი დაავადებების დროს 4 გრ. ყველა შემდგომ მიღებაზე ინიშნება 1 გრ.

ბავშვებს პირველ მიღებაზე 0,1 გრ/კგ წონაზე გაანგარიშებით. ყოველ შემდგომ მიღებაზე 0,025 გრ/კგ წონაზე.

მკურნალობის კურსი: კლინიკური ნიშნების გაქრობის შემდეგ კიდევ 3 დღე.

გამოშვების ფორმა: ფხვნილი, 0,5 გრ-იანი აბები.

შენახვის წესები: შუქისაგან დაცული ადგილი.

### 1.4.6. სულფადიმიმეზინი - SULFADIMEZINUM

**სინონიმები:** Diazil, Diazol, Dimethazil, Dimethyldebenal, Dimethylsulphadiazine, Dimethylsulphapyrimidine, Pirmazin, Sulfadimerazine, **Sulfadimidine**, **Sulfadimidinum**, Sulfamethazine, Sulfamezathil, Sulfamezathine, Sulmet, Sulphadimethylpyrimidine, Sulphadimidine, Superseptyl.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** აქვს გამოხატული ანტიბაქტერიული მოქმედება გრამდადებით (სტრეპტოკოკი, პნევმოკოკი, სტაფილოკოკი, ენტეროკოკი) და გრამუარყოფით (ნაწლავის ჩხირი, პროტეები და სხვ.) მიკრობებსა და ზოგიერთ უმარტივესზე.

**ჩვენება:** პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის და ყბა-სახის მიდამოს ანთებადი დაავადებების მკურნალობა.

**გამოყენების თავისებურება:** სტომატოლოგიურ პრაქტიკაში იხმარება per os, მოზრდილებში მისაღებად ყოველ 4 საათში ერთხელ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე ანტიბიოტიკებთან კომბინაციაში.

**დოზები:** მოზრდილებში პირველ მიღებაზე 2 გრ, შემდეგ 1 გრ.

ბავშვებში 3 წლამდე პირველ დღეს 0,1 გრ/კგ. წონაზე, შემდეგ 0,025 გრ/კგ-ზე გაანგარიშებით; 3 წლის ზევით 0,4-დან 0,75 გრამამდე ერთჯერადი დოზით.

სულფადიმიმეზინით მკურნალობისას აუცილებელია ინტენსიური ტუტე სასმელების მიღება (იხ. ნორსულფაზოლი, გვ.57).

**მკურნალობის კურსი:** მოზრდილებში 25-30 გრამი სულფადიმეზილი ერთ კურსზე.

ბავშვებში 7 დღე.

**უკუჩვენება და თანამოვლენები:** იგივე აქვს, რაც ნორსულფაზოლს.

**გამოშვების ფორმა:** 0,25 და 0,5 გრ-იანი აბები.

**შენახვის წესები:** მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

#### I.4.7. ეტაზოლი - AETAZOLUM

**სინონიმები:** Globucid, Sethadil, **Sulfaethidole, Sulfaethidolum, Sulphaethylthiadiazole.**

**ფარმაკოლოგიური მოქმედება და ჩვენება:** იგივე, რაც სხვა სულფანილამიდებს, მაგრამ ეტაზოლი მათთან შედარებით ნაკლებად ტოქსიურია და არ ცვლის პერიფერიული სისხლის სურათს.

**გამოყენების თავისებურება:** სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება ადგილობრივად ფხვნილი შესაფრქვევად და აპლიკაციების სახით, ასევე ზოგადად აბები per os მისაღებად ყოველ 4 საათში ერთხელ.

**დოზები:** მოზრდილებში - ინიშნება 1 გრ. დღეში 4-5-ჯერ.

ბავშვებში 2 წლამდე 0,1-0,3 გრ; 2-5 წელი 0,3-0,4 გრ; 5-12 წელი 0,5 გრ.

**თანამოვლენები:** იშვიათია გულისრევა და პირღებინება.

**უკუჩვენება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

გამოშვების ფორმა: ფხვნილი, 0,25 და 0,5 გრ-იანი აბები.  
შენახვის წესები: მჭიდროდ თავდახურული ჭურჭელი.

#### I.4.8. ეტაზოლ-ნატრიუმი - AETAZOLUM-NATRIUM

სინონიმები: *Этазол растворимый, Aetazolum solubile, Sulfaethidolum natricum.*

ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება თანამოვლენები და უკუჩვენება: იგივე აქვს, რაც ეტაზოლს.

გამოყენების თავისებურება: სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ეტაზოლ-ნატრიუმის სუსპენზია იხმარება ადგილობრივად აპლიკაციების სახით. ეტაზოლ-ნატრიუმის გრანულებისაგან *Granulae Aethzoli natrii pro infantibus* - სუსპენზიის დასამზადებლად 60 გრ. გრანულა იხსნება 30-40°C ტემპერატურის 100 მლ გადადუღებულ წყალში. ნახევარი საათის განმავლობაში ჭურჭელი პერიოდულად უნდა შეინჯდრეს. 1 მლ. სუსპენზია შეიცავს 0,02 გრ. ეტაზოლის ნატრიუმიან მარილს.

მკურნალობის კურსი: 7-10 დღე.

გამოშვების ფორმა: ფხვნილი, 10% და 20%-იანი ხსნარი ამპულებში, გრანულები.

შენახვის წესები: მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

**რეცეპტურა:** Rp.: Granulae Aethazoli-natrii pro  
infantibus 100ml

D.S. პირის ღრუს ლორწოვანი  
გარსისა და პაროდონტალური  
ჯიბეების დასამუშავებლად

### I.4.9. სულფაცილის ნატრიუმი

#### - SULFACYLUM-NATRIUM

**სინონიმები:** Альбуцид-натрии, Сульфацил растворимый, Acetopt, **Albucid-natrium**, Almocetamide, Octsetan, Ophthalimide, Prontamide, Sebizon, Sodium sulfacetamide, **Sulfacetamidum natricum**, Sulfacylum soluble, Sulfaprocul და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ეფექტურია სტაფილოკოკებთან, სტრეპტოკოკებთან, გონოკოკებთან, პნევმოკოკებთან და ნაწლავის ჩხირთან მიმართებაში.

**ჩვენება:** გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილთა ინფექციურ-ანთებადი დაავადებების სამკურნალოდ.

**გამოყენების თავისებურება:** ლორწოვანი გარსის ეპითელი-ზაციამდე შესაძლებელია პრეპარატის ფხვნილის მიფრქვევა დაზიანებულ უბანზე ღღეში 5-6-ჯერ. ასევე 10% ან 20%-იანი ხსნარით (თვალის წვეთები) პაროდონტალური ჯიბეების დამუშავება.

**თანამოვლენები:** იშვიათად აღინიშნება ლორწოვან გარსზე გამაღიზიანებელი მოქმედება.

**უკუჩვენება:** იხ. სხვა სულფანილამიდებზე ტოქსიურ-ალერგიული რეაქციები.

**გამოშვების ფორმა:** ფხვნილი, 30%-იანი ხსნარი ამპულებში ინექციისათვის, 20%-იანი ხსნარი (თვალის წვეთები), 30%-იანი მალამო.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცული ადგილი.

**რეცეპტურა:** Rp.: Sol. Sulfacyli-natrii 20% 10 ml  
D.S. პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად.

Rp.: Sol. Sulfacyli-natrii 10% 10 ml

D.S. პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად.

#### I.4.10. უროსულფანი - UROSULFANUM

**სინონიმები:** Euvernil, **Sulfacarbamidum**, Sulfonilcarbamid, Uramid და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ეფექტურად მოქმედებს სტაფილოკოკებსა და ნაწლავის ჩხირზე.

**ჩვენება:** პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილთა ანთებადი დაავადების მკურნალობა.

**გამოყენების თავისებურება:** სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ინიშნება per os მისაღებად დღეში 4-5-ჯერ.

**დოზები:** მოზრდილებში 0,5-1,0 გრ. სადღეღამისო დოზა საშუალოდ 3 გრამია.

ბავშვებში - სადღეღამისო დოზა 1,0-2,5 გრ-მდე.

მეურნალობის კურსი: 12-14 დღე.

გამოშვების ფორმა: 0,5 გრ-იანი აბები.

შენახვის წესები: მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში.

რეცეპტურა: Rp.: Tab. Urosulfani 0,5 N24

D.S. 2 აბი 3-ჯერ დღეში

#### 1.4.11 სულფაპირიდაზინი - SULFAPYRIDAZINUM

*სინონიმები:* Квинтосентил, Кинекс, Спофадазин, Суламин, Altezol, Aseptilex, Davosin, Deposulfal, Depot-sulfamid K, Depovernil, Durasulf, Kynex, Lederkyn, Lentosulfa, Lidazin, Longamid, Longisulf, Midicel, Midikel, Myasulf, Neosulfon, Novosulfin, Pirasulfon, Quinoseptyl, Retasulfin, Spofadazin, Sulamin, Sulfadazina, Sulfadurazin, Sulfalex, Sulfamethopyrazine, **Sulfamethoxypridazine**, **Sulfamethoxypridazinum**, Sulfurene, Sulphamethoxypiridizin და სხვა.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* სულფაპირიდაზინი მიეკუთვნება ხანგრძლივი მოქმედების სულფანილამიდებს. პრეპარატი ეფექტურია გრამდადებითი (სტაფილოკოკი, სტრეპტოკოკი, პნევმოკოკი, ენტეროკოკი) და გარმუარყოფითი (ნაწლავის და დიზენტერიის ჩხირი, გონოკოკი, მენინგოკოკი, პროტეების ზოგიერთი შტამი) ბაქტერიების, ასევე ზოგიერთი უმარტივესის (ტოქსოპლაზმები და სხვა) მიმართ. არ მოქმედებს სხვა სულფანილამიდებისადმი მდგრად მიკროორგანიზმებზე.

**ჩვენება:** იხმარება პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს მწვავე ინფექციური დაავადებების მკურნალობის კომპლექსი.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება აბები per os მისაღებად დღეში ერთხელ.

**დოზები:** მოზრდილებს პირველი დღე: 1-2გრ. შემდგომ მთელი მკურნალობის კურსი გრძელდება ყოველ მიღებაზე 0,5-1 გრ. დოზით დაავადების სიმძიმის გათვალისწინებით.

ბავშვებში 4 წლამდე: პირველ დღეს 25 მგრ/კგ წონაზე, შემდგომ მიღებებზე 12,5 მგრ/კგ წონაზე; 4-12 წელი პირველ დღეს 0,5 გრ, ყოველ შემდგომ მიღებაზე 0,25 გრ; 12-18 წელი პირველ დღეს 1 გრ, შემდეგ მიღებებზე 0,5 გრ.

**მკურნალობის კურსი:** საშუალოდ 5-7 დღე. ჩვენებისა და პრეპარატისადმი შეუთავსებლობის არარსებობის დროს შესაძლებელია კურსი გაგრძელდეს 2 კვირამდე.

**თანამოვლენები:** იშვიათია თავის ტკივილი, ლეიკოპენია, დისპეპსიური მოვლენები, ალერგიული რეაქციები.

**უკუჩვენება:** ანამნეზში სხვა სულფანილამიდური პრეპარატების მიმართ გამოხატული ტოქსიურ-ალერგიული რეაქციები. სულფაპირიდოზინის სიფრთხილით დანიშვნაა საჭირო სისხლმბადი და სისხლის მიმოქცევის სისტემის, თირკმლებისა და ღვიძლის ფუნქციის დარღვევების მქონე ავადმყოფებში.

**ურთიერთმოქმედება სხვა პრეპარატებთან:** სულფაპირიდოზინის ერთრომიცინთან, ლინკომიცინთან, ნოვომიცინთან და ტეტრაციკლინთან ერთდროულად გამოყენებისას ძლიერდება ანტიბაქტერიული აქტივობა, ფართოვდება მოქმედების სპექტრი; რიმფამპიცინთან, სტრეპტომიცინთან, მონომიცინ-



თან, კანამიციინთან, გენტამიციინთან, ნიტროქსილინთან პრეპარატის ანტიბაქტერიული მოქმედება არ იცვლება; ნევი-გრამონთან აღინიშნება ანტაგონიზმი; ლევომიცეტინთან, ნიტროფურანებთან - ხდება აქტიურობის დაქვეითება.

*გამოშვების ფორმა:* ფხვნილი, 0,5 გრ-იანი აბები.

*შენახვის წესები:* შუქისაგან დაცული ადგილი.

#### 1.4.12. სულფაპირიდაზინის ნატრიუმი - SULFAPYRIDAZINUM-NATRIUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, თანამოვლენები და უკუჩვენება:* იგივე აქვს, რაც სულფაპირიდაზინს.

*გამოყენების თავისებურება:* პრეპარატი კარგად იხსნება წყალსა და ფიზიოლოგიურ ხსნარში, ამიტომ მისი გამოყენება შეიძლება ადგილობრივადაც. ეფექტურია მკურნალობის კომპლექსური მეთოდის გამოყენება: პრეპარატი ინიშნება per os მისაღებად დღეში ერთხელ და ადგილობრივად 3%-იანი ხსნარი აპლიკაციების ან ტურუნდების სახით.

*დოზები:* მოზრდილებში პირველ დღეს 1 გრ, ყოველ შემდგომ მიღებზე 0,5 გრ.

ბავშვებში 4 წლამდე პირველ დღეს 25 მგრ/კგ წონაზე, შემდგომ მიღებებზე 12,5 მგრ/კგ წონაზე; 4-12 წელი პირველ დღეს 0,5 გრ, ყოველ შემდგომ მიღებაზე 0,25 გრ; 12-18 წლამდე პირველ დღეს 1 გრ, შემდეგ მიღებებზე 0,5 გრ.

*მკურნალობის კურსი:* 7-14 დღე. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება კურსის განმეორება 1 თვის შემდეგ.

*გამოშვების ფორმა:* ფხვნილი.

შენახვის წესები: მშრალი ადგილი.

### I.4.13. სულფამონომეტოქსინი - SULFAMONOMETHOXINUM

ხანგრძლივი მოქმედების სულფანილამიდური პრეპარატია.

სინონიმები: Daimeton, Duphadin, **Sulfamonomethoxine**.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, თანამოვლენები და უკუჩვენება:* იგივე აქვს, რაც სულფაპირიდოზინს.

*გამოყენების თავისებურება:* ინიშნება per os მისაღებად დღეში ერთხელ.

*დოზები:* მოზრდილებში - პირველ დღეს 1 გრ, ყოველ შემდგომ მიღებაზე 0,5 გრ. მძიმე ფორმის ინფექციური დაავადების დროს დოზები ორმაგდება.

ბავშვებში პირველ დღეს 25 მგრ/კგ წონაზე, ყოველ შემდგომ მიღებაზე 12,5 მგრ/კგ წონაზე.

*მკურნალობის კურსი:* 7-14 დღე.

*გამოშვების ფორმა:* ფხვნილი, 0,5 გრ-იანი აბები.

შენახვის წესები: შუქისაგან დაცული ადგილი.

#### I.4.15. სულფადიმეთოქსინი - SULFADIMETHOXINUM

მიეკუთვნება ხანგრძლივი მოქმედების სულფანილამიდებს.

**სინონიმები:** Депосул, Мадрибон, Мадроксин, Agri-bon, Aristin, Deposul, Depot-Sulfamid, Fuxal, Madri-bon, Madriquad, Madroxine, Sulfadimetoxine, Sulfastop, Sulxin, Supersulfa, Ultrasulfan, Wysulfa და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, გამოყენების თავი-სებურება, დოზები, მკურნალობის კურსი, თანამოვლენები და უკუჩვენება:** იგივე აქვს, რაც სულფაპირიდაზინს.

**შენიშვნა:** სხვა სულფანილამიდური პრეპარატებისაგან განსხვავებით სულფადიმეთოქსინი ნაკლებად გადის ჰემატო-ენცეფალურ ბარიერში.

**ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან:** შეიძლება ერთ-დროულად დაინიშნოს პენიცილინის და ერიტრომიცინის რი-გის ანტიბიოტიკებთან (იხ. სტრეპტოციდი, ნორსულფაზოლი და სულფაპირიდაზინი).

**გამოშვების ფორმა:** ფხვნილები, 0,2 და 0,5 გრ-იანი აბე-ბი.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცული ადგილი.

#### I.4.16. კო-ტრიმექსაზოლი - CO-TRIMEXAZOLE

**სინონიმები:** Апо-сульфатрин, Бактекод, Бакторе-дукт, Бактрим, Берлоцид, Бисептол, Котрим, Котримоксазол, Новотримел, Орибакт, Ориприм, Селтрин, Синерсул, Сульфаметоксазол/триметоприм, Сульфатрим, Суметро-

ლიმ, Тимосул, Циплин, Abacin, At ictrim, Andoprim, Bacterial, Bactigel, Bactofer, Bacte amin, Bacterimel, **Bactrin**, Bacterisol, Berlocid, **Bisepto.**, Chemitrin, Doc-tonil, Ectaprim, Espectrin, Falprin, Gantrin, Infectrim, Metomide, Microcetim, Nolapse, Oradin, Oribact, Pote-sept, Primazol, Resprim, Septocid, Septrin, Sumetrolim, Trimexazol, Trixazol, Uroxen, Vanadyl და სხვა.

ეს არის კომბინირებული პრეპარატი, რომელიც შეიცავს 5 წილ სულფამეტოქსაზოლსა (Sulfamethoxazolium) და ერთ წილ ტრიმეტოპრიმს (Trimethoprimum).

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ეფექტურია სტაფილოკოკების, სტრეპტოკოკების, პნევმოკოკების, ნაწლავისა და დიზენტერიის ჩხირის, პროტეების წინააღმდეგ გამოყენებისას. არ მოქმედებს ტუბერკულოზის მიკობაქტერიაზე, სპიროქეტებსა და ლურჯ-მწვანე ჩხირზე.

*ჩვენება:* გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, პაროდონტის ქსოვილთა და ყბა-სახის ანთებადი დაავადებების სამკურნალოდ.

*გამოყენების თავისებურება:* სტომატოლოგიურ პრაქტიკაში იხმარება პრეპარატის ორალური სუსპენზია ადგილობრივად, პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად. ერთი მილიგრამი სუსპენზია შეიცავს 40 მგრ სულფამეტოქსაზოლს და 8 მგრ ტრიმეტოპრინს. ასევე ინიშნება აბები per os მისაღებად 2-ჯერ დღეში.

*დოზები:* მოზრდილებში - 1 აბი (0,48 გრ).

**მკურნალობის კურსი:** 5-14 დღე.

**თანამოვლენები:** ჩვეულებრივ კარგად გადაიტანება, იშვიათია პირღებინება, გულისრევა, ალერგიული რეაქციები.

**უკუჩვენება:** სხვა სულფანილამიდებისადმი აწეული მგრძნობელობა, სისხლმბადი და სისხლის მიმოქცევის სისტემის, ღვიძლისა და თირკმელების ფუნქციის მოშლილობანი, ორსულობა. პრეპარატის დანიშვნა არ შეიძლება ახალშობილებსა და დღენაკულ ბავშვებში.

**გამოშვების ფორმა:** ორალური სუსპენზია, 0,12 და 0,48 გრ-იანი აბები.

**შენახვის წესები:** გრილი ადგილი.

## I.5. ნიტროფურანის რიგის პრეპარატები

ნიტროფურანის რიგის პრეპარატებს აქვთ გამოხატული ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება. ისინი უარყოფით გავლენას ახდენენ გრამდადებით, გრამუარყოფით ბაქტერიებზე, ზოგიერთ ვირუსზე, ტრიქომონებსა და ლამბლიებზე. რიგ შემთხვევაში ამ ჯგუფის პრეპარატები თრგუნავენ ანტიბიოტიკებისა და სულფანილამიდების მიმართ მდგრადი მიკრობების ზრდასა და გამრავლებას. ბოლო წლებში ახალი ფართო სპექტრის ანტიბიოტიკების გამოჩენასთან ერთად ნიტროფურანის რიგის პრეპარატების, როგორც სისტემური ანტიმიკრობული საშუალებებად გამოყენება შეიზღუდა. მიუხედავად ამისა, ამ ჯგუფის პრეპარატები მაინც იხმარება სამედიცინო პრაქტიკაში როგორც ადგილობრივი, ასევე ზოგადი თერაპიისათვის ანთებადი ბუნების დაავადებათა მკურნალობის კომპლექსში.

დღეისათვის არსებობს ნიტროფურანის რიგის მრავალი პრეპარატი, მაგრამ სტომატოლოგიურ პრაქტიკაში მხოლოდ ზოგიერთი მათგანი გამოიყენება. ესენია:

### I.5.1. ფურაცილინი - FURACILINUM

*სინონიმები:* Акутол, Acutol, Amifur, Chemofuran, Flavazone, Furacin, Furaldon, Furosem, Nitrofural, Nitrofuran, Nitrofurazon, Otofural, Vabrocid, Vatrocin, Vitrocin და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ახლე ს ბაქტერიოციდულ მოქმედებას გრამდადებით და გრამუარყოფით მიკრობებზე (სტაფილოკოკი, სტრეპტოკოკი, ნაწლავის და დიზენტერიის ჩხირი, სალმონელები).

**ჩვენება:** გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის ანთებადი დაავადებების სამკურნალოდ, პირის ღრუს, ფესვის არხების ანტისეპტიკური დამუშავებისათვის.

**გამოყენების თავისებურება:** სტომატოლოგიურ პრაქტიკაში იხმარება ფურაცილინის 0,02%-იანი წყალხსნარი და 0,2%-იანი მალამო. 0,02%-იანი (1:50000) წყალხსნარის მოსამზადებლად 1 წილი პრეპარატი იხსნება 5000 წილ ფიზიოლოგიურ ხსნარში ან გამოხდილ წყალში. პრეპარატის სწრაფი გახსნისათვის შესაძლებელია ცხელი წყლის გამოყენება. შემდგომ იგი უნდა გაცივდეს ოთახის ტემპერატურაზე. ასეთი წესით მომზადებული ფურაცილინის 0,02%-იანი ხსნარის გამოყენება შეიძლება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

ფურაცილინის 0,2%-იანი მალამოს მომზადება შეიძლება შემდეგი წესით: პრეპარატი უნდა გაიხსნას მცირე მოცულობის ვაზელინის ზეთში და დაიდგას ოთახის ტემპერატურაზე 10-20 საათის განმავლობაში. შემდეგ უნდა დაემატოს პირის ღრუში გამოყენებადი ნებისმიერი მალამო (ვაზელინი, ლანოლინი და სხვა) შესაბამისი პროცენტული შემცველობის მიღებამდე.

**უკუჩვენება:** პრეპარატისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა, ქრონიკული ალერგიული დერმატიტები.

**თანამოვლენები:** ადგილობრივად გამოყენებისას იშვიათად აღინიშნება ალერგიული რეაქციები. პრეპარტის მოხსნის შემდეგ ეს მოვლენები ქრება.

**გამოშვების ფორმა:** ფხვნილი, 0,1 და 0,2 გრ-იანი აბები, 0,2%-იანი მალამო.

**შენახვის წესები:** მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში, მშრალ, გრილ, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

**რეცეპტურა:** Rp: Sol. Furacilini 0,02% 200ml

D.S. პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად.

Rp: Ung. Furacilini 0,2% 25,0

D.S. პაროდონტის ანთებადი დაავადებებისას აპლიკაციებისათვის

Rp: Tab. Furacilini 0,02

ad usum. externum N10

D.S. 1 აბი გაიხსნას 100 გრ. წყალში, პირის ღრუში გამოსავლებად.

### 1.5.2. ფურაზოლიდონი - FURAZOLIDONUM

**სინონიმები:** Disfurone, Furazolidone, Furoxon, Niftin, Neocolene, Nifulidone, Optazol, Rivopen-O, Trichofuron, Tricofurin, Trifurox და სხვა.



**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ბაქტერიოციდულად მოქმედებს გრამდადებით და გრამუარყოფით მიკროორგანიზმებზე და ტრიქომონაზე, ასევე ანტიბიოტიკებისა და სულფანილამიდების მიმართ მდგრად ზოგიერთ მიკროორგანიზმებზე. ფურაზოლიდონის მიმართ მდგრადი მიკრობები ყალიბდება იშვიათად და დიდი ხნის შემდეგ. პრეპარატი ფურაცილინისა და ფურადონინისაგან განსხვავებით უფრო აქტიურია გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ. ასევე ნაკლებტოქსიურია მათთან შედარებით.

**ჩვენება:** გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის ანთებადი დაავადებების, წყლულოვან-ეროზიული დაზიანებების სამკურნალოდ. პრეპარატი ეფექტურია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფლორაში სჭარბობს გრამუარყოფითი ბაქტერიები და ტრიქომონები.

**გამოყენების თავისებურება:** სტომატოლოგიურ პრაქტიკაში იხმარება ფურაზოლიდონის გრანულებისაგან Granulae Furazolidoni pro infantibus დამზადებული სუსპენზია, ხსნარები და აბები. ფურაზოლიდონის სუსპენზიის მოსამზადებლად 150 მლ-იან ჭურჭელში მოთავსებულ 50 გრ. პრეპარატის გრანულებს არსებულ დანაყოფამდე უმატებენ ადუღებულ თბილ წყალს და აცივებენ ოთახის ტემპერატურამდე. ხმარების წინ სუსპენზია კარგად უნდა შეინჯდრეს. ამ სახით ფურაზოლიდონი გამოიყენება პირის ღრუში აპლიკაციების სახით.

პირის ღრუში გამოსავლებად მზადდება ფურაზოლიდონის 1:25000 კონცენტრაციის წყალხსნარი.

პაროდონტოლოგიაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ პრეპარატით კომპლექსური მკურნალობის შემდეგი სქემა: ავადმყოფს ენიშნება per OS მისაღებად 0,1 გრ. ფურაზოლიდონი დღეში 3-4-ჯერ ჭამის შემდეგ 3 დღე, პარალელურად უტარდება ადგილობრივი თერაპია 7-10 დღის განმავლობაში.

**დოზები:** მოზრდილებში - 0,1 გრ (2 აბი) 3-4-ჯერ დღეში.

ბავშვებში ენიშნება სუსპენზია დღეში 4-ჯერ შემდეგი ერთჯერადი დოზით: 1 წლამდე 4 მლ, 1-2 წელი 4-5 მლ, 3-4 წელი - 6-7 მლ, 5-6 წელი 7,5-8,5 მლ. გამოყენების წინ სუსპენზია უნდა შეინჯღრეს.

**უკუჩვენება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

**თანამოვლენები:** per OS მიღების დროს შესაძლებელია მადის დაკარგვა, პირღებინება, გულისრევა, იშვიათად ალერგიული რეაქციები (ეკზემთემა, ენანთემა). თანამოვლენების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად ავადმყოფმა პრეპარატს უნდა მიაყოლოს დიდი რაოდენობის სითხე. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შემცირდეს ფურაზოლიდონის დოზა ან დაინიშნოს ანტიბიოტიკამინური პრეპარატები.

**შენიშვნა:** ფურაზოლიდონს აქვს უნარი მოახდინოს ორგანიზმის სენსიბილიზაცია ალკოჰოლის მიმართ. პრეპარატის 10-12 დღის მიღების შემდეგ ყალიბდება პირობით რეფლექსური რეაქცია ალკოჰოლურ სასმელებზე. ამის გამო შესაძლებელია ავადმყოფს აღენიშნოს სახისა და კისრის მიდამოში წვის, კეფაში სიმძიმის შეგრძნება, იშვიათად ამ მოვლენებს შეიძლება თან დაერთოს ტაქიკარდიაც.

**გამოშვების ფორმა:** გრანულები, 0,05 გრ-იანი აბები.

**შენახვის წესები:** მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

**რეცეპტურა:** Rp: Granulae Furazolidoni pro infantibus

D.S: მინის ჭურჭეში არსებულ გრანულებს ემატება 100 გრ. წყალი. იხმარება პაროდონტალური ჯიბეების, წყლულების და ეროზიების დასამუშავებლად.

### 1.5.3. **ფურაზოლინი - FURAZOLINUM**

**სინონიმები:** Altafur, Furaltadone, Furmethonol, Nitrofurmethonum, Viofural და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** პრეპარატი ბაქტერიოციდულად მოქმედებს გრამდადებით და გრამუარყოფით ბაქტერიებზე. მისი გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია სტაფილოკოკებით, სტრეპტოკოკებით და პნევმოკოკებით გამოწვეული შერეული ინფექციების სამკურნალოდ.

**ჩვენება:** გამოიყენება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებადი დაავადებების სამკურნალოდ.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება per os მისაღებად საკვების მიღებიდან 15-20 წუთის შემდეგ.

**დოზები:** მოზრდილებში - 0,1 გრ. 3-4-ჯერ დღეში.

**ბავშვებში შემდეგი ერთჯერადი დოზით:** 1 წლამდე 0,01-0,015 გრ; 1-2 წელი 0,02 გრ; 2,5 წელი 0,03-0,04 გრ; 5-15 წელი 0,05 გრ. დღეში 3-4-ჯერ.

**მკურნალობის კურსი:** 10-14 დღე. პრეპარატის მიღება 2 კვირაზე მეტი ხნით არ არის რეკომენდირებული.

*უკუჩვენება:* გულის, ღვიძლისა და ირემელების მძიმე დაავადებანი, ორგანიზმის აწეული მგრძნობელობა ნიტროფურანის რიგის პრეპარატების მიმართ.

*თანამოვლენები:* ჩვეულებრივ კარგად გადაიტანება. იშვიათად შესაძლებელია პირღებინება, გულისრევა და ალერგიული დერმატიტები.

*გამოშვების ფორმა:* 0,05 გრ-იანი აბები.

*შენახვის წესები:* მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

#### 1.5.4. ფურაგინი - FURAGINUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ბაქტერიოციდულად მოქმედებს გრამდადებით და გრამუარყოფით მიკრობებზე.

*ჩვენება:* გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის ანთებად დაავადებათა სამკურნალოდ.

*გამოყენების თავისებურება:* სტომატოლოგიურ პრაქტიკაში იხმარება ფურაგინის ფხვნილი გახსნილი ფიზიოლოგიურ ხსნარში 1:13000-თან კონცენტრაციით, ადგილობრივად აპლიკაციების სახით ან პირის ღრუს ანტისეპტიკური დამუშავებისათვის.

*უკუჩვენება და თანამოვლენები:* იგივე, რაც ნიტროფურანის რიგის სხვა პრეპარატებს.

*გამოშვების ფორმა:* ფხვნილი 0,05 გრ-იანი აბები.

*შენახვის წესები:* მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## I.6. სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატები

ორალური კანდიდოზისა და *Candida* ფლორით დაბინძურებული პაროდონტიტის მკურნალობაში წამყვანი ადგილი ეტიოლოგიურ ფაქტორზე მოქმედ სოკოს საწინააღმდეგო (ანტიფუნგალური) პრეპარატებს უჭირავთ.

დღეისათვის მიღებულია ანტიფუნგალური პრეპარატების შეიდეგი ზოგადი კლასიფიკაცია:

პოლიენის რიგის ანტიბიოტიკები: ნისტატინი, ლევორინი, ლევორინის ნატრიუმიანი მარილი, ამფოტერიცინი B, ამფოგლუკამინი, მიკოპეპტინი;

იმიდაზოლის რიგის პრეპარატები: კეტოკონაზოლი (ნიზორალი), კლოტრიმაზოლი, მიკონაზოლი, ბიფონაზოლი;

ტრიაზოლის რიგის პრეპარატები: ფლუკონაზოლი, იტრაკონაზოლი (ორუნგალი);

- N-მეთილნაფტალინის ნაწარმები: ტერბინაფინი (ლამიზილი);

სხვადასხვა: გრიზოფუღვინი, ნიტროფუნგინი, იოდის პრეპარატები, ანილინის საღებავები, დეტერგენტები, ფლუციტოზინი, დეკამინი, ნიფურატილი (მაკმირორი), ტენონიტროზოლი (ატრიკან-250) და სხვა.

პოლიენის რიგის ანტიბიოტიკები ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებია. ისინი სოკოს ციტოპლაზმურ მემბრანაში უკავშირდებიან სტერილს, რითაც ზრდიან მიკრობის შეღწევალობის უნარს. სწორედ ამ მექანიზმის წყალობით პოლიენის რიგის ანტიბიოტიკებს ახასიათებთ ანტიფუნგალური მოქმედება.

ტრიაზოლინისა და იმიდაზოლის რიგის პრეპარატების მოქმედების ეფექტი აიხსნება ამ პრეპარატების მიერ სოკოს

უჯრედის ციტოპლაზმურ მემბრანაში ერგოსტერონის, ფოსფოლიპიდებისა და ტრიგლიცერიდების სინთეზის ინჰიბირებით.

მიუხედავად ჩვენს ხელთ არსებული პრეპარატების დიდი არსენალისა, პაროდონტოლოგიაში მხოლოდ ზოგიერთი მათგანი გამოიყენება. ესენია:

## I.6.1. პოლიენის რიგის ანტიბიოტიკები

### I.6.1.1. ნისტატინი - NYSTATINUM

*სინონიმები:* Anticandine, Fungicidin, Fungistatin, Micostatin, Moronal, Mycostatin, Nistatin, Nystafungin, Nystatin, Stamicin და სხვ.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* მოქმედებს პათოგენურ სოკოზე, განსაკუთრებით Candida-ს გვარის საფუარ სოკოზე, ასევე ასპერგილებზე. პრაქტიკულად არ შეიწოვება საჭმლის მომნელებელ ტრაქტში.

*ჩვენება:* გამოიყენება Candida-ს გვარის საფური სოკოთი გამოწვეული კანდიდოზების, Candida ფლორით დამძიმებული პაროდონტიტის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, ანტიბიოტიკების, ციტოსტატიკების, კორტიკოსტეროიდების დიდი დოზებისა და ხანგრძლივად მიღების დროს.

*გამოყენების თავისებურება:* იხმარება ადგილობრივად, ორალური სუსპენზიის სახით ან აბები საწუწნად ან დასალეჭად ჭამის შემდეგ.

**დოზები:** მოზრდილებში სადღეღამისო დოზაა 1500000 ED - 3000000ED. 1 აბი 500000ED-იანი ან 2 აბი 250000ED-იანი 3-4-ჯერ დღეში საწუწნად ან დასაღებად.

Mycostatin Oral Suspension კი 4-6 მლ (1 მლ შეიცავს 100000ED ნისტატინს) 3-4-ჯერ დღეში.

მძიმე ფორმის გენერალიზებული კანდიდოზის დროს დოზები ორმაგდება.

ბავშვებში წლამდე 100000ED 125000ED; 1-დან 3 წლამდე 250000ED; 3 წლის ზემოთ 100000ED - 1500000ED დღეში 3-4-ჯერ ჭამის შემდეგ.

Mycostatin Oral Suspension 1 წლამდე ასაკის ბავშვებს ენიშნებათ 1 მლ; 1-დან 3 წლამდე 1,5-2 მლ; 3 წლის ზევით 2-3 მლ 3-4-ჯერ დღეში.

კანდიდოზური პეილიტიისა და ანგულიტიის დროს ეფექტურია ნისტატინის მალამოს ხმარება ადგილობრივად 3-4-ჯერ დღეში. 1 გრ მალამო შეიცავს 100000ED ნისტატინს.

**მკურნალობის კურსი:** საშუალოდ 10-14 დღეა. დადებითი კლინიკური და მიკრობიოლოგიური ეფექტის მიღწევის შემდეგ პროფილაქტიკისათვის საჭიროა მკურნალობის კურსის განმეორება ორი-სამი კვირის შემდეგ.

**უკუჩვენება:** არ აქვს.

**თანამოვლენები:** ნისტატინი თითქმის არ არის ტოქსიური. ზოგჯერ ხანგრძლივმა მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს პირ-ღებინება, თავბრუსხვევა, იშვიათად დიარეა. ასეთ შემთხვევაში უნდა შეწყდეს პრეპარატის მიღება ან შემცირდეს დოზები.

**გამოშვების ფორმა:** აბები, ორალური სუსპენზიები, ვაგინალური აბები, მალამო.

**შენახვის წესები:** ოთახის ტემპერატურაზე, მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

**რეცეპტურა:** Rp: Tab. Nystatini obductae 250000ED N40  
D.S. 2 აბი 3-4-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ  
საწუწნად ან დასაღეჭად 10-14 დღე.

Rp: Tab. Nystatini obductae 500000ED N40  
D.S. 1 აბი 3-4-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ  
საწუწნად ან დასაღეჭად 10-14 დღე.

Rp: Ung. Nystatini 15,0  
D.S. ტუჩებსა და ტუჩის კუთხეებზე  
წასასმელად 3-4-ჯერ დღეში 10-14 დღე

### 1.6.1.2. ლევორინი - LEVORINUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება და ჩვენება:** ახლოს დგას ნისტატინთან.

**გამოყენების თავისებურება:** იხმარება ტრანსბუკალური აბები საწუწნად, ხსნარი 1:500 თანაფარდობით საელებად. 1 აბი შეიცავს 500000ED ანტიბიოტიკს. აბი უნდა იწუწნებოდეს პირის ღრუში 10-15 წთ-ის განმავლობაში.

ლევორინი გამოდის ორალური სუსპენზიის მოსამზადებელი ფხვნილის სახითაც. ერთი ფლაკონი ლევორინის სუსპენზია შეიცავს 2000000ED ან 4000000ED ლევორინს. ფლაკონზე აღნიშნულ ნიშნამდე ემატება ადუღებული გაცი-



კებული წყალი. ერთი ჩაის კოვზი სუსპენზია ( 5 მლ) შეიცავს 100000ED ლევორინს, ხმარების წინ აუცილებელია ფლაკონის შენჯღრევა. სუსპენზია ინიშნება იგივე დოზებში, როგორც ტრანსბუკალური აბები.

ლევორინის ხსნარის მოსამზადებლად საჭიროა 2 გრ ლევორინი (1 გრ ლევორინი შეიცავს 25000 ED) გავხსნათ 20 მლ 95%-იანი სპირტში. 5-10 წუთის შემდეგ სპირტხსნარს უმატებენ 300-400 მლ დისტილირებურ წყალს და შემდეგ კვლავ დისტილირებურ წყლის დამატებით ავსებენ 1000 მლ-მდე. ხსნარს ანჯღრევენ 10 წუთი. ხმარების წინ კვლავ აუცილებელია შენჯღრევა. ხსნარი ვარგისია 24 სთ-ის განმავლობაში.

კანდიდოზური ჰეილიტიისა და ანგულიტის დროს გამოიყენება ლევორინის მალამო. 1 გრ მალამო შეიცავს 500000ED ლევორინს. ინიშნება ადგილობრივად, დაზიანების ადგილზე 3-4-ჯერ დღეში.

დოზები: მოზრდილებს ენიშნებათ 1 აბი 2-4-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

ბავშვებს 3-დან 10 წლამდე 1/4 აბი (125000ED); 10-დან 15 წლამდე 1/2 აბი (250000ED) 2-4-ჯერ დღეში; 15 წლის ზევით ისევე, როგორც მოზრდილებში; 2 წლამდე ასაკის ბავშვებს უმჯობესია დავუნიშნოთ პრეპარატი პირის ღრუში შესაფრქვევად 25000ED/კგ წონაზე დღე-ღამის განმავლობაში.

მკურნალობის კურსი: 10-14 დღეა. დაავადების მძიმე ფორმის შემთხვევაში აუცილებელია განმეორებითი კურსის ჩატარება ორი-სამი კვირის შემდეგ.

**თანამოვლენები:** ლევორინის per os მიღების დროს შესაძლებელია დიარეა, პირღებინება, კანზე ალერგიული გამონაყარი, ქავილი, საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფს ენიშნება ანტიჰისტამინური პრეპარატები.

**უკუჩვენება:** ორსულობა, ღვიძლის დაავადებები, კუჭ-ნაწლავის მწვავე ანთებები, თორმეტგოჯა ნაწლავისა და კუჭის წყლულოვანი დაავადებანი.

**გამოშვების ფორმა:** აბები, ტრანსბუკალური აბები, ორალური სუსპენზიის მოსამზადებელი ფხვნილი, საკვები ხსნარის მოსამზადებელი ფხვნილი, მალამო.

**შენახვის წესი:** მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+4^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

**რეცეპტურა:** Rp: Tab. Levorini obductae 500000ED  
D.t.d. N50  
S. 1 აბი 3-4-ჯერ დღეში.

Rp: Tab. Levorini obductae 500000ED  
transbuccalis D.t.d. N40  
S. ბუკალური 1 აბი 2-4-ჯერ დღეში  
საწუწნად ჭამის შემდეგ 10-14 დღის  
განმავლობაში.

Rp: Ung. Levorini 30,0  
D.S. ტუჩებსა და ტუჩის კუთხეებში  
წასასმელად 3-4-ჯერ დღეში  
10-12 დღის განმავლობაში

### 1.6.1.3. ლევორინის ნატრიუმის მარილი -

#### LEVORINUM NATRIVM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება და უკუჩვენება:*  
იგივე აქვს, რაც ლევორინს.

*გამოყენების თავისებურება:* ორალური კანდიდოზის დროს პრეპარატი შეიძლება გამოვიყენოთ სავლების, აპლიკაციის და ინჰალაციების სახით.

ინჰალაციისათვის ხსნარი მზადდება უშუალოდ ხმარების წინ. 5 მლ დისტილირებულ წყალში იხსნება ლევორინის ნატრიუმის მარილის ფხვნილი. ინჰალაციის ხანგრძლივობა 7-20 წუთია დღეში 2-3-ჯერ. სავლებისა და აპლიკაციისათვის ლევორინის ნატრიუმის მარილის ხსნარი მზადდება შემდეგი წესით: უშუალოდ ხმარების წინ 20000ED პრეპარატი იხსნება 1 მლ დისტილირებულ წყალში და ინიშნება დღეში 2-3-ჯერ ჭამის შემდეგ.

*დოზები:* მოზრდილებში ერთჯერადად ინჰალაციისათვის იხსნება 100000ED-200000ED ლევორინის ნატრიუმის მარილი.

ბავშვებს ენიშნებათ შემდეგი სადღეღამისო დოზები: 1 წლამდე 40000ED-100000ED; 1-დან 3 წლამდე 100000ED-150000ED; 3 წლის ზევით 150000ED-200000ED.

*მკურნალობის კურსი:* 7-10 დღეა. საჭიროების შემთხვევაში კურსი მეორდება 5-7 დღის შემდეგ.

*თანამოვლენები:* იშვიათად ინგალაციის შედეგად შეიძლება განვითარდეს ხველება, ბრონქოსპაზმი, ტემპერატურის მომატება, ასეთ შემთხვევაში ინჰალაცია უნდა შეწყდეს.

**გამოშვების ფორმა:** ფლაკონები 200000ED-იანი.

**შენახვის წესები:** მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+4^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

**რეცეპტურა:** Rp: Levorini-natrii 200000ED

D.t.d N10

S. ფლაკონის შიგთავსი გაიხსნას 5 მლ დისტილირებულ წყალში. გაკეთდეს სავლები დღეში 2-3-ჯერ ჭამის შემდეგ 7-10 დღე.

#### 1.6.1.4. ამფოტერიცინი B - AMPHOTERICINUM B

**სინონიმები:** Ambostat, Amphotericin B, Fungilin, Fungizone, Seramycetin, Vencidin და სხვ.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** პრეპარატი დამლუპველად მოქმედებს კანდიდებზე, ასპერგილებზე, ჰისტოპლაზმებზე, ბლასტომიცეტებზე, კრიპტოკოკებსა და სხვა არ მოქმედებს დერმატოფიტებზე.

**ჩვენება:** სისტემური მიკოზები: კანდიდოზი, ასპერგილოზი, ბლასტომიკოზი, კოკციდიომიკოზი, ჰისტოპლაზმოზი.

**გამოყენების თავისებურება:** გამოიყენება ვენაში გადასასხმელად, ინჰალაციების სახით და ადგილობრივად. პრაქტიკულად არ შეიწოვება საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. ვენაში წვეთოვნად გადასხმის დროს მოქმედებს ეფექტურად, მაგრამ ტოქსიურობის გამო უნდა გამოვიყენოთ ჩვენებების მიხედვით, დოზირების მკაცრი დაცვით. პარენტერალურად შეყვანის შედეგად აღწევს თითქმის ყველა ორგანოსა და

ქსოვილში, მაგრამ ცუდად გადის ჰემატოენცეფალურ ბარიერს. ორალური კანდიდოზების დროს გამოიყენება ორალური სუსპენზია ჭამის შემდეგ.

**დოზები:** მოზრდილებში 5 მლ დღეში 3-4-ჯერ (1 მლ სუსპენზია შეიცავს 100 მგრ ამფოტერიცინ B-ს).

ბავშვებში 1 წლამდე სადღელამისო დოზაა 0,25 მგ/კგ წონაზე გაანგარიშებით; 1 წლის ზემოთ 0,5 მგ/კგ წონაზე დღეში 3-4-ჯერ.

**მკურნალობის კურსი:** 10 დღე. საჭიროების შემთხვევაში კურსი მეორდება ორი-სამი კვირის შემდეგ.

**თანამოვლენები:** გასტროენტეროლოგიური და ალერგიული ჩივილები, ჰიპოტონია, ნეფროტოქსიურობა (ჰიპოკალიემია, ჰიპომაგნიემია), ნეიროტოქსიურობა (პარეზი, ტრემორი, კრუნჩხვები), ჰემოტოქსიურობა (ანემია), ადგილობრივად გამაღიზიანებელი მოქმედება (ფლებიტები).

**უკუჩვენება:** ღვიძლისა და თირკმლის დაავადებანი, სისხლის მიმოქცევისა და სისხლმბადი სისტემის ფუნქციის მოშლილობანი, შაქრიანი დიაბეტი და პრეპარატისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა. მაგრამ ეს უკუჩვენება პირობითია, სასიცოცხლო ჩვენების, მაგ. კანდიდოზური სეფსის დროს, ამფოტერიცინ B ინიშნება ინტრავენურად.

**გამოშვების ფორმა:** ფხვნილი ვენაში გადასასხმელად გამხსნელით, ორალური სუსპენზია, მალამო.

**შენახვის წესები:** მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+4 - +6^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

### 1.6.1.5. აფსოგლუკამინი - AMPHOGLUCAMINUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** იგივე, რაც ამფოტერიცინ B-ს, მაგრამ მასთან შედარებით ნაკლებტოქსიურია.

**ჩვენება:** სისტემური და ვისცერალური კანდიდოზი, მათ შორის ორალური კანდიდოზი, კოკციდიოდოზი, კრიპტოკოკოზი, ბლასტომიკოზი.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება აბები per os მისაღებად ჭამის შემდეგ.

**დოზები:** მოზრდილებს - 200000ED (2 აბი) დღეში 2-ჯერ.

ბავშვებს დღეში 2-ჯერ შემდეგი ერთჯერადი დოზებით: 2 წლამდე ასაკის ბავშვებს 25000ED (1/4 აბი); 2-დან 6 წლამდე 100000ED (1 აბი); 6-დან 9 წლამდე 150000ED; 9-დან 14 წლამდე 200000ED; 14 წლის ზემოთ იგივე დოზით, როგორც მოზრდილებს.

**მკურნალობის კურსი:** ლოკალიზებული ფორმის კანდიდოზის, მათ შორის ორალური კანდიდოზის დროს, ჩვეულებრივ 10-14 დღე. გენერალიზებული ფორმისა და ღრმა მიკოზების დროს 3-4 კვირა. საჭიროების შემთხვევაში მკურნალობის კურსი შეიძლება გავიმეოროთ 5-7 დღის შემდეგ.

**თანამოვლენები და უკუჩვენება:** იგივე, რაც ამფოტერიცინ-B-ს.

**გამოშვების ფორმა:** 0,1 გრ-იანი აბები.

**შენახვის წესები:** მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+4^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

### 1.6.1.6. მიკოპეპტინი - MYCOHEPTINUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** დამლუპველად მოქმედებს კანდიდებზე, ასპერგილებზე, ჰისტოპლაზმებსა და კრიპტოკოკებზე. per os მიღების დროს ნაწილობრივ შეიწოვება საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. გამოიყოფა შარდთან ერთად.

**ჩვენება:** ვისცერალური მიკოზები, მათ შორის ორალური კანდიდოზიც. გამოიყენება კანდიდოზების, ჰისტოპლაზმოზის, ასპერგილოზის და ზოგიერთი სხვა მიკოზის სამკურნალოდ.

**დოზები:** მოზრდილებს 0,25 გრ (250000ED) 2-ჯერ დღეში.

კანდიდოზური ჰეილიტის დროს ინიშნება გარედან სახმარად მიკოპეპტინის მალამო (1 გრ შეიცავს 15000ED პრეპარატს) დღეში 1-2-ჯერ.

**მკურნალობის კურსი:** 10-14 დღე. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება კურსის განმეორება ორი-სამი კვირის შემდეგ.

**თანამოვლენები:** ძლიერ გამოხატული დისპეპსიური მოვლენები. ასეთ შემთხვევაში მკურნალობის კურსი უნდა შეწყდეს; ალერგიული რეაქციები: კანზე გამონაყარი და ქავილი. საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფს ვუნიშნავთ ანტიპისტამინურ პრეპარატებს. შესაძლებელია გართულებები თირკმლების მხრიდან. ამიტომ, მკურნალობის დროს აუცილებელია ნარჩენი აზოტის მკაცრი კონტროლი, თუ ნარჩენი აზოტის დონე აიწევს 28,6 მმოლ/ლ-ზე მაღლა, ან შარდში აღმოჩნდება ცილები, მკურნალობის კურსი უნდა შეწყდეს ამ ცვლილებების სრულ გაქრობამდე.

**უკუჩვენება:** ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციების მოშლილობანი, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის არასოკოვანი ეტი-

ოლოგიის მწვავე ინფექციური დაავადებანი, ორსულობა, ლაქტაციის პერიოდი.

**გამოშვების ფორმა:** 50000ED ან 100000ED აბები, მალამო.

**შენახვის წესები:** მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+4^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

## I.6.2. იმიდაზოლის რიგის პრეპარატები

### I.6.2.1. კეტოკონაზოლი - KETOCONAZOLE

**სინონიმები:** Низорал, Oponazol, Candoral, Cetonax, Fungocin, Fungoral, Ketonil, Ketozol, Micosept, Orifungal, Oronazol, Panfungol.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ახასიათებს ფართო სპექტრის სოკოსსაწინააღმდეგო მოქმედება. აქტივობის სპექტრით ახლოს დგას ამფოტერიცინ-B-თან, მაგრამ მისგან განსხვავებით მოქმედებს დერმატოფიტებზეც, ხოლო ასპერგილებსა და მუკორზე არ მოქმედებს. ნისტატინისა და ლევორინისაგან განსხვავებით კარგად შეიწოვება საჭმლის მომწელებელ ტრაქტში, შეწოვისათვის აუცილებელია კუჭში მყავე გარემო. კარგად აღწევს ორგანოებსა და ქსოვილებში, მაგრამ თითქმის არ გადის ჰემატონეცეფალურ ბარიერში.

**ჩვენება:** სისტემური და ღრმა მიკოზები, ვისცერალური მიკოზები, მათ შორის ორალური კანდიდოზიც.

**გამოყენების თავისებურება:** სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება per os მისაღებად.



**დოზები:** ორალური კანდიდოზის დროს მოზრდილებში ინიშნება 1-2 აბი დღეში ერთხელ სრულ განკურნებამდე.

ბავშვებში 2 წლის ზევით სადღეღამისო დოზაა 0,05 გრ 20 კგ-მდე წონის ავადმყოფებში; 20-დან 40 კგ-მდე წონის დროს 0,1 გრ (1/2 აბი); 2 წლამდე ასაკის ბავშვებს კეტოკონაზოლი ენიშნებათ მხოლოდ სასიცოცხლო ჩვენებების დროს.

პროფილაქტიკისათვის მოზრდილებს ენიშნებათ 1 აბი დღეში ერთხელ.

**მკურნალობის კურსი:** საშუალოდ 7-10 დღე.

**თანამოვლენები:** გულისრევა, პირღებინება, თავბრუსხვევა, დიარეა, კანის ქავილი, იშვიათად ძილიანობა, ართრალგია, ღვიძლის ფუნქციის მოშლილობანი, ამიტომ აუცილებელია კეტოკონაზოლით მკურნალობის დროს ღვიძლის ფუნქციისა და სისხლის სურათის კონტროლი.

**უკუჩვენება:** ღვიძლის და თირკმლის ფუნქციის მწვავე უკმარისობა, ორსულობა, ლაქტაციის პერიოდი.

**გამოშვების ფორმა:** 0,2 გრ-იანი აბები.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცული ადგილი.

### I.6.2.2. მიკონაზოლი - MICONAZOLE

**სინონიმები:** Гино-дактарин, Дактарин, Aflorig, Albis-tat, Andergin, Daktar, Daktarin, Dermonistat, Drinax, Funginazol, Gynodaktarin, Mezolitan, Micatin, Mico-gyn, Miconal, Micostate, Monistat, Neomicol, Surolan და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** დამლუპველად მოქმედებს კანდიდებზე, დერმატოფიტებსა და ზოგიერთ გრამდადებით ბაქტერიაზე.

**ჩვენება:** კანდიდოზი და დერმატომიკოზი.

**გამოყენების თავისებურება:** ორალური კანდიდოზი მკურნალობის დროს იხმარება მიკონაზოლის გელი ადგილობრივად.

**დოზები:** მოზრდილებში დოზირებადი კოვზის (1 კოვზი შეიცავს 5 მლ, 124 მგ მიკონაზოლს) 1/2 4-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ საწუწნად. ბავშვებში 1/4 დოზირებადი კოვზი დღეში 4-ჯერ.

**მკურნალობის კურსი:** გრძელდება დაავადების სიმპტომების გაქრობიდან კიდევ ერთი კვირა.

**თანამოვლენები:** პირღებინება, დიარეა, ალერგიული მოვლენები.

**უკუჩვენება:** ორსულობა და ღვიძლის ფუნქციის თანდაყოლილი მოშლილობანი.

**გამოშვების ფორმა:** 250 მგ მიკონაზოლის შემცველი აბები, გელი, სპირტხსნარი, ვენაში გადასასხმელი ამპულები.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცული ადგილი.

## **I.6.3. ტრიაზოლინის რიგის პრეპარატები**

### **I.6.3.1. იტრაკონაზოლი - ITRACONASOLE**

**სინონიმები:** Orungal.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** დამლუპველად მოქმედებს კანდიდებზე, კრიპტოკოკებსა და კოქციდიებზე. იტრაკონაზოლი არჩევითად კუმულირდება დაზიანებულ ქსოვილში და

განაგრძობს თავის მოქმედებას პრეპარატის მიღების დამთავრების შემდეგ კიდევ სამი კვირა.

**ჩვენება:** სხვადასხვა ლოკალიზაციის ლორწოვანი გარსების კანდიდოზი, კანდიდოზური ონიხია და პარონიხია, სისტემური კანდიდოზი, კრიპტოკოკოზი.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება კაფსულები per os მისაღებად ჭამის შედეგ.

**დოზები:** მოზრდილებში - 100 მგრ-იანი კაფსულა დღეში ერთხელ.

**მკურნალობის კურსი:** 7 დღე.

**თანამოვლენები:** შესაძლებელია დიარეა, მეტეორიზმი, გულისრევა, ტკივილი მუცლის არეში, ყაბზობა, ალერგული რეაქციები. დიდი ხნის ხმარების შემდეგ აუცილებელია თირკმელების ფუნქციის კონტროლი.

**უკუჩვენება:** ორსულობა, ლაქტაციის პერიოდი, 16 წლამდე ასაკი, პრეპარატისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

**გამოშვების ფორმა:** კაფსულები.

**შენახვის წესები:** მშრალ, შუქისაგან დაცული ადგილი.

### 1.6.3.2. ფლუკონაზოლი - FLUCONAZOLE

**სინონიმები:** Дифлукан, Медафлюкан, Diflucan, Medoflucan.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** დამღუპველად მოქმედებს კანდიდებზე, კრიპტოკოკებსა და კოქციდიებზე. კარგად შეიწოვება საჭმლის მომნელებელ ტრაქტში, არ განიცდის მეტაბოლიზმს ღვიძლში, კარგად აღწევს ჰემატონენცეფალურ ბარიერში.

**ჩვენება:** სხვადსხვა ლოკალიზაციის ლორწოვანი გარსების კანდიდოზი, სისტემური კანდიდოზი, კრიპტოკოკები.

**გამოყენების თავისებურება:** ორალური კანდიდოზის სამკურნალოდ უნდა დაინიშნოს ფლუკონაზოლის კაფსულები ან სიროფი per os მისაღებად.

**დოზები:** მოზრდილებში 50-100 მგრ. დღის განმავლობაში. ხანგრძლივად ხმარების დროს საკმარისია პრეპარატის დღეში ერთხელ მიღება.

**მკურნალობის კურსი:** პრეპარატის მიღების ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაავადების სიმძიმეზე და გრძელდება 7-14 დღიდან 30 დღემდე.

**თანამოვლენები:** ჩვეულებრივ კარგად გადაიტანება, შესაძლებელია დიარეა, მეტეორიზმი და კანის ქავილი.

**უკუჩვენება:** ორსულობა, ლაქტაციის პერიოდი, 16 წლამდე ასაკი.

**გამოშვების ფორმა:** ხსნარი ვენაში გადასასხმელად, კაფსულები, სიროფი.

**შენახვის წესები:** მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს +4°C ტემპერატურისა.

## I.6.4. N-მეტილნაფთალინის ნაწარმები

### I.6.4.1. ტერბინაფინი - TERBINAFINE

**სინონიმები:** Ламизил, Lamizyl

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ახასიათებს სოკოსაწინააღმდეგო მოქმედების ფართო სპექტრი. ფუნგიციდურად მოქმედებს დერმატოფიტებზე, Candida-ს გვარის სოკოსა და ზოგიერთ დიმორფულ სოკოზე.

**ჩვენება:** კანდიდოზები და ღერმატოზები. პრეპარატების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია კანდიდოზური ონიხიის და პარონიხიისას. სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა ფორმის ორალური კანდიდოზის, ასევე Candida ფლორით დაძმობებული პაროდონტიტის სამკურნალოდ.

**გამოყენების თავისებურება:** იხმარება აბები per os მისაღებად. მალამო კანდიდოზური ანგულიტების და ჰეილიტის დროს გარედან წასასმელად დღეში 2-ჯერ.

**დოზები:** მოზრდილების სადღეღამისო დოზაა 250 მგრ ლამიზილი ანუ 250 მგრ-იანი 1 აბი დღეში ერთხელ საკვების მიღებიდან დამოუკიდებელ დროს ან 125 მგრ-იანი აბი 1 ცალი დღეში 2-ჯერ.

ბავშვებში 2 წლამდე პრეპარატი არ იხმარება. 2 წლის ზევით სადღეღამისო დოზები ასეთია: 20 კგ წონის ბავშვებში 62,5 მგრ; 20 კგ-დან 40 კგ-მდე 125 მგრ, 40 კგ-ის ზევით დოზები იგივეა, რაც მოზრდილებში.

**მკურნალობის კურსი:** დამოკიდებულია დაავადების სიმძიმესა და მიმდინარეობაზე და საშუალოდ გრძელდება 7-14 დღე.

**თანამოვლენები:** დისპეპსიური მოვლენები, ალერგიული გამონაყარი კანზე.

**უკუჩვენება:** ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდი, პრეპარატისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

**გამოშვების ფორმა:** 125 და 250 მგრ-იანი აბები.

**შენახვის წესი:** შუქისაგან დაცული ადგილზე.

## **1.6.5. სხვა ჯგუფის სოკოსაწინააღმდეგო პრეპარატები**

### **1.6.5.1. დეკამინი - DECAMINUM**

**სინონიმები:** Dekadin, Dequadin, Dequalinii chloridum, Dequalinium chloride, Dequalonum, Dequaspon, Evazol, Gargilon, Polycidine, Sorot.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** დამლუპველად მოქმედებს კანდიდებსა და კოკებზე. იწვევს ადგილობრივად ფუნგიციდურ და ფუნგოსტატიკურ, ასევე ანტიბაქტერიულ მოქმედებას.

**ჩვენება:** იხმარება პირის ღრუსა და ყელის კანდიდოზური და მიკრობული ეტიოლოგიის დაავადებების, სტომატიტიმ, გლოსიტის, აფთოზური წყლულების, ტონზილიტის, ფარინგიტის და ანგინის დროს.

**გამოყენების თავისებურება:** ორალური კანდიდოზისა და მიკრობული სტომატიტების, გლოსიტების, აფთოზური წყლულების დროს ინიშნება საწუწნად ჭამის შემდეგ ყოველ 3-5 საათში ერთხელ. ჰელიტიისა და ანგულიტის დროს ადგილობრივად წასასმელად დეკამინის 0,5-1%-იანი მალამო დღეში 3-ჯერ.

**დოზები:** მოზრდილებში 1 კარამელი (1 კარამელი შეიცავს 0,00015 გრ დეკამინს) ყოველ 3-5 სთ-ში ერთხელ.

**მკურნალობის კურსი:** სასურველი შედეგის მიღწევამდე.

**თანამოვლენები და უკუჩვენება:** თითქმის არა აქვს.

**გამოშვების ფორმა:** კარამელი და მალამო.

**შენახვის წესები:** გრილი ადგილი.

**რეცეპტურა:** Rp. Dragee Decamini 0,00015 N30  
D.S. 1-2 ღრაჟე დღეში 3-5-ჯერ  
ენის ქვეშ საწუწნად

Rp: Ung. Decamini 1% 30,0

D.S. ტუჩებსა და ტუჩის კუთხეებში  
წასასმელად დღეში 3-ჯერ 10-14.

### 1.6.5.2. ტენონიტროზოლი - TENONITROZOLE

**სინონიმები:** Атрикан 250, **Atrican 250 mg - capsules**

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** დამღუპველად მოქმედებს პათოგენურ სოკოებზე, განსაკუთრებით Candida-ს სახეობის საფუარ სოკოზე, ასევე ტრიქომონებზე.

**ჩვენება:** გამოიყენება Candida სოკოთი გამოწვეული ვისცერალური მათ შორის ორალური კანდიდოზების, ასევე Candida ფლორით დამპიძებული პაროდონტიტის და სისტემური კანდიდომიკოზების, ასევე ტრიქომონებით გამოწვეული დაზიანებების მკურნალობისათვის.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება per os მისაღებად ჭამის შემდეგ.

**დოზები:** მოზრდილების სადღეღამისო დოზაა 500 მგრ-იანი ერთი კაფსულა დილას, ერთი - საღამოს.

ბავშვებში პრეპარატი არ გამოიყენება.

**მკურნალობის კურსი:** 4 დღე, საჭიროების შემთხვევაში კურსი შეიძლება განმეორდეს ორი კვირის შემდეგ.

**თანამოვლენები:** იშვიათად შეიძლება აღინიშნებოდეს დის-პეპსიური მოვლენები, ალერგიული გამონაყარი კანზე, ასეთ შემთხვევაში პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს.

**უკუჩვენება:** ორსულობის პირველი და მეორე ტრიმესტრი, ლაქტაციის პერიოდი, ღვიძლისა და თირკმლების მწვავე და ქრონიკული უკმარისობანი.

**გამოშვების ფორმა:** 250 მგრ-იანი კაფსულები.

**შენახვის წესები:** ოთახის ტემპერატურაზე, მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

### 1.6.5.3. 603ურატელი - NIFURATEL

**სინონიმები:** Макмирор, Macmiror.

**ფარმაცოლოგიური მოქმედება:** დამლუპველად მოქმედებს კანდიდებზე, ტრიქომონებზე, ბაქტერიებსა და ზოგიერთ უმარტივესზე.

**ჩვენება:** Candida სოკოთი გამოწვეული ვისცერალური (მათ შორის ორალური კანდიდოზის და Candida ფლორით დამძიმებული პაროდონტიტის) და სისტემური კანდიდოზების სამკურნალოდ, ასევე ტრიქომონებითა და ბაქტერიებით გამოწვეული დაზიანებების მკურნალობისათვის.

**გამოყენების თავისებურება:** იხმარება აბები per os მისაღებად და მალამო ადგილობრივად აპლიკაციების სახით. ეფექტურია კომპლექსური თერაპია.

**დოზები:** მოზრდილებში 1 აბი დღეში 3-ჯერ ჭამის შემდეგ. სისტემური კანდიდოზებისას დოზები ორმაგდება. ბავშვებში 100 მგრ (1 აბი შეიცავს 200 მგრ პრეპარატს) 10 კგ წონაზე გაანგარიშებით.



შენიშვნა: მკურნალობის პერიოდში დაუშვებელია ალკოჰოლის მიღება!

*მკურნალობის კურსი:* 7-14 დღე.

*თანამოვლენები:* იშვიათად პირღებინება, გულისრევა.

*უკუჩვენება:* ორსულობა და ლაქტაციის პერიოდი, ღვიძლისა და თირკმელების ქრონიკული დაავადებები.

*გამოშვების ფორმა:* აბები, მალამო, ვაგინალური სანთლები.

*შენახვის წესები:* გრილი ადგილი.

### I.6.5.3. ნატამიციინი - NATAMYCIN

*სინონიმები:* Пимфоцин, Pimofucin

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* დამღუპველად მოქმედებს პათოგენურ სოკოებზე, განსაკუთრებით Candida-ს გვარის საფუარ სოკოზე.

*ჩვენება:* გამოიყენება Candida სოკოთი გამოწვეული ვისცერალური, მათ შორის ორალური კანდიდოზების, ასევე Candida ფლორით დამპიძებული პაროდონტიტის და სისტემური კანდიდომიკოზების მკურნალობისათვის.

*გამოყენების თავისებურება:* იხმარება ადგილობრივად აპლიკაციების სახით ან პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად 2,5%-იანი სუსპენზია. ასევე აბები ან სუსპენზია per os მისაღებად ჭამის შემდეგ.

*დოზები:* მოზრდილებში 100 მგრ 4-ჯერ დღეში, ან 1 მლ სუსპენზია 4-6-ჯერ დღეში.

*მკურნალობის კურსი:* 7-14 დღე. საჭიროების შემთხვევაში კურსი შეიძლება განმეორდეს ორი კვირის შემდეგ.

თანამოვლენები: იშვიათად აღინიშნება ლორწოვანი გარსის წვა.

უკუჩვენება: არა აქვს.

გამოშვების ფორმა: აბები, 2,5%-იანი სუსპენზია, ვაგინალური სანთლები.

შენახვის წესები: მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## 1.7. ანტიპარაზიტიული პრეპარატები

ანტიპარაზიტიული პრეპარატებიდან პრაქტიკულ პაროდონტოლოგიაში მხოლოდ ის სამკურნალწმალ საშუალებები გამოიყენება, რომლებიც მოქმედებენ ანაერობულ ფლორასა და უმარტივესებზე. ასეთებია:

### 1.7.1. მეტრონიდაზოლი - METRONIDAZOLUM

*სინონიმები:* Apo-მეტრონიდაზოლ, Гинальгин, Зоацид, Камезол, **Клион**, Метрогил, Нидазол, Протамет, Трихопол, Флагил, Atrivyl, Clont, Efloran, Entizol, Flagyl, Flegyl, Filmet, Gineflavir, Gynalgin, Klion, **Metronidazole**, Metronil, Orvagil, Trichazol, Trichex, Trichopol, Tricocet, Tricon, Trivasol, Vagimid, Zoacid და სხვა.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* პრეპარატს ახასიათებს ანტიპარაზიტიული მოქმედების ფართო სპექტრი, დამლუპველად მოქმედებს ობლიგატურ ანაერობულ ბაქტერიებზე. ანაერობულ მიკრობთა 90% მგრძობიარეა მის მიმართ. სოკოსა და აერობულ მიკრობებზე მეტრონიდაზოლი არ მოქმედებს. პრეპარატი კარგად შეიწოვება საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. ადვილად აღწევს ორგანოებსა და ქსოვილებში. გადის პლაცენტარულ და ჰემატოენცეფალურ ბარიერს.

*ჩვენება:* სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილთა შერეული (ანაერობული და აერობული) ანთებადი დაავადებების და წყულულოვან-ნეკროზული დაზიანებების სამკურნალოდ.

**გამოყენების თავისებურება:** იხმარება როგორც ადგილობრივად, პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად, ასევე per os მისაღებად. ადგილობრივად გამოყენებისას 1-2 აბი მეტრონიდაზოლიანი Klion-ის სანთლები იხსნება გამოხდილ წყალში ისე, რომ მომზადდეს ფაფის კონსისტენციის მასა. გახსნილი პრეპარატი თავსდება დაზიანების კერაში ტურუნდების საშუალებით.

**დოზები:** per os მისაღებად ინიშნება 0,25-0,5 გრ. დღეში 2-ჯერ (1 აბი დილას და საღამოს) ჭამის დროს ან შემდეგ. აბების დაღეჭვა არ შეიძლება. ეფექტურია ერთდროულად ადგილობრივი და ზოგადი თერაპია.

**მკურნალობის კურსი:** 7-14 დღე.

**უკუჩვენება:** ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდი. ცნს-ის ორგანული დაზიანებანი. მკურნალობის კურსის დროს დაუშვებელია ალკოჰოლის მიღება.

**თანამოვლენები:** მადის დაკარგვა, პირის ღრუში არასასიამოვნო გემო და სიმშრალე, დიარეა, პირღებინება, თავბრუსხვევა, ალერგიული რეაქციები, პერიფერიული ნეიროპათია, იშვიათად ლეიკოპენია. აღნიშნული მოვლენები გაივლის მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ.

მეტრონიდაზოლით მკურნალობის დროს შეიძლება გამრავლდეს Candida ფლორა. ამიტომ ამ პრეპარატის გამოყენებისას უმჯობესია პროფილაქტიკური სოკოსაწინააღმდეგო თერაპია (იხილეთ თავი I.6. გვ. 81).

**ურთიერთმოქმედება სხვა ჯგუფის პრეპარატებთან:** მეტრონიდაზოლის მოქმედება ეფექტურია ანტიბიოტიკებთან და სულფანიდამილური რიგის პრეპარატებთან ერთად.

*გამოშვების ფორმა:* 0,25 და 0,5 გრ-იანი აბები, 0,5 გრ-იანი ვაგინალური აბები, 0,5 გრ-იანი ვაგინალური სანთლები.

*შენახვის წესები:* შუქისაგან დაცული ადგილი.

*რეცეპტურა:* Rp: Metronidazoli 0,25

D.t.d. N30 in tab.

S. 1 აბი 3-ჯერ დღეში პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებადი დაავადებების დროს 7-14 დღე.

Rp: Tab. Metronidasoli 0,25 N15

D.S. 1-2 აბი გამოსხილ წყალში გასახსნელად, პაროდონტალური ჯიბეების დასამუშაველად

## 1.7.2. მეტრონიდოლის ღრუბელი - SPONGIA METROENE

ფრანგული ფირმა Septodont-ის მიერ წარმოებული ღრუბელია, რომელიც შეიცავს 5,0 გრ. მეტრონიდაზოლს და 95,0 გრ. კოლაგენურ ბოჭკოებს.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, თანამოვლენები და უკუჩვენება:* იგივე, რაც მეტრონიდაზოლს.

*გამოყენების თავისებურება:* იხმარება ადგილობრივად. დაზიანებული ქსოვილების მექანიკური, ანტისეპტიკური და მუშავების და გამოშრობის შემდეგ საჭირო ზომის ღრუბელი თავსდება ღრძილის მიდამოში. იგი თავისით გაიწოვება.

*გამოშვების ფორმა:* სტერილური 5 ცალი ღრუბელი პაკეტებში.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცული ადგილი. უცილებელია პაკეტის ჰერმეტიულობის დაცვა.

### I.7.3. ნიტაზოლი - NITASOLUM

**სინონიმები:** Acinitrazole, Aminitrazole, Aminitrazolum, Trichocid, Tricholaval, Trichoral, Trinex და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** დამლუპველად მოქმედებს ტრიქომონებსა და უმარტივესებზე, ასევე სტაფილოკოკებსა და ნაწლავის ჩხირზე. პრაქტიკულად არააქტიურია ლურჯ-მწვანე ჩხირისა და პროტეუსის მიმართ.

**ჩვენება:** იგივე, რაც მეტრონიდაზოლს.

**გამოყენების თავისებურება:** პრეპარატი გამოიყენება per os მისაღებად ან აპლიკაციების სახითა და პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად. ადგილობრივად იხმარება ნიტაზოლის 2,5%-იანი სუსპენზია, ან აბებისაგან მომზადებული ფაფა (იხსნება გამოხდილ წყალში).

**დოზები:** მოზრდილებში ინიშნება 0,1 გრ. (1 აბი) ნიტაზოლი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

**მკურნალობის კურსი:** 10-15 დღე. საჭიროების შემთხვევაში კურსის განმეორება შეიძლება 1-2 კვირის შემდეგ.

**უკუჩვენება:** ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდი, ცნს-ის ორგანული დაზიანებანი.

**თანამოვლენები:** ადგილობრივად გამოყენების დროს შესაძლებელია პირის ღრუს სიმშრალე და მცირედი წვის შეგრძნება. Per os მიღებისას იშვიათია თავბრუსხვევა, პირღებინება, გულისრევა, შეიძლება გამრავლდეს Candida ფლორა. პრეპა-

რატის მიღების შეწყვეტის ან ღოზის შემცირების შემდეგ თანამოვლენები ქრება.

*გამოშვების ფორმა:* 0,1 გრ-იანი აბები, 2,5%-იანი სუს-პენზია, ვაგინალური აბები.

*შენახვის წესები:* მშრალი ადგილი.

#### 1.7.4. ოქტილინი - OCTILINUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* აქვს ტრიქომონების მიმართ გამოხატული დამლუპველი მოქმედება.

*ჩვენება:* იგივე, რაც მეტრონიდაზოლს.

*გამოყენების თავისებურება:* იხმარება ოქტილინის 1%-იანი ემულსია ადგილობრივად აპლიკაციის სახით და პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად.

*თანამოვლენები:* შესაძლებელია Candida ფლორის გამრავლება. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ანტიფუნგალური პრეპარატების გამოყენება (იხილეთ თავი № 1.6. გვ. 81). იშვიათად აღინიშნება პირის ღრუს წვის შეგრძნება.

*გამოშვების ფორმა:* სუსპენზია.

*შენახვის წესები:* გრილი ადგილი.

#### 1.7.5. ტრიქომონაციდი - TRICHOMONACIDUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ახასიათებს მაღალი აქტივობა ტრიქომონადების მიმართ.

*ჩვენება, უკუჩვენება და თანამოვლენები:* იგივე, რაც მეტრონიდაზოლს.

**გამოყენების თავისებურება:** პრეპარატი ინიშნება per os მისაღებად ან ადგილობრივად სახმარად. ტრიქომონაციდის 1%-იანი ხსნარი თავსდება პაროდონტალურ ჯიბეში.

**დოზები:** მოზრდილებში სადღეღამისო დოზაა 0,3 გრ. (0,05 გრ-იანი 2 აბი) დღეში 3-ჯერ.

**მკურნალობის კურსი:** 5-6 დღე.

**გამოშვების ფორმა:** 0,05 გრ-იანი აბები და ვაგინალური სანთლები.

**შენახვის წესები:** მშრალი, შუქისაგან დაცული, გრილი ადგილი.

**რეცეპტურა:** Rp: Trichomonacidum 1% 200,0

D.S. პაროდონტალური ჯიბეების  
დასამუშაველად.



## I.8. პროტეოლიტური ფერმენტები

პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის ანთებადი დაავადებების მიმდინარეობისას ადგილობრივად გამაღიზიანებელ მოქმედებას ახდენენ ქსოვილთა დაშლის პროდუქტები. ნეკროზული და ექსუდაციური მასის მოსასპობად გამოიყენება პროტეოლიტური ფერმენტები. ისინი კარგად მოქმედებენ ანთებად ქსოვილებზე, აუმჯობესებენ რეგენერაციის პროცესებს, ააქტიურებენ ქსოვილების იმუნობიოლოგიურ რეაქციებს, რითაც ხელს უწყობენ დენატურირებული სტრუქტურების სწრაფ განადგურებას.

### I.8.1. ტრიპსინი - TRYPSINUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* აქვს გამოსატული შეშუპების და ანთებისსაწინააღმდეგო თვისებები, შლის დანეკროზებულ ქსოვილებს, სეკრეტებს და ექსუდატებს.

*ჩვენება:* გამოიყენება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებადი დაზიანების მკურნალობის კომპლექსში.

*გამოყენების თავისებურება:* იხმარება ადგილობრივად პაროდონტალურ ჯიბეებში მოსათავსებლად, აპლიკაციის ან ელექტროფორეზის სახით. ამისათვის 5 მგრ. კრისტალურ ტრიპსინს (*Tripsinum crystallisatum*) ხსნიან 5-10 მლ. ფიზიოლოგიურ ხსნარში ან 0,25-0,5%-იან ნოვოკაინში. ლორწოვან გარსზე აპლიკაციის ან ფესვის არხებში შეყვანის დროს შესაძლოა მისი განზავება 30%-იან დიმედროლში,

მიკროციდში. ელექტროფორეზისათვის 10 მკ ტრიპსინს ხსნიან 15-20 მლ დისტილირებულ წყალში, პრეპარატი შეყავთ უარყოფითი პოლუსიდან.

**უკუჩვენება:** გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა დეკომპენსაციის სტადიაში; ფილტვების ემფიზემა სუნთქვის უკმარისობით; ფილტვების ტუბერკულოზის დეკომპენსირებული ფორმა; ღვიძლის მწვავე დისტროფია და ციროზი; ინფექციური ჰეპატიტი; პანკრეატიტი და ჰემორაგიული დიათეზი.

არ შეიძლება ტრიფსინის და სხვა პროტეოლიტური ფერმენტების მოთავსება პირის ღრუს სიმსივნის დაწყულულებულ ზედაპირზე.

**გამოშვების ფორმა:** 5-10 მკ სტერილური პრეპარატის შემცველი ამპულები.

**შენახვის წესები:** მშრალ, გრილ ადგილზე, არაუმეტეს  $+10^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

## 1.8.2. ქიმოტრიპსინი კრისტალური - CHYMOTRYPSINUM CRYSTALLISATUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, გამოყენების თავისებურება, თანამოვლენები და უკუჩვენება:** იგივე, რაც ტრიფსინს.

**გამოშვების ფორმა:** 5-10 მგრ. პრეპარატის შემცველი ამპულები.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+10^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

### I.8.3. ქიმოპსინი - CHYMOP SINUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, გამოყენების თავისებურება და უკუჩვენება:* იგივე, რაც ტრიფსინს.

*თანამოვლენები:* შესაძლოა ალერგიული რეაქციები, დაკავშირებული ნეკროზული ქსოვილების ლიზისის პროდუქტების შეწოვასთან.

*გამოშვების ფორმა:* 25, 50 და 100 მგრ. პრეპარატის შემცველი ამპულები.

*შენახვის წესები:* შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+10^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

### I.8.4. ტერილიტინი TERRILY TINUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება და უკუჩვენება:* იგივე, რაც ტრიფსინს.

*გამოყენების თავისებურება:* სტომატოლოგიურ პრაქტიკაში იხმარება ადგილობრივად აპლიკაციების სახით და პაროდონტალურ ჯიბეში მოსათავსებლად. ამისათვის პრეპარატის 0,1 გრ. იხსნება 2-5 მლ. დისტილირებულ წყალში ან ფიზიოლოგიურ ხსნარში.

*გამოშვების ფორმა:* 0,1 გრ. ფხვნილის შემცველი ჰერმეტიულად დახურული ფლაკონი.

*შენახვის წესები:* შუქისაგან დაცულ ადგილზე, 0-დან  $+10^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე.

### 1.8.5. ტერიდეკაზა TERRIDECASUM

ეს არის ტერილიტიინის მოდიფიკაციის შედეგად მიღებული პროტეოლიტური ფერმენტი.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, გამოყენების თავისებურება და უკუჩვენება:* იგივე, რაც ტერილიტიინს.

*გამოშვების ფორმა:* 0,2 გრ. ფხვნილის შემცველი ჰერმეტიულად დახურული ფლაკონი.

*შენახვის წესები:* შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+4^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

### 1.8.6. ამორფული რიბონუქლეაზა - RIBONUCHEASA AMORPHUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ათხიერებს ნეკროზულ მასებს, ჩირქს, ლორწოს, აქვს ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება.

*ჩვენება:* იგივე, რაც ტრიპსინს.

*გამოყენების თავისებურება:* ინიშნება ადგილობრივად აპლიკაციის სახით დაზიანებულ კერაზე. ამისათვის 5-10 მგრ. ფხვნილის ხსნიან ფიზიოლოგიურ ხსნარში ან 0,5% ნოვოკაინში.

*თანამოვლენები:* შესაძლოა ალერგიული რეაქცია.

*უკუჩვენება:* არ იყენებენ ინდივიდუალური შეუთავსებლობის დროს.

*გამოშვების ფორმა:* 10, 20 და 50 მგრ. ჰერმეტიულად დახურული ფლაკონებში ან ამპულაებში.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+15^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

### 1.8.7. დეზოქსირიბონუკლეაზა DESOXYRIBONUCLEASUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, თანამოვლენები და უკუჩვენება:** იგივე, რაც რიბონუკლეაზას.

**გამოყენების თავისებურება:** იხმარება ადგილობრივად დეზოქსირიბონუკლეაზას 0,2%-იანი ხსნარი. ამისათვის 2 მგრ. პრეპარატს ხსნიან 1 მლ. ფიზიოლოგიურ ხსნარში ან 0,5%-იან ნოვოკაინში. ხსნარი გამოსაყენებლად ვარგისია 12 სთ-ის განმავლობაში.

**გამოშვების ფორმა:** 5, 10, 25 და 50 მგრ. პრეპარატის შემცველი პერმეტულად დახურული ფლაკონები.

**შენახვის წესები:** მშრალი, გრილი, შუქისაგან დაცული ადგილი.

### 1.8.8. ლიზოამიდაზა - LYSOAMIDASA

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** პროტეოლიტური ფერმენტია და ნეკროზული ქსოვილების ლიზისის გარდა აქვს ბაქტერიოციდული მოქმედებაც. იგი შლის გრამდადებითი ბაქტერიების უჯრედის კედელს. ასევე ხელს უწყობს რეგენერაციის პროცესებს.

**ჩვენება:** იგივე, რაც ტრიპსინს.

**გამოყენების თავისებურება:** იხმარება აპლიკაციებისა და სავლებების სახით. აპლიკაციის წინ აუცილებელია პირის

დრუს დამუშავება ნატრიუმის ფოსფატის ბუფერული ხსნარით. შემდეგ ლიზოამიდაზის ხსნარში დასველებული ტურუნდა თავსდება ლორწოვან გარსზე 30-60 წთ-ის განმავლობაში. პროცედურის დროს აუცილებელია ტურუნდის გამოცვლა 4-5-ჯერ. ლიზოამიდაზას სავლები ინიშნება დღეში 2-ჯერ 10 წთ-ის განმავლობაში. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ 100-300  $\text{I}\text{\AA}$  პროტეოლიზური აქტივობის ხსნარი არაუმეტეს 50-60 მლ-ისა.

*მკურნალობის კურსი:* 5-7 დღე.

*თანამოვლენები:* იშვიათად წვის შეგრძნება, რომელიც თავისით გაივლის.

*გამოშვების ფორმა:* 50  $\text{I}\text{\AA}$ , 100  $\text{I}\text{\AA}$  და 1000  $\text{I}\text{\AA}$  პროტეოლიზური აქტივობის ხსნარები ფლაკონებში, რომელსაც თან მოჰყვება ნატრიუმის ფოსფატის ბუფერული ხსნარი 10 მლ-იან ამპულაებში ან 450 მლ-იან ჭურჭელში.

*შენახვის წესები:* შეუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+10^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

### 1.8.9. კარიპაზინი - CARIPAZINUM

შეიცავს პაპაინს, ქიმოტრიპსინსა და პეპტიდაზას.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება და ჩვენება:* იგივე, რაც ტრიპსინს.

*გამოყენების თავისებურება:* სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება კარიპაზინის 0,5%-იანი ხსნარი. ადგილობრივად აპლიკაციების სახით ან პაროდონტალურ ჯიბეში მოსათავსებლად. ამისათვის უშუალოდ გამოყენების წინ ფხვნილი

უნდა გაიხსნას ფიზიოლოგიურ ხსნარში ან 0,5%-იან ნოვოკაინში.

*თანამოვლენები:* იშვიათად ალერგიული რეაქციები.

*გამოშვების ფორმა:* 100 მგრ-იანი ფხვნილი პერმეტულად დაცულ ჭურჭელში.

*შენახვის წესები:* შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმე ტეს  $+4^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

### 1.8.10. პერიდონტონი - PERIDONTONE

ფრანგული ფირმა Septodont-ის ნაწარმია და შეიცავს 225000 IÅ პაპაინს, 7,0 გრ. ფრომიცეტინის სულფატს, 8,0 გრ. ნატრიუმის ბენზოატს და 100 გრ-მდე შემავსებლებს.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* აქვს კარგად გამოსატული ანტიმიკრობული, შეშუპებისა და ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება.

*ჩვენება:* იგივე, რაც ტრიპსინს.

*გამოყენების თავისებურება:* იხმარება ადგილობრივად აპლიკაციების სახით შემდეგი ინტერვალებით: I და II სეაანსებს შორის 3-5 დღე; III პროცედურა ერთი კვირის შემდეგ; IV და V ყოველი 15 დღის შემდეგ.

*უკუჩვენება:* არ შეიძლება პერიდონტონის ხმარება ადგილობრივი ქსოვილებიდან სისხლდენისა და სიმსივნური დაავადებების დროს.

*გამოშვების ფორმა:* ტუბები.

*შენახვის წესები:* გრილი ადგილი.

## I.9. კორტიკოსტეროიდები

კორტიკოსტეროიდები ეწოდებათ ჰორმონებს, რომელთაც გამოიმუშავენს ადამიანისა და სხვა ძუძუმწოვარ ცხოველთა თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი ნაწილი.

ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედების მიხედვით კორტიკოსტეროიდები პირობითად იყოფა 2 ჯგუფად: მინერალოკორტიკოსტეროიდები ანუ მინერალოკორტიკოიდები და გლუკოკორტიკოსტეროიდები ანუ გლუკოკორტიკოიდები.

მინერალოკორტიკოიდები მოქმედებენ ელექტროლიტებისა და წყლის ცვლაზე. გლუკოკორტიკოიდები კი ნახშირწყლებსა და ცილებზე და ნაკლებად წყალსა და მინერალურ მარილებზე.

გლუკოკორტიკოიდებს აქვთ კარგად გამოხატული ანთებისსაწინააღმდეგო, მადესენსიბილიზებელი, ანტიალერგიული, იმუნომოდულატორული, და ანტიტოქსიური თვისებები, რის გამოც მათ ფართო გამოყენება ჰპოვეს პაროდონტოლოგიურ პრაქტიკაში. ეფექტურია მათი გამოყენება ანტიბიოტიკებთან კომპლექსში, ურთიერთსინერგიზმის გამო.

### I.9.1. ჰიდროკორტიზონის აცეტატი -

#### HYDROCORTISONI ACETAS

*სინონიმები:* Abbecort, Cortibel, Cortoderm, Hydrison, Hydro-Adreson, Synthacort და სხვ.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* აქვს გამოხატული ანთებისსაწინააღმდეგო, მადესენსიბილიზებელი, იმუნომოდულატორული და ანტიტოქსიური მოქმედება.



**ჩვენება:** სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ალერგიული, ინფექციურ-ალერგიული, პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის, საფეთქელქვედა ყბის სახსრის ანთებად დაავადებათა სამკურნალოდ, ასევე პრაქტიკულ ენდოდონტიაში.

**გამოყენების თავისებურება:** პაროდონტოლოგიაში იხმარება ჰიდროკორტიზონის აცეტატის 0,5%-იანი თვალის მალამო Unguentum Hydrocortisoni acetatis 0,5% და 0,5-2,5%-იანი თვალის წვეთები ადგილობრივად პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად დღეში 1-3-ჯერ.

**უკუჩვენება:** ორალური კანდიდოზები, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ვირუსული დაავადებანი, ტუბერკულოზი, იცენკო-კუშინგის სინდრომი, ნეფრიტი, სიფილისი, ორსულობა.

**გამოშვების ფორმა:** მალამო, სუსპენზია და თვალის წვეთები.

**შენახვის წესები:** გრილი ადგილი.

## 1.9.2. პრედნიზოლონი - PREDNISOLONUM

**სინონიმები:** Antisolon, Codelcortone, Cordex, Dacortin, Decortin H, Dehydrocortisol, Delta-Cortef, Deltacortril, Deltastab, Deltidrosol, Deltisilone, Hostacortin H, Hydetra, Hydrocortancyl, Mecortolon, Metacortalon, Metacortandrolon, Meticortelone, Nisolone, Paracortol, Precortalon, Prednelan, **Prednisolone**, Preno-

lone, Sterane, Strenolone, Sterolone, Ultracorten H და სხვ.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ახლოს დგას ჰიდროკორტიზონის აცეტატთან, მაგრამ 3-5-ჯერ აქტიურია მასზე. სწრაფად შეიწოვება და ნელა განიცდის ინაქტივაციას.

*ჩვენება და უკუჩვენება:* იგივე, რაც ჰიდროკორტიზონის აცეტატს.

*გამოყენების თავისებურება:* იხმარება პრედნიზოლონის თვალის წვეთები ტურუნდების საშუალებით პაროდონტალურ ჯიბეებში მოსათავსებლად დღეში 1-3-ჯერ.

*გამოშვების ფორმა:* აბები, ამპულები, სუსპენზია, მალამო, თვალისა და ყურის წვეთები.

*შენახვის წესები:* გრილი ადგილი.

### I.9.3. „აურობინის“ მალამო - UNGVENTUM "AUROBIN"

შეიცავს 0,04 გრ. პრედნიზოლონის კაპრუატს, 0,4 გრ. ლიდოკაინს და შემავესებლებს.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება და უკუჩვენება:* იგივე, რაც პრედნიზოლონს.

*გამოყენების თავისებურება:* სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება ადგილობრივად, პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად.

*გამოშვების ფორმა:* მალამო.

*შენახვის წესები:* გრილი ადგილი.

#### 1.9.4. დექსამეტაზონი - DEXAMETHASONUM

*სიონიმები:* Даксин, Дексабене, Дексазон, Дек-сафар, Дексана, Максидекс, Amradexone, Arcodexan, Cortadex, Deason, Decacort, Decacortin, Decadin, Decardan, Decardon, Decasterolone, Dekacort, Desometon, Decacort, Dexafar, Dexamecortin, Dexametan, Dexason, Dexone, Hexadecadrol, Hexadrol, Maxidex, Millicorten, Minicort, Novomethasone, Oradexon, Prednisolon F, Resticort, Steralol, Superprendol, Wymesone და სხვ.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ახლოს დგას სხვა გლუკოკორტიკოიდებთან, მაგრამ მათთან შედარებით უფრო აქტიურია და აქვს უკეთ გამოხატული ანთებისსაწინააღმდეგო და ანტიალერგიული მოქმედება. ეფექტურობით 0,5 მგრ. დექსამეტაზონი უტოლდება 3,5 მგრ. პრედნიზოლონსა და 15 მგრ. ჰიდროკორტიზონს. აქედან გამომდინარე, იგი 7-ჯერ უფრო აქტიურია პრედნიზოლონზე და 30-ჯერ - ჰიდროკორტიზონზე.

*ჩვენება და უკუჩვენება:* იგივე აქვს, რაც სხვა გლუკოკორტიკოიდებს.

*გამოყენების თავისებურება:* ადგილობრივად პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად გამოიყენება დექსამეტაზონის 0,1%-იანი თვალის სუსპენზია და 0,1%-იანი თვალის წვეთები ოფთან-დექსამეტაზონი (Ophtan-Dexametason).

*გამოშვების ფორმა:* აბები, ხსნარი ამპულებში, თვალის სუსპენზია და წვეთები.

*შენახვის წესები:* გრილი ადგილი.

### I.9.5. დექსანა - DEXANA

თვალის წვეთებია, რომელიც შეიცავს დექსამეტაზონის ნატრიუმის ფოსფატის 0,1%-იან ხსნარს და ნეომიცინის სულფატის 0,5%-იან ხსნარს.

*ჩვენება, გამოყენების თავისებურება, უკუჩვენება და შენახვის წესები:* იგივე, რაც დექსამეტაზონს.

*გამოშვების ფორმა:* საწვეთურიანი ფლაკონი.

### I.9.6. სინაფლანო - SYNAFLANUM

*სინონიმები:* Флюоцинолона Ацетонид, Flucort, Fluocinolone acetonide, **Fluocinloni acetonidum**, Localyn, Synandone, Topiclyn და სხვ.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, უკუჩვენება და შენახვის წესები:* იგივე, რაც სხვა გლუკოკორტიკოიდებს.

*გამოყენების თავისებურება:* ადგილობრივად პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად გამოიყენება სინაფლანის 0,025%-იანი მალამო Unguentum Cynafan 0,025%. მალამოს თხელი ფენა თავსდება ადგილობრივ ქსოვილებზე დღეში 2-3-ჯერ. პრეპარატი ნელა შეიწოვება და ადგილობრივად გამოყენებისას არ იწვევს ზოგად მოქმედებას.

*გამოშვების ფორმა:* მალამო.

### I.9.7. სინალარ H - SYNALAR H

მალამო, რომელიც შეიცავს 0,025% სინალანს და 0,5% ნეომიცინის სულფატს.

ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, გამოყენების თავისებურება, უკუჩვენება და შენახვის წესები: იგივე აქვს, რაც სინაფლანის მალამოს.

გამოშვების ფორმა: მალამო.

### 1.9.8. ფლუმეტაზონის პივალატი - FLUMETHASONI PIVALAS

ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, უკუჩვენება და შენახვის წესები: იგივე აქვს, რაც სინაფლანის მალამოს.

გამოყენების თავისებურება: იხმარება პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად პრეპარატის 0,02%-იანი მალამო, რომლის თხელი ფენა თავსდება დაზიანების უბანზე დღეში 2-3-ჯერ.

მკურნალობის კურსი: 1-2 კვირა.

გამოშვების ფორმა: მალამო.

### 1.9.9. ჰალომეტაზონი - HALOMETASONE

სინონიმები: Сикортен, Sicoften.

ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, გამოყენების თავისებურება, უკუჩვენება და შენახვის წესები: იგივე აქვს, რაც სინაფლანის მალამოს.

გამოშვების ფორმა: მალამო.

### 1.9.10. ცელესტოდერმი V - CELESTODERM V

*სინონიმები:* Betaderm, Celeston Valerat.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, უკუჩვენება და შენახვის წესები:* იგივე აქვს, რაც დექსამეტაზონს.

*გამოყენების თავისებურება:* პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტალური ჯიბეების დასამუშავებლად მალამოს თხელი ფენა თავსდება დაზიანებულ უბანზე დღეში 2-3-ჯერ.

*გამოშვების ფორმა:* მალამო.

*შენახვის წესები:* მშრალი, გრილი ადგილი.

### 1.9.11. ტრიდერმი - TRIDERM

მალამოს შემადგენლობაში შედის ბეტამეტაზონის დიპროპიანატი, გენტამიცინი და კლოტრიმაზოლი.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* აქვს ანთებისსაწინააღმდეგო, ანტიალერგიული, ანტიბაქტერიული და ფუნგიციდური მოქმედება.

*ჩვენება, უკუჩვენება, გამოყენების თავისებურება და შენახვის წესები:* იგივე აქვს, რაც სინალანის მალამოს.

*გამოშვების ფორმა:* მალამო.

### 1.9.12. დეპერსოლონი - DEPERSOLON

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, გამოყენების თავისებურება, უკუჩვენება და შენახვის წესები:* იგივე აქვს, რაც სინალანის მალამოს.

*გამოშვების ფორმა:* მალამო.

## I.9. ქვის მოსაშორებელი საშუალებანი

პაროდონტის დაავადებათა მკურნალობაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქვების მოშორება. კბილის ქვა არის ღრძილზედა და ღრძილქვეშა ლოკალიზაციის. მათი მოშორების მანიპულაცია მტკივნეული, ხშირად სისხლმდენი და ტრავმული პროცესია. ამიტომ, მიზანშეწონილია ერთ სეანსზე 3-4 კბილის მიდამოს დამუშავება. აქედან გამომდინარე, ქვის მოშორება ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტის საშუალო და მძიმე ფორმების შემთხვევაში 3-4 სეანსის განმავლობაში გრძელდება.

### I.9.1. დეტარტრინი - DETARTRINE

ფრანგული ფირმა Septodont-ის მიერ წარმოებული ქვის მოსაშორებელი პასტაა, რომლის შემადგენლობაში შედის 54,95 გრ. კრემნეზემი და 100 გრ-მდე ექსციპიენტი.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* აქვს აბრაზიული მოქმედება. არ აზიანებს მინანქარს.

*ჩვენება:* იხმარება პაროდონტიტის დროს ქვების მოსაშორებლად.

*გამოყენების თავისებურება:* ფითხის საშუალებით პასტის მცირე რაოდენობა თავსდება ქვების მიდამოში. შემდგომ კბილის ზედაპირი მუშავდება მიკროჯაგრისებით.

*გამოშვების ფორმა:* პასტა.

*შენახვის წესები:* მშრალი ადგილი.

### 1.9.2. დეტარტრინი „Z“ DETARTRINE „Z“

ფრანგული ფირმა Septodont-ის მიერ წარმოებული ქვის მოსაშორებელი პასტაა, რომლის შემადგენლობაში შედის კრემნეზი, მცენარეული ეთერზეთები, ცირკონიის მიკრო-მარცვლები და ექსციპიენტი.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, გამოყენების თავისებურება და გამოშვების ფორმა:* იგივე, რაც დეტარტრინს.

*შენახვის წესები:* მშრალი ადგილი.

### 1.9.3. ულტრა დეტარტრინი - DETARTROE ULTRA

ფრანგული ფირმა Septodont-ის მიერ წარმოებული ქვის მოსაშორებელი პასტაა, რომლის შემადგენლობაში შედის 20 გრ. კონცენტრირებული მარილმჟავა, 0,75 გრ. იოდი, 20 გრ. ქლოროფორამი და 100 გრ-მდე ექსციპიენტი.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* არბილებს ქვებს და ახასიათებს აბრაზიული მოქმედება.

*ჩვენება:* იგივე, რაც დეტარტრინს.

*გამოყენების თავისებურება:* დაზიანებულ უბანზე ბამბის ლილვაკებით გამოყოფისა და ანტისეპტიკური დამუშავების შემდეგ მშრალი ბამბის ბურთულებით თავსდება ულტრა დეტარტრინი 30 წმ-ის განმავლობაში. შემდეგ პაციენტს ვაგლებინებთ წყალს და კბილის ზედაპირს ვამუშავებთ მიკრო-ჯაგრისებით.

*შენიშვნა:* პრეპარატი არ უნდა მოხვდეს ღრძილზე.

*უკუჩვენება:* იოდის მიმართ ალერგია.

*გამოშვების ფორმა:* ფლაკონები



**შენახვის წესები:** მშრალი ადგილი.

#### 1.9.4. ქვების დამარბილებელი ჟელე

რუსული ფირმა „Радуга-Р“-ის მიერ ხიტოზანის საფუძველზე დამზადებული ჟელეა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** პრეპარატის pH-ის დაბალი მნიშვნელობა განაპირობებს ქვაში შემავალი მარილების გახსნას და მის დარბილებას.

**გამოყენების თავისებურება:** ჟელეს თხელი ფენა თავსდება ქვების მიდამოში რამოდენიმე წუთი. შემდგომ იგი უნდა ჩამოირეცხოს წყლით და მოშორდეს ქვები.

**გამოშვების ფორმა:** ჟელე.

**შენახვის წესები:** +4-დან +25°C ტემპერატურაზე.

## II. ვიტამინები

ვიტამინები ორგანიზმის ნორმალური მეტაბოლიზმისათვის აუცილებელი ნივთიერებებია. მათი შეღწევა ორგანიზმში უმთავრესად ხდება საკვები პროდუქტების საშუალებით. ამა თუ იმ ვიტამინის ნაკლებობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქრონიკულ უკმარისობას და ინფექციებისადმი აწეულ მგრძობელობას. პაროდონტის ქსოვილთა ანთებადი დაავადებების მკურნალობის კომპლექსში გამოიყენება შამდეგი ვიტამინები:

### II.1. A ვიტამინი - რეტინოლი VITAMINUM A - RETINOLUM

*სინონიმები:* Аксерофтол, Afaxin, Alphalin, Alpha-sterol, Anavit, Avital, Axerol, Axerophtholum, Primavit, Viadenin, Vitaplex A, Vogan, Xerophthol და სხვ.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* განაპირობებს ქსოვილთა ტროფიკის გაუმჯობესებას. იცავს დაბალდიფერენცირებულ უჯრედებს გარქოვანებისა და ჩამოფრცქენისაგან. გარდა ამისა, ინარჩუნებს სისხლის ნორმალურ რეოლოგიურ თვისებებს, გააჩნია ანთებისსაწინააღმდეგო და იმუნომასტიმულირებელი უნარი.

*ჩვენება:* გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის და პაროდონტის ქსოვილთა წყლულოვან-ნეკროზული დაზიანებების მკურნალობის კომპლექსში.

**გამოყენების თავისებურება:** მიიღება per os; აპლიკაციისათვის.

**დოზები:** ერთჯერადი დოზა არ უნდა აღემატებოდეს მოზრდილებისათვის 50000ME და ბავშვებისათვის 5000 ME. სადღეღამისო დოზა მოზრდილებში 100000ME, ბავშვებში 20000ME.

**თანამოვლენები:** დაკავშირებულია პიპერვიტამინოზთან, რომელიც გამოვლინდება ქალასშიდა წნევის მომატებით, თავის ტკივილებით, ძილიანობით, დისპეპსიური რეაქციებით, ღვიძლის და თირკმლების ფუნქციის დარღვევებით, კანზე გამონაყარით.

**უკუჩვენება:** პრეპარატი ენიშნებათ იმ ავადმყოფებს, რომელთაც აქვთ მწვავე და ქრონიკული ნეფრიტი, გულის უკმარისობა, ნაღველ-კენჭოვანი დაავადება და ქრონიკული პანკრეატიტი. პრეპარატის სიფრთხილით დანიშვნა შესაძლებელია ორსულებშიც.

**გამოშვების ფორმა:**

რეტინოლის აცეტატის ზეთოვანი ხსნარი -

**Sol. Retinoli acetat oleosa.**

1 მგრ-ს შეესაბამება 2907ME ვიტამინი A, დოზირება ხდება წვეთებით (1 წვეთში არის შესაბამისად 5000 და 12500ME).

რეტინოლის აცეტატის ღრაჟე -

შეიცავს 3300ME ვიტამინ A-ს.

**შენახვის წესები:** მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+10^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

## II.2. B<sub>1</sub> ვიტამინი - თიამინი VITAMINUM B<sub>1</sub> - THIAMINUM

**სინონიმები:** Aneurin, Aneuryl, Benerva, Beneurin, Berin, Betabion, Betamine, Betaneurin, Betavitan, Betaxin, Bethiamin, Bevimin, Bevital, Bevitine, Crystovibex, Oryzanin, Thiamin, Vitaplex B<sub>1</sub> და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** აუმჯობესებს სინაპსებში ნერვული აგზნების გატარებას, შედის კოკარბოქსილაზას შემადგენლობაში, მონაწილეობს ნახშირწყლოვანი ცვლის რეგულაციაში. თერაპიული მიზნით გამოიყენება სინთეზური პრეპარატები თიამინის ბრომიდი Thiamini Bromidum და თიამინის ქლორიდი Thiamini Chloridum.

**ჩვენება:** ინიშნება B ჰიპო- და ავიტომინოზების პროფილაქტიკისა და მკურნალობის, ეგზემატოზური ჰელიტიის, პაროდონტის დაავადებების (განსაკუთრებით კი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიის ფონზე მიმდინარეობის დროს), ორალური კანდიდოზების მკურნალობის კომპლექსში.

**გამოყენების თავისებურება:** იხმარება per os მისაღებად ჭამის შემდეგ. ასევე ვაკუუმ-ელექტროფორეზის ჩასატარებლად ვიტამინ B<sub>1</sub>-ზე სადელამისო მოთხოვნილება მოზრდილებისათვის საშუალოდ შეადგენს 1,1-2,1 მგრ-ს. ბავშვებისათვის 0,3-1,5 მგრ.

**დოზები:** მოზრდილებში 0,01 გრ. 1-3-ჯერ დღეში.

ბავშვებში 3-დან 8 წლამდე 0,005 მგრ. დღეში 3-ჯერ დღეგამოშვებით; 8 წლის ზემოთ 0,01 გრ. 1-3-ჯერ დღეში.

**მკურნალობის კურსი:** 30 დღე.

*უკუჩვენება.* შესაძლებელია ალერგიული რეაქცია ანაფილექსიური შოკის ჩათვლით ალერგიული განწყობის მქონე პირებში, ქალებში კლიმაქსის პერიოდში და ალკოპოლიკებში. ჰიპერვიტამინოზმა შეიძლება ხელი შეუშალოს ღვიძლის ფერმენტების აქტივობას.

*გამოშვების ფორმა:* თიამინის ქლორიდის 0,002, 0,005 და 0,01 გრ-იანი აბები; 2,5 და 5%-იანი ამპულები; თიამინის ბრომიდის 0,00258, 0,00645 და 0,0129 გრ-იანი აბები; 3% და 6%-იანი 1 მლ-იანი ამპულები.

*შენახვის წესები:* ჰერმეტიულად დახურულ ჭურჭელში, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

### II.3. ფოსფოთიამინი - PHOSPHOTIAMINUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება და გამოყენების თავისებურება:* იგივე, რაც B<sub>1</sub> ვიტამინს.

*დოზები:* მოზრდილებში 0,01 გრ. 3-4-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

*მკურნალობის კურსი:* 3-4 კვირა.

*გამოშვების ფორმა:* 0,01 და 0,03 გრ-იანი აბები.

*შენახვის წესები:* მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

### II.4. ბენფოთიამინი - BENPHOTHIAMINUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება და გამოყენების თავისებურება:* იგივე, რაც B<sub>1</sub> ვიტამინს.

*დოზები:* მოზრდილებში 0,025-0,05 გრ. 1-4-ჯერ დღეში.

ბავშვებში შემდეგი სადღეღამისო დოზებით 1-დან 10 წლამდე 0,01-0,03 გრ, 10 წლის ზემოთ - 0,03-0,06 გრ.

მკურნალობის კურსი: 15-30 დღე.

გამოშვების ფორმა: 0,005 და 0,025 გრ-იანი აბები

შენახვის წესები: მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## II.5. B<sub>2</sub> ვიტამინი - რიბოფლავინი VITAMINUM B<sub>2</sub> - RIBOFLAVINUM

სინონიმები: Beflavin, Beflavit, Betavitam, Flavaxin, Flavitol, Lactobene, Lactoflavin, Ovoflavin, Ribovin, Vitaflavine, Vitaflex B<sub>2</sub> და სხვ.

ფარმაკოლოგიური მოქმედება. მონაწილეობს ქსოვილოვან სუნთქვაში, ცილოვან, ნახშირწყლოვან, ცხიმოვან ცვლაში, ნორმალური მხედველობითი ფუნქციის შენარჩუნებაში, ჰემოგლობინის სინთეზში. რიბოფლავინის ნაკლებობა ორგანიზმში იწვევს ცნს-ის ფუნქციის მოშლილობებს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფერმენტული აქტიობის დაქვეითებას, ანგულიტების, ჰეილიტების, სტომატიტების, გლოსიტიტების განვითარებას.

ჩვენება: სამკურნალო მიზნით ნიშნავენ B ჰიპო- და ავიტამინოზის, ჰეილიტის, ანგულიტის, გლოსიტიტის, პაროდონტის დაავადებების სამკურნალოდ.

გამოყენების თავისებურება: ინიშნება per os მისაღებად, ასევე ვაკუუმ-ელექტროფორეზის ჩასატარებლად.

დოზები: მოზრდილებში სადღეღამისო დოზაა 0,005, 0,01 გრ.

ბავშვებში - 0,002, 0,005, 0,01 გრ-მდე დღეში ასაკის გათვალისწინებით.

*თანამოვლენები:* თერაპიული დოზის დაცვისას არ აღინიშნება.

*უკუჩვენება:* ფაქტიურად არ არსებობს.

*გამოშვების ფორმა:* 0,002, 0,005 და 0,01 გრ-იანი აბები.

*შენახვის წესები:* შუქისაგან დაცული ადგილი.

## II.6. B<sub>6</sub> ვიტამინი - პირიდოქსინი VITAMINUM B<sub>6</sub> - PYRIDOXIUM

*სინონიმები:* Adermin, Beadox, Becilan, Bedoxil, Bena-don, Besatin, Hexabetalin, Hexabion, Hexavibex, Pyrivitol და სხვ.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება და ჩვენება:* იგივე, რაც B ჯგუფის სხვა ვიტამინებს.

*გამოყენების თავისებურება:* ნიშნავენ per os მისაღებად.

*დოზები:* მოზრდილებში - 0,02-0,03 გრ. დღეში 1-2-ჯერ.

*მკურნალობის კურსი:* 1-2 თვე.

*თანამოვლენები:* შესაძლოა კანის ალერგიული რეაქცია. პირიდოქსინი ზრდის კუჭის წვენის მჟავიანობას, ამიტომ საჭიროა სიფრთხილით დაენიშნოს ავადმყოფებს, რომლებსაც აღენიშნებათ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ჰიპერაციდური გასტრიტი.

*უკუჩვენება:* სიფრთხილით ენიშნებათ წყლულოვანი დაავადებით, ჰიპერაციდული გასტრიტით, გულის იშემიური დაავადებით.

ვადებით, ღვიძლის ფუნქციის მოშლილობებით შეპყრობილ ავადმყოფებს.

**გამოშვების ფორმა:** 0,002, 0,005 და 0,01 გრ-იანი აბები, 1% და 5% ხსნარი 1 მლ-იან ამპულაში.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცული ადგილი.

## II.7. C ვიტამინი - ასკორბინის მჟავა - VITAMINUM C - ACIDUM ASCORBINUM

**სინონიმი:** *Acidum ascorbinicum*, Ascorbin, Ascorbit, Ascorvit, Cantan, Cantaxin, Cebione, Cecon, Celin, Cenetone, Cevalin, Cevex, Laroscorbine, Redoxon, Scorbumine, Vicin, Vitascorbol და სხვ.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** მონაწილეობს უანგვა-აღდგენითი პროცესების, ნახშირწყლოვანი ცვლის, სისხლის შედედების, ქსოვილთა რეგენერაციის, სტეროიდულ ჰორმონთა წარმოქმნის, კოლაგენის სინთეზის რეგულაციაში.

**ჩვენება:** სტომატოლოგიურ პრაქტიკაში რეკომენდებულია პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის ინფექციურ-ანთებითი დაზიანების (განსაკუთრებით ანემიის ფონზე მიმდინარეობისას) სამკურნალოდ.

**გამოყენების თავისებურება:** ნიშნავენ per os მისაღებად. ასევე ეფექტურია C ვიტამინით ელექტროფორეზის ჩატარება. ფიზიოპროცედურა ინიშნება ადგილობრივი გამაღიზიანებელი ფაქტორების მოხსნისა და ანთებისსაწინააღმდეგო თერაპიის შემდეგ.



**დოზები:** per os მისაღები პროფილაქტიკური დოზა შეადგენს 0,05-0,1 გრ-ს დღე-ღამეში; ორსულობის და ლაქტაციის პერიოდის დროს 0,3 გრ-ს. თერაპიული დოზა per os მიღებისას მოზრდილებისათვის არის 0,05-0,1 გრ. 3-5-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

ბავშვებისათვის შესაბამისად 0,05-0,1 გრ. 2-3-ჯერ დღეში.

**მკურნალობის კურსი:** 10-15 დღე.

**თანამოვლენები:** ჰიპერვიტამინოზის დროს შესაძლოა მოხდეს ინსულარული აპარატის ფუნქციის დაქვეითება. მკურნალობის კურსის ჩატარებისას აუცილებელია თირკმელების ფუნქციისა და არტერიული წნევის კონტროლი.

**უკუჩვენება:** დიდი დოზებით არ უნდა დაენიშნოს თრომბოფლებიტი და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პირებს.

**გამოშვების ფორმა:** ფხვნილი, 0,025, 0,05 და 0,01 გრ-იანი აბები, 5% და 10%-იანი ხსნარი 1 და 2 მლ-იან ამპულებში.

**შენახვის წესები:** მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## II.8. პოლივიტამინები

### II.8.1. ავიტი - AEVITUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** განპირობებულია პრეპარატის შემადგენლობით: შეიცავს 1 მლ ვიტამინი A-სა და 35 მგრ. ვიტამინ E-ს.

**ჩვენება:** გამოიყენება სისხლძარღვთა ათეროსკლეროზული ცვლილებების მქონე ავადმყოფებში პარადონტიის და პირის

ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებებისას პროფილაქტიკისა და სამკურნალოდ.

*გამოყენების თავისებურება:* ნიშნავენ per os მისაღებად.

*დოზები:* მოზრდილებში 1 კაპსულა 2-3-ჯერ დღეში.

*მკურნალობის კურსი:* 30-40 დღე. განმეორებითი კურსი შესაძლოა 3-6 თვის შემდეგ.

*უკუჩვენება:* სიფრთხილით ნიშნავენ ორსულობის, თირეოტოქსიკოზის, ქოლეცისტიტის, სისხლძარღვთა მომატებულ განვლადობის დროს.

*გამოშვების ფორმა:* 0,2 გრ-იანი კაფსულები და 1 მლ-იანი ამპულები.

*შენახვის წესები:* შუქისაგან დაცულ ადგილზე, +5-+10° C ტემპერატურაზე.

## II.8.2. “უნდევიტის“ ღრაჟე - DRAGEE UNDEVITI

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* განისაზღვრება პრეპარატის შემადგენლობით. იგი შეიცავს: რუტინოლის აცეტატს 0,001 გრ, თიამინის ქლორიდს 0,002 გრ. ან თიამინის ბრომიდს 0,00258 გრ, რიბოფლავინს 0,002 გრ, პიროდოქსინის ჰიდროქლორიდს 0,003 გრ, ციანოკობალამინს 0,000002 გრ, ნიკოტინამიდს 0,02 გრ, რუტინს 0,01 გრ, ტოკოფეროლის აცეტეტს 0,01 გრ, ფოლის მჟავას 0,0005 გრ, კალციუმის პანტოტენატს 0,003 გრ და ასკორბინის მჟავას 0,075 გრ.

*ჩვენება:* გამოიყენება ნივთიერებათა ცვლის პროცესების გასაუმჯობესებლად, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის და

პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის ანთებად დაავადებათა სამკურნალოდ.

*მიღების წესი:* ნიშნავენ per os მისაღებად ჭამის შემდეგ.

*დოზები:* პროფილაქტიკური მიზნით 1 დრაჟე 2-3-ჯერ დღეში. სამკურნალო მიზნით - 2 დრაჟე 3-ჯერ დღეში.

*მკურნალობის კურსი:* 20-30 დღე. განმეორებითი კურსი ინიშნება 1-3 თვის შემდეგ.

*გამოშვების ფორმა:* დრაჟე და აბები.

*შენახვის პირობები:* მშრალი ადგილი.

### II.8.3. “ჰექსავიტი” დრაჟე - DRAGEE HEXAVITI

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* განისაზღვრება პრეპარატის შემადგენლობით: რეტინოლის აცეტეტი 0,00172 გრ ან რეტინოლის პალმიტიდი 0,00275 გრ, თიამინის ქლორიდი 0,002 გრ ან თიამინის ბრომიდი 0,0026 გრ, რიბოფლავინი 0,002 გრ, პირიდოქსინის ჰიდროქლორიდი 0,002 გრ, ნიკოტინამიდი 0,015 გრ და ასკორბინის მჟავა 0,07 გრ.

*ჩვენება:* გამოიყენება პროფილაქტიკური მიზნით ჰიპოვიტამინოზის თავიდან ასაცილებლად და ინფექციებისადაში ორგანიზმის წინააღმდეგობის მომატებისათვის, ანტიბიოტიკებით ხანგრძლივად მკურნალობისას.

*გამოყენების თავისებურება:* ნიშნავენ per os მისაღებად ჭამის შემდეგ.

*დოზები:* პროფილაქტიკური მიზნით 1 დრაჟეს დღეში. სამკურნალო მიზნით მიზრდილებს 1 დრაჟე 3-ჯერ დღეში.

ბავშვებში 3-დან 7 წლამდე 1 დრაჟე დღეში 1-2-ჯერ; 7 წლის ზემოთ 1 დრაჟე 1-3-ჯერ დღეში.

*გამოშვების ფორმა:* დრაჟე.

*შენახვის წესები:* მშრალი ადგილი.

#### II.8.4. "პანჰექსავიტის" აბები - TABULETTAE "PANHEXAVITUM"

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* განისაზღვრება პრეპარატის შემადგენლობით: რეტინოლის აცეტატი 0,00568 გრ ან რეტინოლის პალმიტატი 0,00908 გრ, თიამინის ქლორიდი 0,005 გრ. ან თიამინის ბრომიდი 0,00645 გრ, რიბოფლავინი 0,005 გრ, კალციუმის პანტოთენატი 0,01 გრ, ჰიდროქსინის ჰიდროქლორიდი 0,005 გრ, ნიკოტინამიდი 0,05 გრ.

*ჩვენება:* გამოიყენება ჰიპო- და ავიტამინოზების კომპლექსურ მკურნალობაში, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ჰიპერკერატოზის დროს.

*მიღების წესი:* ნიშნავენ per os მისაღებად.

*დოზები:* სადღეღამისო დაზა მოზრდილებისათვის 1 აბი 3-ჯერ დღეში.

ბავშვებში 1 წლამდე 1/2 აბი ერთხელ დღეში; 1-დან 3 წლამდე 1/2 აბი 2-ჯერ დღეში; 3-7 წელი 1 აბი 2-ჯერ დღეში; 7 წლის ზემოთ 1 აბი 3-ჯერ დღეში.

*გამოშვების ფორმა:* აბები.

*შენახვის წესები:* მშრალი ადგილი.

## II.8.5. "აეროვიტის" აბები -

## TABULETTE "AEROVITUM" OBDUCTAE

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* განისაზღვრება პრეპარატის შემადგენლობით: რეტინოლის აცეტატი 0,00227 გრ, თიამინის ქლორიდი 0,002 გრ ან თიამინის ბრომიდი 0,00258 გრ, რიბოფლავინი 0,002 გრ, კალციუმის პანტოტენატი და პირიდოქსინის ჰიდროქლორიდი 0,01 გრ, ნიკოტინამიდი 0,015 გრ, ციანკობალამინი 0,0025 გრ, ასკორბინის მჟავა 0,1 გრ, ტოკოფეროლის აცეტეტი 0,02 გრ, რუტინი 0,05 გრ, ფოლის მჟავა 0,5 გრ და პანტოტენატის მჟავა 0,01 გრ.

*ჩვენება:* გამოიყენება ჰიპო- და ავიტამინოზების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, ათეროსკლეროზით დაავადებულთა პარადონტის ქსოვილის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებად დაავადებათა კომპლექსურ მკურნალობაში.

*მიღების წესი:* ნიშნავენ per os მისაღებად.

*დოზები:* 1 აბი დღეში ერთხელ.

*მკურნალობის კურსი:* 14-დან 60 დღემდე.

*გამოშვების ფორმა:* აბები.

*შენახვის წესები:* მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## II.8.6. "დეკამევიტის" აბები -

## TABULETTAE "DECAMEVITUM" OBDUCTAE

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* განისაზღვრება პრეპარატის შემადგენლობით: შეიცავს რეტინოლს 0,00227 გრ, თიამინის ქლორიდს 0,02 გრ ან თიამინის ბრომიდს 0,0258 გრ, რიბოფლავინს 0,1 გრ, პირიდოქსინის ჰიდროქლორიდს 0,02

გრ, ტოკოფეროლის აცეტატს 0,01 გრ, რუტინს 0,02 გრ, მეთიონინს 0,2 გრ, ციანკობალამინს 0,0001 გრ, ასკორბინის მჟავას 0,02 გრ და ნიკოტინამიდს 0,05 გრ.

*ჩვენება:* გამოიყენება ჰიპო- და ავიტამინოზების სამკურნალოდ, ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად; გონებრივი და ფსიქიკური გადაღლის; ანტიბიოტიკების ხმარების; მძიმე დაავადებების შემდგომი რეკონვალესტენციის დროს.

*გამოყენების თავისებურება:* ნიშნავენ per os მისაღებად ჭამის შემდეგ.

*დოზები:* 1 აბი 1-2-ჯერ დღეში.

*მკურნალობის კურსი:* 20 დღე. კურსებს შორის შუალედი 2-3 თვეა.

*გამოშვების ფორმა:* აბები.

*შენახვის წესები:* მშრალი, გრილი ადგილი.

## II.8.7. "ჰეპტავიტის" აბები -

### TABULETTAE "HEPTAVITUM" OBDUCTAE

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* განპირობებულია პრეპარატის შემადგენლობით: რეტინოლის აცეტატი 0,00908 გრ, თიამინის ქლორიდი 0,01 გრ ან თიამინის ბრომიდი 0,0129 გრ, რიბოფლავინი 0,01 გრ, პირიდოქსინის ჰიდროქლორიდი 0,01 გრ, ნიკოტინამიდი 0,075 გრ, რუტინი 0,01 გრ, ასკორბინის მჟავა 0,2 გრ.

*ჩვენება:* გამოიყენება ქრონიკული, მორეციდივე აფთოზული სტომატიტის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ძნელად შეხორცებადი ეროზიულ-წყლულოვანი დაზიანების, ქსეროსტომიის, შეგარენის სიდრომის და სხვათა სამკურნალოდ.

გამოყენების თავისებურება: ნიშნავენ per os მისაღებად ჭამის შემდეგ.

დოზები: 1 აბი 1-2-ჯერ დღეში.

მკურნალობის კურსი: 20 დღე. აუცილებლობის დროს მკურნალობის კურსი მეორდება 1-3 თვის შემდეგ.

გამოშვების ფორმა: აბები.

შენახვის წესები: მშრალი ადგილი.

### II.8.8. "ტეტრაპიტიის" აბები -

#### TABULETTAE "TETRAVITAM" OBDUCTAE

ფარმაკოლოგიური მოქმედება: განსაზღვრულია პრეპარატის შემადგენლობით: თიამინის ქლორიდი 0,003 გრ ან თიამინის ბრომიდი 0,0039 გრ, რიბოფლავინი 0,003გრ, ნიკოტინამიდი 0,02 გრ, ასკორბინის მჟავა 0,15 გრ.

ჩვენება: გამოიყენება ავიტამინოზის პროფილაქტიკისათვის.

გამოყენების თავისებურება: ნიშნავენ per os მისაღებად ჭამის შემდეგ.

დოზები: 1 აბი ერთხელ დღეში.

მკურნალობის კურსი: 20 დღე.

გამოშვების ფორმა: აბები.

შენახვის წესები: მშრალი ადგილი.

## II.8.9. "ქვადევიტის" აბები -

## TABULETTAE "QUADEVITUM" OBDUCTAE

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** განისაზღვრება პრეპარატის შემადგენლობით: რეტინოლის აცეტატი 0,00086 გრ,  $\alpha$ -ტოკოფეროლის აცეტატი 0,003 გრ, თიამინის ქლორიდი 0,0025 გრ ან თიამინის ბრომიდი 0,0032 გრ, რიბოფლავინი 0,0025 გრ, პირიდოქსინის ჰიდროქლორიდი 0,002 გრ, ფოლის მჟავა 0,0001 გრ, ნიკოტინამიდი 0,02 გრ, რუტინი 0,01 გრ, ასკორბინის მჟავა 0,075 გრ, ციანკობალმინი 0,00001 გრ, კალციუმის პანტოთენატი 0,005 გრ, გლუტამინის მჟავა 0,05 გრ, მეთიონინი 0,05 გრ, ფიტინი 0,03 გრ, კალიუმის ქლორიდი 0,02 გრ, სპილენძის სულფატი 0,0015 გრ.

**ჩვენება:** გამოიყენება ხანდაზმულებში ჰიპო- და ავიტამინოზების პროფილაქტიკასა და მკურნალობაში, სისხლის მიმოქცევის, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის კომპლექსურ მკურნალობაში.

**გამოყენების თავისებურება:** ნიშნავენ per os მისაღებად ჭამის შემდეგ.

**დოზები:** პროფილაქტიკისათვის 1 აბი 3-ჯერ დღეში. სამკურნალოდ 2 აბი 3-4-ჯერ დღეში.

**მკურნალობის კურსი:** 3-4 კვირა. განმეორებით კურსს ატარებენ 3-თვიანი შუალედის შემდეგ.

**გამოშვების ფორმა:** აბები.

**შენახვის წესები:** მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.



## II.8.10. "გლუტამევიტის" აბები - TABULETTAE "GLUTAMEVITUM" OBDUETAE

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** განისაზღვრება პრეპარატის შემადგენლობით: რეტინოლის აცეტატი 0,00135 გრ, თიამინის ქლორიდი 0,002 გრ. ან თიამინის ბრომიდი 0,00258 გრ, რიბოფლავინი 0,02 გრ, პირიდოქსინის ჰიდროქლორიდი 0,003 გრ, ასკორბინის მჟავა 0,01 გრ, α-ტოკოფეროლის აცეტატი 0,002 გრ, ფოლის მჟავა 0,00005 გრ, ნიკოტინამიდი 0,02 გრ, რუტინი 0,02 გრ, კალციუმის პანტოტენატი 0,01 გრ, გლუტამინის მჟავა 0,25 გრ, რკინის სულფატი 0,01 გრ, სპილენძის სულფატი 0,002 გრ, კალიუმის სულფატი 0,0025 გრ, კალციუმის ფოსფატი 0,04 გრ.

ვიტამინების კომპლექსის, მიკროელემენტებისა და ამინომჟავების შემცველობის გამო პრეპარატი ასტიმულირებს ჟანგვა-აღდგენითი პროცესებს, ქსოვილთა მიერ ჟანგბადის უტილიზაციას, ფიზიკურ და გონებრივ შრომისუნარიანობას.

**ჩვენება:** გამოიყენება დიდი ფიზიკური დატვირთვის მქონე პირებში, ექსტრემალურ პირობებში ადაპტაციური დროის შემცირების მიზნით, მძიმე დაავადების შემდგომი რეაბილიტაციის პერიოდში. პრეპარატის გამოყენება განსაკუთრების ეფექტურია დერმატოზით დაავადებულ პირებში.

**გამოყენების თავისებურება:** ნიშნავენ per os მისაღებად ჭამიდან 15-20 წუთის შემდეგ.

**დოზები:** 1-3 აბი 2-ჯერ დღეში.

**მკურნალობის კურსი:** 2-4 კვირა. აუცილებლობის შემთხვევაში კურსს იმეორებენ 1-3 თვის შემდეგ.

**გამოშვების ფორმა:** აბები.

**შენახვის წესები:** მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## II.8.11. უნიკაპი - UNICAP

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** განისაზღვრება პრეპარატის შემადგენლობით. პრეპარატი გამოდის სამი სახით U-ბავშვე-ბისათვის, M-მოზრდილთათვის და T-ხანდაზმულთათვის.

**ჩვენება:** გამოიყენება ჰიპო- და ავიტამინოზის კომპლექსურ მკურნალობაში, ინფექციის შემდგომი რეკონვალესცენციის პერიოდში, მძიმე ფიზიკური ან გონებრივი დატვირთვის მქონე პირებში.

**გამოყენების თავისებურება:** ნიშნავენ per os მისაღებად.

**დოზები:** 1 აბი ერთხელ დღეში.

**მკურნალობის კურსი:** 20-30 დღე.

**გამოშვების ფორმა:** აბები.

**შენახვის წესები:** მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

### III. იმუნომოდულატორები

იმუნომოდულატორები ფართოდ გამოიყენება პრაქტიკულ მედიცინაში. ისინი იწვევენ სპეციფური და არასპეციფური იმუნური რეაქციების გაძლიერებას, ხელს უწყობენ ენდოგენური ინტერფერონის სინთეზს, აძლიერებენ ფაგოციტოზს. ყოველივე ეს კი ერთად მაღლა სწევს ორგანიზმის დამცველობით რეაქციებს და ზრდის მისი წინააღმდეგობის უნარს ინფექციური აგენტების მიმართ. სწორედ ამიტომ, იმუნომოდულატორები წარმატებით გამოიყენება პრაქტიკულ სტომატოლოგიაში პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის ანთებად დაავდებათა მკურნალობის კომპლექსში.

#### III.1. თიმალინი - THYMALINUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ახდენს ორგანიზმის იმუნური რეაქციების სტიმულაციას: B- და T-ლიმფოციტების რაოდენობის, უჯრედული იმუნიტეტის რეაქციის ნორმალიზებას, აძლიერებს ფაგოციტოზს. სისხლის რეოლოგიურ თვისებებზე მოქმედების გამო აწესრიგებს მიკროცირკულაციურ პროცესებს, ასტიმულირებს ქსოვილთა რეგენერაციას.

*ჩვენება:* გამოიყენება ორგანიზმის უჯრედოვანი იმუნიტეტის დაქვეითებისას; ყბა-სახის მიდამოს მწვავე და ქრონიკული ინფექციურ-ანთებითი დაავადებების დროს როგორც იმუნო- და ბიოსტიმულატორი.

*გამოყენების თავისებურება:* პრეპარატი ინიშნება ინექციების სახით ღრმად კუნთში. ფლაკონის შემადგენლობას ხსნიან 1-2 მლ. ფიზიოლოგიურ ხსნარში.

**დოზები:** მოზრდილებისათვის სადღეღამისო დოზებია 10-30 მგრ. 1 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის 1 მგრ; 1-დან 3 წლამდე 1-2 მგრ; 4-დან 6 წლამდე 2-3 მგრ; 7-დან 14 წლამდე 3-5 მგრ.

**მკურნალობის კურსი:** პრეპარატი შეყავთ ყოველდღე, 5-10 დღის განმავლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში კურსს იმეორებენ 1-6 თვის შემდეგ.

**თანამოვლენები:** არ არის აღწერილი.

**ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან:** აძლიერებს ანტი-ბიოტიკების და ზოგიერთი ანტისეპტიკის მოქმედებას. ამცირებს კორტიკოსტეროიდების იმუნოდეპრესიულ ეფექტს.

**გამოშვების ფორმა:** 10 გრ-იანი ფლაკონი.

**შენახვის წესები:** მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

### III.2. ტაქტივინი - TACTVINUM

**სინონიმები:** T-активин.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება და ჩვენება:** იგივე, რაც თიმალინს.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება კანქვეშ ინექციის სახით. ჩვეულებრივ მხრის ზედა მესამედში დღეში ერთხელ, საღამოს.

**დოზები:** მოზრდილებში 1-2 მგრ/კგ. წონაზე გაანგარიშებით.

**მკურნალობის კურსი:** 5-14 დღე. საჭიროების შემთხვევაში კურსი მეორდება.

**უკუჩვენება:** ბრონქული ასთმის ატონიური ფორმა, ორსულობა.

**გამოშვების ფორმა:** ამპულები.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცულ ადგილზე +2-დან +7°C- მდე ტემპერატურამდე.

### III.3. თიმოპტინი - THYMOPTINUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება და ჩვენება:** იგივე, რაც ტაქტივინს.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება კანქვეშ ინექციის სახით. ფხვნილი გამოყენების წინ იხსნება 0,5-1,0 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში.

**დოზები:** მოზრდილებში - ერთჯერადი დოზა 0,1 გრ.

**მკურნალობის კურსი:** 4 დღიანი ინტერავლით 4-5 ინექცია. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია კურსის განმეორება.

**უკუჩვენება:** ორსულობა, პრეპარატივისადმი ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

**გამოშვების ფორმა:** ლიოფილიზებული ფხვნილი ფლაკონში.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს +20°C ტემპერატურისა.

### III.4. თიმაკტიდი - THYMACTIDUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება და ჩვენება:** იგივე აქვს, რაც ტაქტივინს.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება სუბლინგვალურად საღამოს ჭამამდე 1 სთ-ით ადრე.

**დოზები:** მოზრდილებში 1 აბი ერთ მიღებაზე 4 დღიანი ინტერვალით.

**მკურნალობის კურსი:** 5-7 აბი.

**თანამოვლენები:** შესაძლოა ალერგიული რეაქციები.

**გამოშვების ფორმა:** აბები.

**შენახვის წესი:** შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

### III.5. მიელოპიდი - MYELOPIDUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება და თანამოვლენები:** იგივე, რაც თიმალინს.

**გამოყენების თავისებურება:** პრეპარატი შეყავთ კანქვეშ ინექციის სახით ყოველდღე ან დღეგამოშვებით. გამოყენების წინ 1 ამპულა იხსნება 1 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში.

**დოზები:** მოზრდილებში 3-6 მგრ 1 ინექციაზე.

**მკურნალობის კურსი:** 3-5 ინექცია.

**უკუჩვენება:** ორსულებში რეზუსკონფლიქტის არსებობა.

**გამოშვების ფორმა:** ლეოფილიზებული ფხვნილიანი ფლაკონები.

**შენახვის წესები:** შუქისაგან დაცულ ადგილზე  $+4$ -დან  $+6^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე.

### III.6. თიმოგენი - THYMOGENUM

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ახდენს იმუნოსტიმულატორულ მოქმედებას და აძლიერებს ორგანიზმის არასპეციფიურ რეზისტენტობას.

*ჩვენება, გამოყენების თავისებურება და ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან:* იგივე, რაც თიმალინს.

*დოზები:* მოზრდილებში სადღეღამისო დოზაა 0,05-0,1 გრ. ბავშვებში 1 წლამდე 0,001 გრ; 1-3 წელი 0,001-0,002 გრ; 4-6 წელი - 0,002-0,003 გრ; 7-14 წელი - 0,05 გრ.

*მკურნალობის კურსი:* 3-10 დღე. კურსზე კეთდება 0,3-1,0 გრ. ყოველდღე ან დღეგამოშვებით. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მკურნალობის კურსის გამეორება 1-6 თვის შემდეგ.

*თანამოვლენები:* არ აღენიშნება.

*გამოშვების ფორმა:* ამპულები საინექციოდ, ლეოფილიზებული ფხვნილი.

*შენახვის წესები:* მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

### III.7. ნატრიუმის ნუკლეინატი - NATRII NUCLEINAS

*სინონიმები:* Natrium nucleinicum

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება და თანამოვლენები:* იგივე, რაც თიმალინს.

*გამოყენების თავისებურება:* ინიშნება per os მისაღებად ჭამის შემდეგ.

დოზები: მოზრდილებში სადღეღამისო დოზაა 1,0-2,0 გრ. 3-4 მიღებაზე.

ბავშვებში შემდეგი ერთჯერადი დოზებით: 1 წლამდე 0,005-0,01 გრ; 2-5 წელი 0,015-0,05 გრ. 5-7 წელი 0,05-0,1 გრ; 8-14 წელი - 0,2-0,3 გრ. დღეში 3-4-ჯერ.

მკურნალობის კურსი: 2 კვირიდან 3 თვემდე.

გამოშვების ფორმა: აბები.

შენახვის წესები: მშრალი ადგილი.

### III.8. ლევამისოლი - LEVAMISOLUM

სინონიმები: Adiafor, Ascaridil, Casydrol, Decaris, Ergamisol, Ketrax, Levasole, Levoripercol, Levotetramisol, Nilbutan, Sitrax, Tenisol და სხვა.

ფარმაკოლოგიური მოქმედება: არჩევითად მოქმედებს T-ლიმფოციტების მეტაბოლიზმზე და ფუნქციებზე. პერიფერიულ სისხლში ზრდის მათ რაოდენობას. ასტიმულირებს მაკროფაგების, ნეიტროფილების ფაგოციტურ აქტივობას, ახდენს ინტერფერონის პროდუქციის სტიმულირებას.

ჩვენება: გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის ქრონიკული და მორეციდივე ბაქტერიული და ვირუსული ინფექციებით გამოწვეულ (განსაკუთრებით T-ლიმფოციტური სისტემის დათრგუნვის ფონზე) დაავადებათა სამკურნალოდ. შესაძლოა მისი გამოყენება საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრების რევმატიოიდულ ართრიტის, სისტემური წითელი მგლურას დროს.

გამოყენების თავისებურება: ინიშნება per os მისაღებად.



**დოზები:** მოზრდილებში სადღეღამისო დოზა შეადგენს 150 მგრ-ს.

ბავშვებში - 12,5 2,5 მგრ/კგ წონაზე გაანგარიშებით.

**მკურნალობის კურსი:** მოზრდილებში 3 დღე. შესაძლოა კურსის გამეორება 2-4-ჯერ. კურსებს შორის შესვენება 5-6 დღეა. მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იუნოლოგიური მაჩვენებლების დინამიკაზე.

**თანამოვლენები:** შესაძლოა კუჭნაწლავის ტრაქტის ფუნქციების მოშლა, გემოვნების შეგრძნების გაუკუღმართება, ცნს-ის აგზნებადობისა და არტერიული წნევის მომატება, პროტეინურია, ცხელება. განსაკუთრებით საშიში გართულებაა ლეიკოპენია და აგრანულოციტოზი, რომელიც გაივლის პრეპარატის მიღების შეწყვეტიდან 1-2 კვირის შემდეგ.

**უკუჩვენება:** პრეპარატის მიღებისას საჭიროა ჰემოგრამის კონტროლი. ლევამიზოლის შეწყვეტა აუცილებელია იმ შემთხვევაში, როდესაც პრეპარატის მიღებიდან 10 სთ-ში ლეიკოციტების რაოდენობა შემცირდება  $3 \cdot 10^9$  ლ-ში ქვევით, ან ნეიტროფილების რაოდენობა -  $1 \cdot 10^9$  ლ-მდე.

**გამოშვების ფორმა:** 0,05 და 0,15 გ-იანი აბები.

**შენახვის წესები:** გრილი, მშრალი ადგილი.

### III.9. პროდიგიოზანი PRODIGIOSANUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ახდენს ორგანიზმის არასპეციფიური და სპეციფიური რეზისტენტობის სტიმულაციას. ააქტიურებს T-სისტემის რგოლს.

**ჩვენება:** გამოიყენება ყბა-სახის ანთებადი დაავადებების, მათ შორის პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის ანთების, პირის ღრუს და ტუჩების ლორწოვანი გარსის ინფექციურ-ალერგიული დაზიანების, ქრონიკული მორეციდივე აფთოზური სტომატიტის დროს, როგორც იმუნომოდულატორი.

**გამოყენების თავისებურება:** შეყავთ კუნთებში ინექციის სახით. თავდაპირველად ხდება პრეპარატის შეთავსებლობის დადგენა, ამისათვის კუნთში შეყავთ პროდიგიოზანი 15 მგრ. მოზრდილებში და 10 მგრ. ბავშვებში. პრეპარტის კარგად გადატანის შემთხვევაში მკურნალობის კურსს იწყებენ 3 დღის შემდეგ.

**დოზები:** მოზრდილებში ერთჯერადად 25-30 მგრ.

ბავშვებში - 10-20 მგრ.

**მკურნალობის კურსი:** 3-6 ინექცია, როდესაც აწარმოებენ 4-7 დღიანი შესვენებით. განმეორებით კურსს ატარებენ 1 თვის შემდეგ.

**თანამოვლენები:** შესაძლოა მტკივნეულობა, ჰიპერემია, შეშუპება ინექციის ადგილზე. ასევე ინექციიდან 2 სთ-ის შემდეგ ხანმოკლე ტემპერატურული რეაქცია  $38^{\circ}\text{C}$ -მდე, თავისა და სახსრების ტკივილი.

**ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან:** გამოიყენება ანტიბიოტიკებთან და სხვა ანთებისსაწინააღმდეგო პრეპარატებთან კომბინაციაში. ტემპერატურის მომატების თავიდან ასაცილებლად ინიშნება სიცხის დამწვევი საშუალებები.

**უკუჩვენება:** არ ინიშნება ცნს-ის ფუნქციების დარღვევისას, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მძიმე პათოლოგიის, ორსულობის დროს.

გამოშვების ფორმა: 0,005%-იანი ხსნარი ამპულებში.

შენახვის წესები: შუქისაგან დაცულ ადგილზე, +2-დან +10°C- მდე ტემპერატურაზე.

## IV. ბიოგენური სტიმულატორები

ამ ჯგუფში გაერთიანებულ პრეპარატებს აქვთ ორგანიზმის დამცველი ძალების მასტიმულირებელი და რეგენერაციის პროცესების დამაჩქარებელი მოქმედება.

### IV.1. ბიოსედი - BIOSEDUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** აძლიერებს ნივთიერებათა ცვლის და რეგენერაციის პროცესებს, აქვს ზოგადმატონიზირებელი და ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება.

**ჩვენება:** გამოიყენება პაროდონტის ანთებადი და დისტროფიული დაავადებების კომპლექსურ თერაპიაში.

**გამოყენების თავისებურება:** იხმარება ადგილობრივად თვალის წვეთები აპლიკაციის ან ელექტროფორეზის სახით. აპლიკაციას ატარებენ დღეში 4-6-ჯერ. ელექტროფორეზი ტარდება 3-7 წთ-ით ყოველდღე 20 სეანსამდე.

**უკუჩვენება:** პრეპარატი არ იხმარება აქილით და ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულებში.

**გამოშვების ფორმა:** 1,0 მლ-იანი ამპულები და თვალის წვეთები.

**შენახვის წესები:** ოთახის ტემპერატურაზე, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

## IV.2. კალანკოეს ჯიშები - SUCCUS KALANCHOES

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** აქვს ადგილობრივი ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება, განაპირობებს ჭრილობის გასუფთავებას ნეკროზული ქსოვილებისაგან და აჩქარებს მის შეხორცებას.

**ჩვენება:** გამოიყენება პაროდონტის ქსოვილების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებად დაავადებებათა, ასევე თერმული და მექანიკური დაზიანების სამკურნალოდ.

**გამოყენების თავისებურება:** ნიშნავენ ადგილობრივად აპლიკაციის სახით.  $37^{\circ}\text{C}$ -მდე გამთბარ პრეპარატს ათავსებენ დაზიანებულ უბანზე 10-15 წუთით 3-4-ჯერ დღეში. დამწვრობის უბანზე ან ეროზიულ ზედაპირებზე მოთავსებისას პირველ დღეებში პრეპარატს ანზავებენ თანაბარი რაოდენობის 1-2%-იან ნოვოკაინის ხსნარში ტკივილის შემცირების მიზნით.

**მკურნალობის კურსი:** 15 დღე.

**გამოშვების ფორმა:** 10 მლ-იანი ამპულები, 100 მლ-იანი ფლაკონები.

**შენახვის წესები:** მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+10^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

## IV.3. სონსურიდი - CHONSURIDUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** აჩქარებს რეპარაციულ პროცესებს დუნედ მიმდინარე ანთებების და ხანგრძლივად არაეპითელიზირებადი ჭრილობების დროს; ახდენს ოსტეოგენეზის რეპარაციის სტიმულაციას.

**ჩვენება:** იხმარება პაროდონტის ქრონიკული ანთებადი და დისტროფიული დაავადებების დროს, რომელიც მიმდინარეობს იმუნოლოგიური რეაქტიულობის დაქვეითების ფონზე ქსოვილების გამოხატული დესტრუქციით; ხანგრძლივად შეუხორცებელი ჭრილობების არსებობისას; პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ტრავმული დაზიანებისას; ნაფლეთოვანი ოპერაციის და ფესვის მწვერვალის რეზექციის შემდგომი რეპარაციული ოსტეოგენეზის სტიმულაციის მიზნით.

**გამოყენების თავისებურება:** პაროდონტოლოგიაში ნიშნავენ ადგილობრივად აპლიკაციის სახით. ხსნარის მოსამზადებლად უშუალოდ გამოყენების წინ ფლაკონის შემადგენლობას ხსნიან 5-10 მლ 0,5%-იან ნოვოკაინში ან ფიზიოლოგიურ ხსნარში და კარგად ანჯღრევენ.

**უკუჩვენება:** არ გამოიყენება დაზიანების კერის მიმდებარე მიდამოების მწვავე ანთებითი პროცესების, ქსოვილთა ნეკროზის, გრანულაციის ჭარბი ზრდის დროს.

**გამოშვების ფორმა:** 0,05 და 0,1 გრ-იანი ფლაკონები სტერილური ფხვნილით.

**შენახვის წესები:** გრილ, შუქისაგან დაცულ ადგილზე, არაუმეტეს  $+20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა.

#### IV.4. სოლკოსერილი - SOLCOSERYL

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, აჩქარებს ქსოვილთა რეგენერაციას.

*ჩვენება:* პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის ანთებადი და წყლულოვან-ნეკროზული დაზიანებანი.

*გამოყენების თავისებურება:* პაროდონტოლოგიაში იხმარება სოლკოსერილის სპეციალური დენტალური პასტა (Solcoseryl Dental Adhasiv paste) ან 20%-იანი თვალის ყელე ადგილობრივად აპლიკაციების სახით დღეში 3-4-ჯერ. დენტალური პასტა წარმოქმნის აპკს, რომელიც დაზიანების უბანზე მოქმედებს 4-5 საათის განმავლობაში.

*თანამოვლენები:* იშვიათად შეინიშნება ადგილობრივად წვის შეგრძნება.

*უკუჩვენება:* არა აქვს.

*გამოშვების ფორმა:* 2 მლ-იანი ამპულები, ყელე, მალამო, თვალის გელი და დენტალური პასტა.

*შენახვის წესები:* გრილი, შუქისაგან დაცული ადგილი.

#### IV.5. აქტოვეგინი - ACTOVEGIN

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, თანამოვლენები და უკუჩვენება:* იგივე, რაც სოლკოსერილს.

*გამოყენების თავისებურება:* პაროდონტოლოგიაში იხმარება აქტოვეგინის 20%-იანი ყელე ადგილობრივად აპლიკაციების სახით დღეში 3-4-ჯერ.

*გამოშვების ფორმა:* ხსნარი ამპულები, 20%-იანი ყელე, 5%-იანი მალამო, 5%-იანი მაზი და დრაჟეები.

*შენახვის წესები:* გრილი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## V. ჰემოსტატიური საშუალებები

ამ ჯგუფში გაერთიანებული პრეპარატები პრაქტიკულ პაროდონტოლოგიაში გამოიყენება ძირითადად ღრძილებიდან სისხლდენის შესაჩერებლად ქირურგიული ჩარევის შემდეგ. ესენია:

### V.1. პირდაპირი მოქმედების ანტიკოაგულანტები

#### V.1.1. ჰეპარინის მალამო - UNGUENTUM "HEPARINI"

პრეპარატი შეიცავს 2500ED ჰეპარინს, 1 გრ. ანესთეზინს, 0,02 გრ. ნიკოტინის მჟავის ეთერს და 25 გრ-მდე მალამოს ფუძეს.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* აქვს ანტიკოაგულანტური თვისებები.

*ჩვენება:* გამოიყენება პაროდონტის ანთებადი დაავადებების მკურნალობის კომპლექსში.

*გამოყენებ. ს თავისებურება:* იხმარება ადგილობრივად. პრეპარატი შეჰყავთ კათოდიდან ულტრაფონოფორეზი მეთოდით.

*მკურნალობის კურსი:* 10-15 სეანსი ყოველდღე ან დღე-გამოშვებით.

*უკუჩვენება:* არ არის რეკომინდირებული დიათეზის, ჰემოფილიის, თრომბოციტოპენიის დროს; აგრეთვე ფიზიოთერაპიული მეთოდებით მკურნალობის უკუჩვენებისას: ორსუ-



ლობა, პირის ღრუში მეტალის კონსტრუქციები, ამაღვამის ბუნები და სიმსივნური დაავადებანი.

გამოშვების ფორმა: მალამო.

შენახვის წესები: გრილ ადგილზე, მჭიდროდ დახურულ ტუბებში.

### V.1.2. „ჰეპაროიდი“ მალამო - UNGUENTUM "HEPAROIDI"

პრეპარატი შეიცავს 6000 ED ჰეპარინს.

ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, გამოყენების თავისებურება, უკუჩვენება და შენახვის წესები: იგივე, რაც ჰეპარინის მალამოს.

გამოშვების ფორმა: მალამო.

## V.2. სხვადასხვა ჰემოსტატიური საშუალებანი

### V.2.1. თრომბინი - THROMBINUM

ფარმაკოლოგიური მოქმედება: იწვევს კაპილარული სისხლდენის შეჩერებას.

ჩვენება: იხმარება პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსების ანთებადი დაავადებების დროს კაპილარული სისხლდენის შესაჩერებლად.

გამოყენების თავისებურება: გამოყენების წინ ფლაკონში შეჰყავთ ოთახის ტემპერატურის ფიზიოლოგიური ხსნარი, რომლის რაოდენობაც დამოკიდებულია თრომბინის რაოდენობაზე და მითითებულია ფლაკონზე. შემდეგ ხსნარში სველება სტერილური მარლა და თავსდება სისხლმდენ უბანზე.

მარლის მოშორება უნდა ძალიან ფრთხილად, სისხლდენის შეჩერების შემდეგ.

*გამოშვების ფორმა:* ამპულები და ფლაკონები.

*შენახვის წესები:* მშრალ ადგილზე,  $-10$ -დან  $+2^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე.

### V.2.2. კემოსტატიური ღრუბელი - SPONGIA HAEMOSTATICA COLLAGENICA

მზადდება 2%-იანი კოლაგენის ხსნარისაგან, რომელსაც დამატებული აქვს ფურაცლინი და ბორის მჟავა.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ახდენს კემოსტატიურ და ანტიჰემოლიტიკურ მოქმედებას; ხელს უწყობს რეგენერაციის პროცესს. ჭრილობაში ან ღრუში მოთავსებისას მთლიანად გაიწოვება. ღრუბლის კემოსტატიური მოქმედება ძლიერდება, თუ მას დამატებითად დავასველებთ თრომბინში.

*ჩვენება:* იგივე, რაც თრომბინს.

*გამოყენების თავისებურება:* თავსდება დაზიანებულ უბანზე.

*უკუჩვენება:* ფურაცლინისა და ნიტროფურანის რიგის პრეპარატებისადმი აწეული მგრძნობელობა.

*გამოშვების ფორმა:* 5X5 ან 10X10 ზომის პლასტები პოლიეთილენის პარკში.

*შენახვის წესები:* ოთახის ტემპერატურაზე მშრალ, შუქისაგან დაცულ ადგილზე.

### V.2.3. სისხლდენის შემაჩერებელი ბანდი

#### TELA HAEMOSTATICA

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ადგილობრივი გამოყენებისას ახდენს სისხლდენის შეჩერებას 1-2 წუთში.

*ჩვენება:* იგივე, რაც თრომბინს.

*გამოყენების თავისებურება:* პრეპარატს იღებენ ფლაკონიდან სტერილობის დაცვით, შემდეგ ტამპონის ან საფენის სახით ათავსებენ დაზიანებულ უბანზე რამდენიმე ფენად. ზემოდან მჭიდროდ ათავსებენ ჩვეულებრივი ბანდის ტამპონს. სისხლდენის შეჩერების შემდეგ ბანდს აცილებენ. არ შეიძლება პრეპარატის გაჩერება ჩირქოვანი ჭრილობის მიდამოში.

*გამოშვების ფორმა:* 1 ცალი სტერილური საფენი ზომით 13x13 სმ. ფლაკონში.

*შენახვის წესები:* მშრალ ადგილზე, არაუმეტეს +5°C ტემპერატურისა.

### V.2.4. ციანოდონტი - CYANODONT

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ახდენს ჰემოსტატიურ მოქმედებას, ხელს უწყობს რეგენერაციის პროცესს. იგი განიცდის სწრაფ პოლიმერიზაციას და მჭიდროდ უკავშირდება დაზიანებულ უბანს.

*ჩვენება:* იგივე, რაც თრომბინს.

*გამოყენების თავისებურება:* თავსდება სისხლმდენ უბანზე.

*თანამოვლენები და უკუჩვენება:* არა აქვს.

*შენიშვნა:* პრეპარატი მჭიდროდ უკავშირდება შეხებაში მყოფ ქსოვილებს. ამიტომ, საშიშია მისი თვალში მოხვედრა. ციანოდონტის ხელებზე მოხვედრის შემდეგ აუცილებელია

მისი მოშორება თბილი წყლითა და პემზის ქვით. არ შეიძლება ფლაკონის დატოვება თავდია მდგომარეობაში. ჰაერთან კონტაქტის აცილების მიზნით რეკომენდირებულია საცობზე ვაზელინის წასმა.

*გამოშვების ფორმა:* ფლაკონები.

*შენახვის წესები:* 0°C ტემპერატურის ქვემოთ, მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში.

### V.2.5. ალსტაზი - ALSTASE

ფრანგული ფირმა Septodont-ის ნაწარმია და შეიცავს 89,85 გრ. ალგინის მჟავას, 10,0 გრ. ნატრიუმის ალგინატს, 0,15 გრ. მეთილის მარილსა და ოქსიბენზოის მჟავას.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* ახდენს კაპილარული სისხლდენის შეჩერებას და აქვს ანტისეპტიკური ეფექტი. პრეპარატის შემადგენელი კომპონენტი ალგილის მჟავა სისხლთან შეხებისას წარმოქმნის გელს, რომელიც აწვება კაპილარის სანათურს და ხელს უწყობს კოლტის წარმოქმნას და ფიქსაციას. ნატრიუმის ალგინატი აჩქარებს სისხლის კოლტის წარმოქმნას; ხოლო მეთილის მარილები და ოქსიბენზოის მჟავა განაპირობებენ პრეპარატის ანტისეპტიკურ მოქმედებას.

*ჩვენება:* იგივე, რაც თრომბინს.

*გამოყენების თავისებურება:* სისხლმდენი უბანი უნდა დამუშავდეს მხოლოდ პიდროსკორიული მარლის ტამპონით. შემდეგ მასზე უნდა მოხდეს პრეპარატის თხელი ფენის მოთავსება შემხურება.

*თანამოვლენები და უკუჩვენებები:* არა აქვს.

**გამოშვების ფორმა:** აეროზოლი.

**შენახვის წესები:** ოთახის ტემპერატურაზე, ფლაკონის ვიწრო ნაწილით ზემოთ.

## VI. ანტიჰისტამინური პრეპარატები

ამ ჯგუფის პრეპარატების უმეტესი ნაწილი (დიმედროლი, ფენკაროლი, დიპრაზინი, ტავეგილი, ჰისმანალი და სხვ.) არიან  $H_1$  რეცეპტორების ბლოკატორები და უმეტესწილად გამოიყენება ალერგიული დაავადებების სამკურნალოდ. ისინი დაბლა სწევენ ორგანიზმის მგრძობელობას ჰისტამინზე, ამიტომ აქვეითებენ გლუვი კუნთების სპაზმს, კაპილარების განვლადობას, ხელს უშლიან შეშუპების განვითარებას, ამსუბუქებენ ალერგიული რეაქციების გამოვლინებას.

### VI.1. დიმედროლი - DIMEDROLUM

**სინონიმები:** Alledryl, Allergan, Allergival, Amidryl, Benadryl, Dimedryl, Dimedril, **Diphenhydramini hydrochloride**, Restamin და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** გააჩნია ანტიჰისტამინური, მადესენსიბილიზებელი, ქოლინოლიზური, სედატიური მოქმედება.

**ჩვენება:** გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ალერგიული დაავადებების სამკურნალოდ და ორგანიზმის გამოსატული სენსიბილიზაციისას.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება per os მისაღებად.

**დოზები:** მოზრდილებში - 0,03 - 0,05 გრ. 1-3-ჯერ დღეში.

**თანამოვლენები:** შესაძლებელია პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ადგილობრივი ხანმოკლე გაბუჟება, რაც განპირობებულია დიმედროლის ადგილობრივად გამაყუჩებელი მოქმე-

დებით. იშვიათად აღინიშნება თავბრუსხვევა, თავის ტკივილი, ძილიანობა, ზოგადი სისუსტე.

**ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან:** ნარკოტიკებთან, სედატიურ და საძილე საშუალებებთან ახასიათებს სინერგიზმი.

**უკუჩვენება:** არ ენიშნებათ ოპერატიულ სამსახურის მქონე პირებს მუშაობის პერიოდში.

**გამოშვების ფორმა:** 1 გრ-იანი ფხვნილი, 0,05, 0,03 და 0,02 გრ-იანი აბები, 1%-იანი 1 მლ-იანი ამპულები.

**შენახვის წესი:** შუქისა და ნესტისაგან დაცულ ადგილზე, მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში.

**რეცეპტურა:** Rp: Tab. Dimedroli 0,05 N10

D.S. 1/2-1 აბი დღეში 2-ჯერ.

## VI.2. დიპრაზინი - DIPRAZINUM

**სინონიმები:** Пипольфен, Allergan, Antiallersin, Atosil, Fargan, Phenergan, Pipolphen, Promazinamid, Promethazine hydrochloride და სხვ.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** გააჩნია ძლიერი, ნელა განვითარებადი და ხანგრძლივი ანტიჰისტამინური, მადესენსიბილიზებელი, ანტიალერგიული, სედატიური, ჰიპოთერმიული, ღებინების საწინააღმდეგო ეფექტი.

**ჩვენება:** სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სხვადასხვა ალერგიული დაავადებების სამკურნალოდ.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება per os მისაღებად.

**დოზები:** მოზრდილებში 0,025 გრ. 2-3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

**თანამოვლენები:** შესაძლებელია პირის სიმშრალე, ლორწოვანი გარსის გაბუფება, ღებინება.

**უკუჩვენება:** იგივე, რაც დიმედროლს.

**გამოშვების ფორმა:** 0,005 და 0,025 გრ-იანი აბები, 2,5%-იანი ხსნარი ამპულებში.

**შენახვის წესები:** მშრალ, შუქისაგან დაცული ადგილი.

### VI.3. დიაზოლინი - DIAZOLINUM

**სინონიმები:** Омерил, Incidal, Mebhydrolin, **Mebhyrolini**, Napadisylas, Omeril.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** გააჩნია ანტიჰისტამინური და ანტიალერგიული ეფექტი, ამასთან არ აქვს ძილისმომგვრელი მოქმედება.

**ჩვენება და გამოყენების თავისებურება:** იგივე, რაც დიმედროლს.

**დოზები:** მოზრდილებში - 0,05-0,1-0,2 გრ. 2-3-ჯერ დღეში ჭამის დროს ან შემდეგ.

ბავშვებში - 0,02-0,05 გრ. დღეში 1-2-3-ჯერ.

**თანამოვლენები:** შესაძლებელია ღებინება, ტკივილი ეპიგასტრიუმის არეში.

**უკუჩვენება:** თორმეტგოჯა ნაწლავის და კუჭის წყლული, კუჭ-ნაწლავის ანთებადი დაავადებები.

**გამოშვების ფორმა:** 0,05 და 0,1 გრ-იანი დრაჟეები.

**შენახვის პირობები:** მშრალი, გრილი ადგილი.



#### VI.4. სუპრასტინი - SUPRASTIN

**სინონიმები:** Allergan S, Chlorneoantergan, **Chloropyramine**, Chloropyribenzamine hydrochloride, Chlortripielenamine hydrochloride, Halopyramine, Synopen.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** გააჩნია ანტიჰისტამინური, მადესენსიბილიზებელი, ქოლინოლიზური მოქმედება.

**ჩვენება, უკუჩვენება და გამოყენების თავისებურება:** იგივე, რაც დიმედროლს.

**დოზები:** მოზრდილებში 0,025 გრ. დღეში 2-3-ჯერ ჭამის დროს.

**თანამოვლენები:** ისეთივეა, როგორც დიმედროლის, მაგრამ ნაკლებად გამოხატული.

**გამოშვების ფორმა:** 0,025 გრ-იანი აბები, 2%-იანი ხსნარის ამპულები.

**შენახვის წესები:** მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

#### VI.5. ფენკაროლი - PHENCOROLUM

**სინონიმები:** **Quifenadine.**

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ანტიჰისტამინური პრეპარატი, არ ახასიათებს ცნს-ზე დამთრგუნველი მოქმედება. მასთან სხვა ანტიჰისტამინური პრეპარატების მსგავსად ახდენს არა მხოლოდ  $H_1$ -რეცეპტორების ბლოკირებას, არამედ ამცირებს ქსოვილებში ჰისტამინის შემცველობას. არა აქვს სედატიური ეფექტი. ამიტომ, შეიძლება გამოვიყენოთ ოპერატიული სამსახურის მქონე პირებში.

*ჩვენება და გამოყენების თავისებურება:* იგივე, რაც ღიმედროლს.

*დოზები:* მოზრდილებში 0,025-0,05 გრ. ჭამის შემდეგ 3-4-ჯერ დღეში.

ბავშვებში 3 წლამდე 0,005 გრ. 2-3-ჯერ დღეში; 3-დან 7 წლამდე 0,01 გრ. 2-ჯერ დღეში; 7-დან 12 წლამდე 0,01-0,015 გრ. 2-3-ჯერ დღეში; 12 წლის ზემოთ 0,025 გრ. 2-3-ჯერ დღეში.

*მკურნალობის კურსი:* 10 დღე.

*თანამოვლენები:* თავის ტკივილი, პირის სიმშრალე, დისპეფსიური მოვლენები, რომლებიც ქრება დოზის შემცირებისას.

*უკუჩვენება:* სიფრთხილით ნიშნავენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის (იწვევს გაღიზიანებას) და გულ-სისხლძარღვთა მძიმე დაავადებების მქონე პირებში. ტერატოგენული ზემოქმედების გამო ორსულებში პირველი 3 თვის მანძილზე ფენკასილის დანიშვნა არ შეიძლება.

*გამოშვების ფორმა:* 0,01, 0,025 და 0,05 გრ-იანი აბები.

*შენახვის წესები:* შუქისაგან დაცული ადგილი.

## VI.6. ტერფენადინი - TERFENADINE

*სინონიმი:* Бранал, Рапидал, Ритер, Телдан, Терфед, Терфенал, Тофрин, Трехсил, Bronal, Histadin, Rapidal, Riter, Seldane, Tamagon, Termenadin, Thylldan, Triludan, Tofrin, Toldan და სხვ.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება და გამოყენების თავისებურება:* იგივე, რაც ფენკაროლს.

**დოზები:** მოზრდილებში - 0,06 გრ. ან 10 მლ. სუსპენზია (5 მლ შეიცავს 0,03 გრ. პრეპარატს) 2-ჯერ დღეში.

ბავშვებში 6-დან 12 წლამდე 0,03 გრ, ან 5 მლ. სუსპენზია დღეში 2-ჯერ.

**თანამოვლენები:** იშვიათად პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სიმშრალე, გულის რევა, ღებინება, დიარეა, რის გამოც პრეპარატის შეცვლის აუცილებლობა არ არის.

**უკუჩვენება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა, ორსულობის და ლაქტაციის პერიოდი.

**გამოშვების ფორმა:** 0,06 გრ-იანი აბები, სუსპენზია.

**შენახვის წესი:** გრილი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## VI.7. ასტემიზოლი - ASTEMIZOL

**სინონიმები:** Асмеланг, Астемисан, Гисманал, Гистазол, Гисталон, Мибиран, Стелерт, Стемиз, Allermizol, Astelong, Hismanal, Histamanal, Ifirab, Lembil, Midiron, Stelert, Stemis, Vagran.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ანტიალერგიული საშუალებაა, ახდენს ჰისტამინური H-რეცეპტორების ბლოკირებას. გამოირჩევა ხანგრძლივი მოქმედებით. სედატიური და ანტიქოლინერგიული ეფექტი არ გააჩნია, ჰემატოენცეფალურ ბარიერში ვერ აღწევს. ადგილობრივი ანესთეზიის უნარი არა აქვს.

**ჩვენება და გამოყენების თავისებურება:** იგივე, რაც დიმედროლს.

**დოზები:** მოზრდილებში 10 მგრ. დღეში ერთხელ უზმოზე. მაქსიმალური სადღეღამისო დოზა შეადგენს 30 მგრ-ს.

ბავშვებში 2-დან 6 წლამდე 2 მგრ. ან 2 მლ. სუსპენზია (1 მლ შეიცავს 1 მგრ. ასტემიზოლს) 10 კგ. წონაზე გაანგარიშებით; 6-დან 12 წლამდე ეძლევა 5 მგრ. დღეში.

*მკურნალობის კურსი:* 7 დღე.

*თანამოვლენები:* იშვიათად აღინიშნება მადის მომატება.

*უკუჩვენება:* ორსულობის და ლაქტაციის პერიოდი.

*გამოშვების ფორმა:* 0,01 გრ-იანი აბები, სუსპენზია 50 მლ-იან ფლაკონებში.

*შენახვის წესები:* გრილი, მშრალი ადგილი.

## VI.8. ტავეგილი - TAVEGIL

*სინონიმები:* Клемастин, Фенистил, Alagyl, Anhistan, Clemastine, Fenistil, Fumartin, Lecasol, Mecclastin, Mecloprodine, fumarate, Rekonin, Tavegyl, Tavist და სხვა.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, გამოყენების თავისებურება და თანამოვლენები:* იგივე, რაც დიმედროლს.

*დოზები:* მოზრდილებში 1 მგრ-იანი აბი 2-ჯერ დღეში დილით და საღამოს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სადღეღამისო დოზის გაზრდა 3-4 მგრ-მდე.

ბავშვებში გამოიყენება ტავეგილის სიროფი (10 მლ შეიცავს 1 მგრ. ტავეგილს). 1 წლამდე ბავშვებს ენიშნებათ 1-2,5 მლ სიროფი ერთ მიღებაზე: 1-3 წელი 2,5 -5 მლ; 3-6 წელი 5 მლ; 6-12 წელი 7,5 მლ. პრეპარატი ინიშნება დღეში 2-ჯერ: დილით და საღამოს ძილის წინ.

**თანამოვლენები:** პირის ღრუს სიმშრალე, თავის ტკივილი, გულის რევა, თავბრუსხვევა. ტავეგილი სიფრთხილით უნდა დაენიშნოს აქტიური სამუშაოს მქონე პირებს.

**ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან:** აძლიერებს საძილვე პრეპარატებისა და ალკოჰოლის მოქმედებას.

**უკუჩვენება:** ორსულობა და ლაქტაციის პერიოდი.

**გამოშვების ფორმა:** 0,001 გრ-იანი აბები, სიროფი, ხსნარი 2 მლ-იან ამპულებში.

**შენახვის წესები:** მშრალი, გრილი ადგილი.

## VI.9. სეტასტინი - SETASTINE

**სინონიმები:** Лодерикс, Лоридекс, Loderix, Loridex.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, გამოყენების თავისებურება და უკუჩვენება:** იგივე აქვს რაც დიმედროლს.

**დოზები:** მოზრდილებში 1-2 აბი 2-3-ჯერ დღეში. მაქსიმალური სადღეღამისო დოზაა 6 მგრ.

ბავშვებში პრეპარატი არ ინიშნება.

**გამოშვების ფორმა:** 1 მგრ-იანი აბები.

**შენახვის წესები:** გრილი, მშრალი ადგილი.

## VII. ტრანკვილიზატორები

ამ ჯგუფში გაერთიანებულ პრეპარატებს ახასიათებთ ძირითადად ოთხი სახის მოქმედება: ანტიფობური, ჰიპნოზური, მიორელაქსაციური და კრუნჩხვისსაწინააღმდეგო. შიშისსაწინააღმდეგო და ზოგადდამამშვიდებელი მოქმედება აქვს თითქმის ყველა ტრანკვილიზატორს. ამ ჯგუფის პრეპარატების ჰიპნოზური ეფექტი გამოიხატება ძილიანობასა და ნარკოტიკების, ანალგეტიკების, საძილე საშუალებების მოქმედების გაზრდაში. სწორედ ამიტომ, ტრანკვილიზატორებს ხშირად იყენებენ ნეიროლეპტანალგეზიის დროს. მათი მიორელაქსაციური ეფექტი განპირობებულია ცნს-ზე მოქმედებით. სწორედ ეს განაპირობებს დაძაბულობისა და შიშის მოხსნას. მაგრამ ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ამ ჯგუფის პრეპარატების გამოყენება შეზღუდულია ოპერატიული სამსახურის მქონე პირებში (მაგ. მძღოლები და სხვა).

სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ტრანკვილიზატორები უმეტესწილად გამოიყენება მანიპულაციების დაწყებამდე 40-60 წუთით ადრე შიშისი და დაძაბულობის მოსახსნელად.

### VII.1. სიბაზონი - SIBAZONUM

**სინონიმები:** Апоурин, Апо-диазепам, Валиум, Диазепабеле, Ново-Допам, Реланиум, Седуксен, Anstolin, Араурин, Апо-diazepam, Апоzepam, Bensedin, Diapam, Diazepam, Eridan, Lembrol, Pacitrian, Quetinitil, Relanium, Saromet, Seduxen, Serenamin, Serensin,

Sonacon, Stesolin, Ushamir, Valitran, Valium, Vatran და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** ახასიათებს დამამშვიდებელი მოქმედება, აქვეითებს კუნთების ტონუსს, აქვს კრუნჩხვისსაწინააღმდეგო ეფექტი.

**ჩვენება:** გამოიყენება, როგრც პრემედიკაციის საშუალება სტომატოლოგიური მანიპულაციების დროს მოსალოდნელი ემოციური დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად. იყენებენ ძირითადად სომატური დაავადებების (გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტონული დაავადება, ათეროსკლეროზი, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა) მქონე ავადმყოფებში, ფსიქიკური დარღვევების (ნევროზები, ფსიქოპათიები) დროს, ხანდაზმულებსა და ბავშვებში, რომელთაც აქვთ შიშის შეგრძნება, ფსიქომოტორული აგზნება.

**გამოყენების თავისებურება:** per os მისაღებად ინიშნება სტომატოლოგიური მანიპულაციების დაწყებამდე 40-60 წუთით ადრე.

**დოზები:** მოზრდილებში - 0,005 - 0,015 გრ.

ბავშვებში - 3-დან 7 წლამდე - 0,002 გრ; 7 წლის ზემოთ 0,003 - 0,005 გრ.

**თანამოვლენები:** შეიძლება გამოიწვიოს კუნთების სისუსტე, ძილიანობა, მოღუნება, ატაქსია, თავბრუსხვევა, პირის სიმშრალე. სიბაზონის თანამოვლენების კორექტირების მიზნით გამოიყენება ფსიქოსტიმულატორი სიდნოკარბი (0,00125-0,0015 გრ), ნოტროპული პრეპარატი პირაცეტამი (0,1 - 0,2 გრ) ან აქტოპროტექტორი ბემიტილი (0,5-0,75 გრ).

**უკუჩვენებები:** არ ნიშნავენ ღვიძლის და თირკმლების მძიმე პათოლოგიების, მიასთენიის და ორსულობის დროს. არ

უნდა მიეცეს მძლოლებს და ოპერატიული პროფესიის წარმომადგენლებს მუშაობის პერიოდში. სიფრთხილით ნიშნავენ ამბულატორიულ პირობებში. ასეთ დროს საჭიროა ავადმყოფის დაყოვნება პოლიკლინიკაში ან გამცილებლის მოწვევა.

*ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან:* სიბაზონის მოქმედება შეიძლება გაძლიერდეს, თუ იგი გამოყენებული იქნება კომბინაციაში ანტიდეპრესანტ ამიტრიპტილინთან (0,003 0,012 გრ) ან ნეიროლეპტიკ ჰალოპერიდოლთან (0,00075 0,0015 გრ) ერთად.

სიბაზონის მოქმედებას მკვეთრად აძლიერებს ალკოჰოლი, საძილე, კრუნჩხვისსაწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები.

*გამოშვების ფორმა:* 0,001, 0,002, 0,005, გრ-იანი აბები, 0,5 %-იანი ხსნარის 2 მლ-იანი ამპულები.

*შენახვის წესები:* მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## VII.2. ქლოზეპიდი -CHLOZEPIDUM

*სინონიმები:* Либриум, Напотон, Хлордиазепоксид, Эленיום, Ansiacal, Benzodiapin, **Chlordiazepoxide**, Decadil, Droxol, **Elenium**, Equinbral, Labiton, Librium, Lixin, Napoton, Novosed, Radepur, Sonimen, Timosin, Viasin და სხვა.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* წარმოადგენს აგზნებისსაწინააღმდეგო პრეპარატს. ეფექტურია შიშის, დაძაბულობის, აფორიაქების მოსახსნელად. პრეპარატი აქვეითებს კუნთების ტონუსს და გააჩნია კრუნჩხვისსაწინააღმდეგო მოქმედება.



**ჩვენება:** გამოიყენება როგორც პრემედიკაციის საშუალება სტომატოლოგიური მანიპულაციების დროს მოსალოდნელი ემოციური დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად.

**გამოყენების თავისებურება:** ინიშნება per os მისაღებად.

**დოზები:** მოზრდილებში 0,005 0,01გრ. სტომატოლოგიურ ჩარევამდე 40-60 წუთით ადრე.

**თანამოვლენები:** ძილიანობა, მსუბუქი თავბრუხვევა, ატაქსიის მოვლენები.

**უკუჩვენებები:** არ მიიღება თირკმლების და ღვიძლის მწვავე დაავადებების, მიასთენიის, ორსულობის (პირველი 3 თვე) დროს. საჭიროა სიფრთხილე ამბულატორიულად დანიშვნისას. არ ენიშნება ოპერატორულ სამუშაოზე დასაქმებულ პირებს მუშაობის პერიოდში.

**ურთიერთმოქმედება სხვა პრეპარატებთან:** ქლოზეპიდის ეფექტი ძლიერდება ანტიდეპრესანტ ამიტრიპტილინთან (0,003-0,012 გ) ან ნეიროლეპტიკ ჰალოპერიდოლთან (0,00075-0,0015) კომბინაციით. ალკოჰოლი, საძილე, კრუნჩხვისსაწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები მკვეთრად აძლიერებენ მის მოქმედებას.

**გამოშვების ფორმა:** 0,005, 0,01 და 0,025 გრ-იანი დრაჟეები.

**შენახვის წესი:** გრილი ადგილი.

#### VII.4. ფენაზეპამი-PHENAZEPAMUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, გამოყენების თავისებურება, თანამოვლენები, უკუჩვენება, ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან:** იგივე, რაც სიბაზონს.

**დოზები:** მოზრდილებში 0,0005 და 0,001 გრ-იანი აბები სტომატოლოგიურ მანიპულაციამდე 40-60 წუთით ადრე.

**უკუჩვენება:** არ გამოიყენება მძიმე მიასთენიის, ლვიძლის და თირკმლის ფუნქციების მოშლის დროს, ორსულობის პირველ ტრიმესტრში, ასევე ოპერატიულ სამუშაოზე დასაქმებულ პირებში.

**გამოშვების ფორმა:** 0,0005 და 0,001 გრ-იანი აბები.

**შენახვის წესები:** მშრალი, გრილი, შუქისაგან დაცული ადგილი.

#### VII.4. ნოზეპამი - NOZEPAMUM

**სინონიმი:** Apo-ოქსაზერამ, Tazepam, Adumbram, Oxazepam, **Oxazepae**, Praxiten, Psicopax, Rondar, Serax, Serenal, **Tazepam**, და სხვა.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, გამოყენების თავისებურება, უკუჩვენება:** იგივე, რაც სიბაზონს.

**დოზები:** მოზრდილებში 0,005 და 0,001 გრ-იანი აბები სტომატოლოგიურ მანიპულაციამდე 40-60 წუთით ადრე.

**თანამოვლენები:** პრეპარატის დიდი დოზებით გამოყენება იწვევს ძილიანობასა და კუნთების მოღუნებას. იშვიათად აღინიშნება ალერგია და დისპეპსიური მოვლენები.

**გამოშვების ფორმა:** 0,001 გრ-იანი აბები.

**შენახვის წესები:** მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## VII.5. ლორაზეპამი - LORAZEPAM

*სინონიმი:* Apo-ლორაპერამ, Ативан, Калмезе, Трапелс, Ansilor, Apo-lorazepam, Ativan, Kalmalin, Lorax, Lorenin, Lorsedal, Lorsilan, Merlit, Sidenar, Tavor, Temesta, Трапах და სხვა.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება, ჩვენება, გამოყენების თავისებურება, უკუჩვენება, თანამოვლენები:* იგივე, რაც სიბაზონს.

*დოზები:* მოზრდილებში 1,25 და 2,5 გრ-იანი აბები სტომატოლოგიურ მანიპულაციამდე 40-60 წუთით ადრე.

*გამოშვების ფორმა:* 1,25 - 2,5 გრ-იანი აბები.

*შენახვის წესები:* მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## VII.6. ტოფიზოპანი - TOFIZOPAN

*სინონიმები:* Грандаксин, Grandaxin.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* აქვს გამოხატული ტრანკვილიზატორული ეფექტი, მაგრამ არ იწვევს ძილიანობას და კრუნჩხვისსაწინააღმდეგო მოქმედებას.

*ჩვენება:* გამოიყენება სტომატოლოგიური მანიპულაციის წინ ნევრასთენიის და ასთენიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში ფსიქოვეგეტატიური აშლილობის თავიდან ასაცილებლად.

*გამოყენების თავისებურება:* შეიძლება დაინიშნოს per os მოკლე კურსით ან ერთხელ სტომატოლოგიური მანიპულაციების დაწყებამდე 1 სთ-ით ადრე.

**დოზები:** ხანმოკლე კურსის დროს 1-2 აბი 2-3-ჯერ დღეში 2-3 დღის მანძილზე. სტომატოლოგიური მანიპულაციების დაწყებამდე 1 სთ-ით ადრე 2 აბი.

**თანამოვლენები:** ბენზოლიაზეპინის ჯგუფის სხვა ტრანკვილიზატორებთან (იხ. სიბაზონი) შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებადაა გამოხატული მიორელაქსაციური მოქმედება, მაგრამ მაინც სიფრთხილით ენიშნებათ ოპერატორული სამსახურის მქონე ადამიანებს. შეიძლება გამოიწვიოს კანის ქავილი და დისპეპსია, რომელიც გაქრება პრეპარატის მოხსნის შემდეგ.

**უკუჩვენება:** არ ინიშნება ორსულობის პირველ ტრიმესტრში.

**გამოშვების ფორმა:** 0,05 გრ-იანი აბები.

**შენახვის წესი:** გრილი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## VII.7. ოქსილიდინი - OXYLIDINUM

**სინონიმები:** **Benzoclidine hydrochloride.**

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** აქვს სედატიური და მცირედ გამოხატული ჰიპოტენზიური ეფექტი.

**ჩვენება:** გამოიყენება პრემედიკაციისათვის სტომატოლოგიური ჩარევის წინ ძირითადად ხანდაზმულ, ჰიპერტონიით დაავადებულებში.

**გამოყენების თავისებურება:** ემოციური სტრესის გამოვლინებების და არტერიული წნევის ღონის მომატებისას შესაბამისად ინიშნება per os მისაღებად ან კუნთებში ინექციის სახით სტომატოლოგიური მანიპულაციის დაწყებამდე 30-60

წუთით ადრე. შეიძლება დანიშვნა მოკლე კურსითაც (იხ. ტოფიზოპანი).

**დოზები:** მოზრდილებში ერთჯერადად მიღებისას 0,02 0,06 გრ. ხანმოკლე კურსის დროს 0,02 გრ. 3-4-ჯერ დღეში ან ინექციის სახით 1-2 მლ. 5%-იანი ხსნარი კუნთებში.

**თანამოვლენები:** შეიძლება აღინიშნოს თავბრუხვევა, დებინება, პირის სიმშრალე, წყურვილი, კანზე გამონაყარი, დათრობის გრძნობა.

**უკუჩვენება:** რეკომინდირებული არ არის თირკმლის ფუნქციის დარღვევის და გამოსატული ჰიპოტონიის დროს.

**ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან:** აძლიერებს საძილე, ანალგეტიკური და ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებების მოქმედებას.

**გამოშვების ფორმა:** 0,02 გრ-იანი აბები, 2% ან 5% -იანი ხსნარის 1 მლ-იანი ამპულები.

**შენახვის წესები:** გრილი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## VII.8. მებიკარი - MEBICARUM

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** აქვს გამოსატული ტრანკვილიზატორული ეფექტი, მაგრამ არ იწვევს მიორელაქსაციასა და მოძრაობის კოორდინაციის დარღვევას.

**ჩვენება:** იგივე, რაც ოქსილიდინს.

**გამოყენების თავისებურება:** per os მოკლე კურსით ან ერთჯერადად სტომატოლოგიური მანიპულაციების დაწყებამდე 1 სთ-ით ადრე.

**დოზები:** მოზრდილებში ერთჯერადად 1,0-3,0 გრ. ხანმოკლე კურსის დროს 0,3-0,5 გრ. დღეში 2-3-ჯერ.

**თანამოვლენები:** იშვიათად კანის ქავილი, არტერიული წნევისა და სხეულის ტემპერატურის დაქვეითება. ეს მოვლენები პრეპარატის მოხსნის შემდეგ თავისით გაივლის.

**გამოშვების ფორმა:** 0,3 და 0,5 გრ-იანი აბები.

**შენახვის წესები:** მშრალი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## VIII. ფიტოთერაპიული საშუალებანი

პაროდონტის დაავადების მკურნალობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფიტოთერაპიას. მცენარეული პრეპარატები ამცირებენ ანთებით მოვლენებს, პაროდონტალურ და ღრძილოვან ჯიბეებში მიკრობთა რაოდენობას; აქვეითებენ მათ პათოგენურობას; აძლიერებენ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ბარიერულ ფუნქციას; ააქტიურებენ სისხლის მიმოქცევას; ამალეებენ სისხლძარღვთა ტონუსს და აქვეითებენ „სარეზერვო“ კაპილარების მობილიზაციას.

სამკურნალო მცენარეების მრავალი კლასიფიკაცია არსებობს. პრაქტიკული მუშაობისათვის ჩვენ ყველაზე მისაღებად მიგვაჩნია Ю.В.Белоусова-ს (1985 წ.) მიერ მოწოდებული კლასიფიკაცია, სადაც მცენარეები დაყოფილია მათი მოქმედების მექანიზმის მიხედვით: ანტიმიკრობული (კრაზანა, კალენდულა, სალბი, ევკალიპტი, კოთხუჯი), ტკივიგამაყუჩებელი (ცერეცო, პიტნა, ქრისტესისხლა, კოთხუჯი), ჰემოსტატიური (არნიკა, თავისისხლა, ჭინჭრის დედა, მრავალძარღვა), ანთებისსაწინააღმდეგო (გვირილა, კალენდულა, კოთხუჯი, არყი, ვირისტერფა, კალანხოე, ცაცხვი), ქსოვილთა რეგენერაციის მასტიმულირებელი (ალოე, კრაზანა, ქაცვი, ასკილი).

ზემოთ ჩამოთვლილი მცენარეებისაგან შეიძლება მრავალი სხვადასხვა ნაკრები შედგეს.

პირის ღრუს სავლები ან აბაზანების მოსამზადებლად მცენარეებისაგან კეთდება ნახარში. ნახარშის მომზადების ოპტიმალური წესი ასეთია: ერთ სუფრის კოვზს მცენარეულ ნარევს ვუმატებთ 200 გრ. მღუღარე წყალს. ვათავსებთ თავდახურულ მომინანქრებულ ჭურჭელში, ვდგამთ მეორე ცხელ წყლიან ჭურჭელზე („ორთქლის აბაზანა“) და ვადულებთ 20-

30 წთ-ის განმავლობაში; ვაგრილებთ ოთახის ტემპერატურამდე, გადაეწურავთ, შევავსებთ ანადუღარი წყლით 200 გრამდე და ვივლებთ მთელი დღის განმავლობაში შემდეგი წესით: ყლუპს ვიჩერებთ პირის ღრუში 2-5 წუთით. ნახარში ვარგისია გამოსაყენებლად 24 საათი.

## VIII.1. ანტიმიკრობული მოქმედების მცენარეები

### VIII.1.1. კრაზანა - ЗВЕРОБОЙ - HYPERICUM PERFORATUM L

სამკურნალო ნედლეულია მიწისზედა ნაწილი.

*შემადგენლობა:* შემფერავი და ფისოვანი ნივთიერებები, 0,2-0,3% ეთეროვანი ზეთი, 10-12% მთრიმლავი ნივთიერებები, 55 მგრ % კაროტინი, ქოლინი, C და PP ვიტამინები, ფიტონციდები, საპონინები, ფლავინები, რუტინი, კაროტინი, ალკალოიდები.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* აქვს ანთებისსაწინააღმდეგო, ანტისეპტიკური, მადეზინფიცირებელი, მთრთიმლავი, რეგენერაციის მასტიმულირებელი და სისხლდენის შემაჩერებელი მოქმედება.

*გამოყენების თავისებურება:* გამოიყენება ექსტრაქტის, ნაყენის, ნახარშის, ზეთისა და მალამოს სახით. კრაზანას ნაყენს ამზადებენ 40%-იან სპირტზე, რომლის აპლიკაციაც ადგილობრივ ქსოვილებზე შეიძლება განზავების გარეშე. ნახარში მზადდება ზოგადად მიღებული წესის მიხედვით და გამოიყენება გამოსავლების ან აბაზანების სახით.



**გამოშვების ფორმა:** 40%-იანი სპირტხსნარი ფლაკონებში, მშრალი ბალახი კოლოფში.

**შენახვის წესები:** გრილი, შუქისაგან დაცული ადგილი.

## VIII.1.2. კალენდულა - КАЛЕНДУЛА (НОГОТКИ)

### KALENDULA OFFICINALIS L

სამკურნალო ნედლეულია ყვავილის კალათები და ბალახი.

**შემადგენლობა:** 0,02% ეთეროვანი ზეთი და საპონინი, კალენდენი, ფისი, ფიტონციდები, კაროტინოიდები, საღებავი ნივთიერებები, ფერმენტები და ორგანული მჟავები.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** აქვს ანტიმიკრობული, ანთებისსაწინააღმდეგო, ქსოვილთა რეგენერაციის და მადეზოდორირებელი მოქმედება.

**გამოყენების თავისებურება:** პაროდონტოლოგიაში შეიძლება გამოვიყენოთ ნახარში საელებად ან აბაზანების სახით, ასევე 1:10 კალენდულას ხსნარი ზეითუნის ზეთში აპლიკაციების სახით დღეში 3-ჯერ.

**გამოშვების ფორმა:** 10%-იანი სპირტხსნარი ფლაკონებში, ბალახი კოლოფში.

**შენახვის წესები:** გრილი, შუქისაგან დაცული ადგილი.

### VIII.1.3. სალბი - ШАЛФЕЙ ЛЕК/ РСТВЕННЫЙ SALVIA OFFICINALIS L

სამკურნალო ნედლეულია ფოთლები

**შემადგენლობა:** მთრთიმლავი ნივთიერებები, მინერალური მარილები, ეთეროვანი ზეთები, ფიტონციდები, სახამებელი და ფისი.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** აქვს კარგად გამოხატული ანთებისსაწინააღმდეგო, ბაქტერიოციდული, მადეზოდორირებელი და შემბოჭველი მოქმედება.

**გამოყენების თავისებურება:** შეიძლება გამოვიყენოთ სალბის ნახარში პირის ღრუს სავლებად ან აბაზანების სახით, ასევე აბები საწუწნად ყოველ 3-4 საათში ერთხელ.

**გამოშვების ფორმა:** მშრალი ბალახი კოლოფში და აბები.

**შენახვის წესები:** გრილი, შუქისაგან დაცული ადგილი.

### VIII.1.4. ევკალიპტი - ЕВКАЛИПТ EUCALYPTUS LABILL

სამკურნალო ნედლეულია ფოთლები.

**შემადგენლობა:** ეთერზეთები, რთული ეთერები, ორგანული მჟავები, ფისები, მრთიმლავი და სხვა ნივთიერებები.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** აქვს ანტისეპტიკური, მადეზოდორირებელი, ანთებისსაწინააღმდეგო, ანალგეზიური, რეგენერაციის და სისხლძარღვთა შემავიწროვებელი მოქმედება.

**გამოყენების თავისებურება:** პაროდონტოლოგიაში იხმარება ევკალიპტის ნახარში პირის ღრუში გამოსავლებად ან აბაზანების სახით, ასევე ნაყენი 1:5 განზავებით 70%-იან სპირტზე აპლიკაციების სახით.

*გამოშვების ფორმა:* მშრალი ფოთლები კოლოფში.  
*შენახვის წესები:* მშრალი, გრილი ადგილი.

### VIII.1.5. კოთხუჯი - АИР ОБЫКНОВЕННЫЙ ACORUS CALAMUS L

სამკურნალო ნედლეულია ფესვურები.

*შემადგენლობა:* ასკორბინის მჟავა, ფიტონციდები, გლუკოზიდები, ეთეროვანი ზეთები, ქოლინი, ევგენოლი, სახამებელი და მთრიმლავი ნივთიერებანი.

*ფარმაკოლოგიური მოქმედება:* აქვს ბაქტერიოციდული, ტკივილგამაყუჩებელი, ანთებისსაწინააღმდეგო და მადეზოდორირებელი მოქმედება.

*გამოყენების თავისებურება:* იხმარება ნახარში პირის ღრუში გამოსავლებად ან აბაზანების სახით.

*გამოშვების ფორმა:* მშრალი ფესვურები კოლოფში.

